შპს „კნაუფ გიპს თბილისი“

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის ანგარიში

**2017** წლის 31 დეკემბერი

# სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება


ფინანსური მდგომარეობის ანგარიში ..... 1
მთლიანი შემოსავლის ანგარიში ..... 2
ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ ..... 3
ნაღდი ფულის შესახებ ანგარიში ..... 4


შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების მიმართ


**1** კომპანია და მისი ოპერაციები ..... **Error! Bookmark not defined.**
2 კომპანიის სამუშაო გარემო ..... **Error! Bookmark not defined.**
3 მომზადების საფუძველი ..... **Error! Bookmark not defined.**
4 საანგარიშო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეჯამება ..... **Error! Bookmark not defined.**
5 ფასს-ის პირველი გამოყენება ..... **Error! Bookmark not defined.**
6 შეფასების, გაურკვევლობის და დასკვნების ძირითადი წყაროები ..... 13
7 საბუღალტრო აღრიცხვის სიახლეები ..... **Error! Bookmark not defined.**
8 ქონება, საწარმო და აღჭურვილობა ..... 18
9 სასაქონლო-მატერიალური მარაგები ..... **Error! Bookmark not defined.**
10 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ..... **Error! Bookmark not defined.**
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ..... **Error! Bookmark not defined.**
12 სახელმწიფო გრანტები ..... **Error! Bookmark not defined.**
13 საწესდებო კაპიტალი ..... **Error! Bookmark not defined.**
14 სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანებები ..... **Error! Bookmark not defined.**
15 შემოსავლები ..... **Error! Bookmark not defined.**
16 გაყიდვების თვითღირებულება ..... **Error! Bookmark not defined.**
17 გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები ..... **Error! Bookmark not defined.**
18 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ..... **Error! Bookmark not defined.**
19 სხვა საოპერაციო ხარჯები ..... **Error! Bookmark not defined.**
20 ფინანსური შემოსავალი ..... **Error! Bookmark not defined.**
21 საფინანსო ხარჯები ..... **Error! Bookmark not defined.**
22 საშემოსავლო გადასახადი ..... **Error! Bookmark not defined.**
23 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები ..... **Error! Bookmark not defined.**
24 ფინანსური რისკების მართვა ..... **Error! Bookmark not defined.**
25 გონივრული ღირებულების შესახებ ინფორმაციის ასახვა ..... **Error! Bookmark not defined.**
26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა განზომილებების მიხედვით **Error! Bookmark not defined.**
27 ნაშთები და გარიგებები ასოცირებულ მხარეებთან ..... **Error! Bookmark not defined.**
25 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 29

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

| *ათასი ქართული ლარი* | შენიშვნები | 2017 31 დეკემბ | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| საკუთრება, საწარმო, აღჭურვილობა | 8 | 29,284 | 29,153 | 31,046 |
| არამატერიალური აქტივები | | 115 | 156 | 197 |
| **მთლიანი გრძელვადიანი აქტივები** | | **29,399** | **29,309** | **31,243** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | **Error ! Reference source not found.** | 7,791 | 5,655 | 6,611 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | **Error ! Reference source not found.** | 2,973 | 2,663 | 1,945 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | **Error ! Reference source not found.** | 5,446 | 4,469 | 1,464 |
| **მთლიანი მიმდინარე აქტივები** | | **16,210** | **12,787** | **10,020** |
| **მთლიანი აქტივები** | | | | |
| **კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 13 | 55,345 | 58,791 | 58,146 |
| დაგროვილი დეფიციტი | | (13,722) | (18,539) | (20,041) |
| **მთლიანი კაპიტალი** | | **41,623** | **40,252** | **38,105** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | **Error ! Reference source not found.** | - | - | 1,022 |
| გადავადებული შემოსავალი | **Error ! Reference** | 425 | - | - |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **source not found.** | | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **425** | **-** | **1,022** |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | **Error! Reference source not found.** | 3,385 | 1,844 | 2,136 |
| გადავადებული შემოსავალი | **Error! Reference source not found.** | 176 | - | - |
| **მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები** | | **3,561** | **1,844** | **2,136** |
| **მთლიანი ვალდებულებები** | | **3,986** | **1,844** | **3,158** |
| **მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **45,609** | **42,096** | **41,263** |

დამტკიცებულია ანგარიშისთვის და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 6 აპრილს:

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ჯაფარიძე<br>მარკეტინგისა და გაყიდვების განყოფილების უფროსი | გიორგი ლოლაძე<br>საფინანსო განყოფილების უფროსი | ირინა დადვანი<br>მთავარი ბუღალტერი |

| *ათასი ქართული ლარი* | **შენიშვნა** | **2017** | **2016** |
|---|---|---|---|
| **შემოსავალი** | **Error! Reference source not found.** | 55,571 | 41,848 |
| სარეალიზაციო ხარჯები | **Error! Reference source not found.** | (42,695) | (33,562) |
| **მოგება დაბეგვრის გარეშე** | | **12,876** | **8,286** |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | | 69 | 43 |
| სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ხარჯები | **Error! Reference source not found.** | (4,119) | (3,510) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | **Error! Reference source not found.** | (2,879) | (2,827) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | **Error! Reference source not found.** | (1,757) | (1,375) |
| **საოპერაციო მოგება** | | **4,190** | **618** |
| საფინანსო ხარჯი | **Error! Reference source not found.** | 627 | 138 |
| საფინანსო შემოსავალი | **Error! Reference source not found.** | - | (275) |
| **მოგება საშემოსავლო გადასახადამდე** | | **4,817** | **481** |
| საშემოსავლო გადასახადის კრედიტი | **Error! Reference source not found.** | - | 1,022 |
| **მოგება წელიწადში** | | **4,817** | **1,502** |
| სხვა ერთობლივი შემოსავალი წელიწადში | | - | - |
| **სხვა ერთობლივი შემოსავალი წელიწადში** | | **4,817** | **1,502** |

| *ათასი ქართული ლარი* | საწესდებო კაპიტალი | გადაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| **ბალანსი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **58,146** | **(20,041)** | **38,105** |
| მოგება წელიწადში | - | 1,502 | 1,502 |
| მთლიანი ერთობლივი შემოსავალი წელიწადში | - | 1,502 | 1,502 |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა **Error! Reference source not found.**) | 645 | - | 645 |
| **ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **58,791** | **(18,539)** | **40,252** |
| მოგება წელიწადში | - | 4,817 | 4,817 |
| მთლიანი ერთობლივი შემოსავალი წელიწადში | - | 4,817 | 4,817 |
| საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 13) | (3,446) | - | (3,446) |
| **ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **55,345** | **(13,722)** | **41,623** |

| *ათასი ქართული ლარი* | შენიშვნები | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მოგება საშემოსავლო გადასახადამდე | | 4,817 | 480 |
| კორექტირება : | | | |
| ცვეთისა და საამორტიზაციო გადასახადი | 8 | 2,947 | 2,826 |
| ქონების, საწაროსა და აღჭურვილობის განკარგვიდან მიღებული შემოსავალი | 8 | (21) | - |
| ზედმეტი ხარჯი | **Error! Reference source not found.** | 471 | 419 |
| წილობრივი შემოსავალი | 20 | (241) | (138) |
| სავალუტო კურსიდან (შემოსავალი)/ზარალი | 20, 21 | (386) | 275 |
| **ოპერაციული ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე** | | **7,587** | **3,862** |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგების (ზრდა)/კლება | | (2,607) | 537 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების (ზრდა)/კლება | | 357 | (645) |
| სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანებების (ზრდა)/კლება | | 1,423 | (411) |
| **ცვლილებები სამუშაო კაპიტალში** | | **(586)** | **(381)** |
| მიღებულია პროცენტი | | 241 | 138 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **7,001** | **3,481** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ქონების, საწარმოების და აღჭურვილობის შეძენა | 8 | (3,040) | (890) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | | - | (6) |
| შემოსავალი ქონების, საწარმოების და აღჭურვილობის გაყიდვიდან | 8 | 24 | 4 |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | | **(3,016)** | **(892)** |
| **ფულადი შემოსავლები ფინანსური ოპერაციებიდან** | | | |
| კაპიტალის განაწილება აქციონერებს შორის გარდა დივიდენდებისა | 13 | (3,446) | - |
| მფლობელების მიერ კაპიტალის განაწილებიდან შემოსული ფულადი სახსრები | 13 | - | 645 |
| **წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ ოპერაციებში** | | **(3,446)** | **645** |
| სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე | | 438 | (229) |
| **ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა** | | **977** | **3,005** |
| ფულად სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 11 | 4,469 | 1,464 |
| **ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | 11 | **5,446** | **4,469** |

## 1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კნაუფ გიპს თბილისის“ („კომპანია“) ეს ფინანსური ანგარიში მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“IFRS”) 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“ („კომპანია“) დაფუძნებულია 2006 წლის 10 ნოემბერს და მისი ადგილმდებარეობა არის საქართველო. ადრე ოფიციალურად იწოდებოდა, როგორც შპს "სამშენებლო მასალების კომბინატი" და 2008 წლის 9 დეკემბერს შპს „Knauf International GmbH“- მა შეიძინა ის. 2009 წლის 3 ივნისს იურიდიულ პირს ეწოდა შპს "კნაუფ გიპს თბილისი". კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში, საიდენტიფიკაციო ნომრით: 205181532.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო შპს „Knauf International GmbH“. კომპანიის საბოლოო მფლობელი გახდა „Gebr. Gebr. Knauf Verwaltungsgesellschaft KG“.

***ძირითადი საქმიანობა.*** კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს წარმოება და სამშენებლო მასალების საბითუმო ვაჭრობა, კერძოდ თაბაშირ-მუყაოს.

***რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილნდებარეობა.*** კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ქიზიყის ქუჩა № 17.

## 2 კომპანიის სამუშაო გარემო

ძირითად ბიზნეს საქმიანობას კომპანია ახორციელებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზარი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, კერძოდ, შედარებით მაღალი ინფლაციის დონით და მაღალი საპროცენტო განაკვეთით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხასიათდება განსხვავებული ინტერპრეტაციით და ხშირი ცვალებადობით.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ ზომებთან ერთად.

ხალმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის პროგნოზირება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს კომპანიის შემდგომ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხალმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა საჭირო ზომას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

## 3 მომზადების საფუძველი

***შესაბამისობის დასკვნა.*** ეს ფინანსური ანგარიშია წარმოადგენ კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად (“IFRS”), რომელიც გამოიყენება "ფასს"-ის მიერ. საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტებზე (“IFRS”) კომპანია გადავიდა 2016 წლის 1 იანვარს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები კომპანიამ მიიღო IFRS 1-ის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები პირველი გამოყენება. გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, IFRS 1 მოითხოვს 2017 წლის 31 დეკემბრის ბოლოსათვის არსებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტულ გამოყენებას. ეს ვერსია გამოყენებულ იქნა IFRS-ის ანგარიშის მომზადების დაწყებისას 2016 წლის 1 იანვრის ფინანსური მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებზე IFRS-ის მიხედვით პირველი საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

***ფინანსური მაჩვენებლების შესაფასების საფუძველი.*** ეს ფინანსური ანგარიში მომზადებულია საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. ანგარიში მომზადებულია საწყისი ღირებულების გათვალისწინების წესის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-სთან შესაბამისობაში მოითხოვს გარკვეულ არსებით საბუღალტრო შეფასებებს. ის ხელმძღვანელობისგან ასევე მოითხოვს გარკვეული მოსაზრებების გამოთქმას კომპანიის ანგარიშგების პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გულისხმობს უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებს ან სირთულეს, ან სფეროები, რომლებშიც ვარაუდები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებისთვის, ასახულია მე-6 პუნქტში.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება**

ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული ანგარიშგების ძირითადი პრინციპები ჩამოთვლილია ქვემოთ. ეს პრინციპები თანაბრად გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

***ანგარიშში გამოყენებული ვალუტა.*** ამ ფინანსურ ანგარიშში ყველა თანხა მითითებულია ათას ლარში ("ლარი"),თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

***უცხოური ვალუტის გადაანგარიშება.*** კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი").

***ტრანზაქციები და ნაშთები.*** საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება ქართულ ლარში კონკრეტულ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. ტრასნზაქციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. აღნიშნული ტრანზაქციების განხორციელებისა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და პასივების ტრანზაქციების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია მთლიანი შემოსავლის შესახებ ანგარიშში „ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების“ ფარგლებში.

კურსის მიხედვით წლის ბოლოსთვის გადაანგარიშების მეთოდი არ ვრცელდება არაფულად აქტივებზე, რომლებიც ფასდება საწყისი ღირებულების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გონივრულ ფასად შეფასებული არაფულადი ნივთების გადაანგარიშება ხდება გონივრული ფასის დადგენის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური ვალუტაში გონივრული ფასის მიხედვით შეფასებული არაფულადი საგნების მიმართ გამოყენებული გაცვლითი კურსის ცვალებადობის გავლენა ასახულია, როგორც მოგება-ზარალის ნაწილი გონივრული ფასის მიხედვით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი, 1 ევრო = 3.1044 ლარი და 1 თურქული ლირა = 0.6874 ლარი (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.6468 ლარი, 1 ევრო = 2.7940 ლარი და1 თურქული ლირა = 0.7504 ლარი; 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.3949 ლარი, 1 ევრო = 2.6169 ლარი და 1 თურქული ლირა = 0.8190 ლარი). ამჟამად, საქართველოს ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

***ქონება, საწარმო და აღჭურვილობა.*** ქონება, საწარმო და აღჭურვილობა ასახულია საწყისი ღირებულებით დაგროვილი საამორტიზაციო ხარჯებისა და გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით. საწყისი ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის მოზიდვასთან იმ ადგილასა და მდგომარეობაში/პირობებში, რომელიც შესაძლებელს ხდის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად გამოყენებას.

შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივის სახით, საჭიროების და მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ვარაუდი, რომ კონკრეტულ საქონელთან ასოცირებული სამომავლო ეკონომიური სარგებელი მიმართული იქნება კომპანიისკენ და საქონლის ღირებულება საიმედოდ იქნება შეფასებული. მცირე რემონტისა და ყოველდღიური მომსახურების ხარჯების გაწევა ხდება მათი საჭიროების და მიხედვით. ძირითადი კომპონენტებისა ან ძირითადი საშუალებების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლის შედეგად ამოღებული ნაწილი ექვემდებარება ჩამოწერას.

ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულს ხელმძღვანელობა აფასებს და ადგენს, არის თუ არა ძრითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს საკომპენსაციო თანხას, რომელიც აღემატება აქტივის გონივრულ ღირებულებას სარეალიზაციო ხარჯებისა და ეკონომიკური სარგებლის გამოკლებით. საბალანსო ღირებულება მცირდება საკომპენსაციო ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება წლიური მოგების ან ზარალის შემადგენლობაში. წინა წლებში აქტივად აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა შესაძლებელია საჭიროების და მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ცვლილება გამოყენებული აქტივის ღირებულების ან გონივრული ფასის განსაზღვრის დროს შეფასებისას ძირითადი საშუალებების ამოღების ხარჯების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ამოღებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრება ამონაგები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და აღიარებულია შემოსავლის ან ზარალის სახით წლის განმავლობაში სხვა საოპერაციო შემოსავლების ან ხარჯების ფარგლებში.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

მიწა გაუფასურებას არ ექვემდებარება. ძირითადი საშუალებების სხვა საგნებზე ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ღირებულების მათი ნარჩენ ფასზე ნაკლებ ფასად განაწილებით მათი ვარგისიანობის სავარაუდო პერიოდის მანძილზე პროპორციული ჩამოწერის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზაციის ხარჯების გაანგარიშება ხდება პროპორციული ჩამოწერის მეთოდის გამოყენებით არამატერიალური აქტივების განაწილების მიზნით მათი ვარგისიანობის სავარაუდო პერიოდის მანძილზე. ძირითადი საშუალებების ძირითადი კლასის სავარაუდო ვარგისიანობის პერიოდი და სახეობა მოცემულია ქვემოთ:

- მიწა და შენობები 10 - 40 წელი
- მანქანები და მოწყობილობები 6 - 20 წელი
- ავეჯი და საოფისე ტექნიკა 3 - 15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 6 - 8 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, მათი ვარგისიანობის ვადა და ამორტიზაციის მეთოდები განიხილება და კორექტირდება გეგმიურად საჭიროების და მიხედვით თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილებების ნიშნები ბოლო საანგარიშო თარიღიდან.

დაუყოვნებლივ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულების ჩამოწერა მის საკომპენსაციო ღირებულებამდე, იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება შეფასებულ საკომპენსაციო ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ამოღებასთან/ჩამოწერასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრება ამონაგები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და აღიარებულია „სხვა მიმდინარე შემოსავლის/ხარჯის“ ფარგლებში მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

***არამატერიალური აქტივები.*** ცალკეული შეძენილი ლიცენზიები (პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით) და სხვა არამატერიალური აქტივები ასახულია მათი პირველადი ღირებულებით. არამატერიალურ აქტივებს გააჩნიათ შეზღუდული ვარგისიანობის ვადა და მათი ასახვა ხდება პირველადი ღირებულებით დაგროვილი საამორტიზაციო ხარჯებისა და გაუფასურების შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით. ძირითადი კლასის არამატერიალური აქტივების სავარაუდო ვარგისიანობის ვადა და სახეობა მოცემულია ქვემოთ:

- პროგრამული უზრუნველყოფა 3 - 7 წელი
- ლიცენზიები 25 - 30 წელი

***არაფინანსური აქტივების გაუფასურება მატერიალური გარდა.*** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას ფასდება ყოველ საანგარიშო დღეს, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ნიშნები, რომ აქტივები გაუფასურებულია. აქტივის შესაძლო გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობის შეთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომლისთვისაც აქტივი იქნა გამოყოფილი) უნდა შემოწმდეს გაუფასურებაზე. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რამდენითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის საკომპენსაციო თანხას. საკომპენსაციო თანხა აღემატება აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულს( CGU) გონივრულ ღირებულებას სარეალიზაციო ხარჯებისა და მოხმარების ღირებულების გამოკლებით. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც არსებობს ცალკე გამოსავლენი ფულადი ნაკადები (CGU). განიხილება არაფინანსური აქტივები, გარდა არამატერიალური აქტივების ღირებულებისა, რომელიც განიცდის გაუფასურებას, გაუფასურების შესაძლო აღდგენის/კომპენსაციის მიზნითყოველ საანგარიშო დღეს.

***ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი მეთოდები.*** მათი კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გონივრული ფასით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

გონივრული ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღებს აქტივის გაყიდვისთვის ან გადახდება ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების დროს შეფასების დღეს. გონივრული ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე არსებული ფასი. აქტიური ბაზარი ერთ-ერთია, სადაც აქტივებისა და ვალდებულების ტრანზაქცია ხორციელდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა მუდმივ რეჟიმში იქნეს უზრუნველყოფილი ფასების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

აქტიურ ბაზარზე გაყიდვადი ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ღირებულება განისაზღვრება როგორც კვოტირებული ფასის პროდუქტი ცალკეული აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის და ინსტრუმენტების რაოდენობისთვის, რომელსაც ფლობს ერთეული. ეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნორმალური დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი შეკვეთების რაოდენობის შენარჩუნებისა და განთავსებისთვის ერთი ტრანზაქციის დროს პოზიციის გაყიდვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კვოტირების ფასზე.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები, გაშლილი ხელის პრინციპზე დაფუძნებული მიმდინარე ტრანზაქციების მოდელები ან ინვესტიციების ფინანსური მონაცემების განხილვა, რომლებიც გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ღირებულების შესაფასებლად, რომლებისთვისაც ხელმიუწვდომელია ინფორმაცია გარეთა ბაზრებზე არსებული ფასების შესახებ. გონივრული ღირებულების შეფასებები გაანალიზებულია გონივრული ღირებულების იერარქიაში არსებული დონეების მიხედვით: (i) პირველი დონე წარმოადგენს აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კვოტირებული (არაქტორექტირებული) ფასებით შეფასებას, (ii) მეორე დონის შეფასება წარმოადგენს შეფასების მეთოდს აქტივებისა და ვალდებულებისთვის ყველა საჭირო მატერიალური დანახარჯების გათვალისწინებით, პირდაპირ (ფასების სახით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონის შეფასება - არის შეფასება, რომელიც არ ფუძნება მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფ საბაზრო მონაცემებს (ანუ, ეს შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან საწყის მონაცემებეს, რომლებიც დაკვირვებას არ ექვემდებარება). იგულისხმება, რომ გონივრული ფასის იერარქიის დონეებს შორის განხორციელებულ ტრანსფერებს ადგილი ქონდათ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. იხილეთ პუნქტი 25.

*ტრანზაქციის ხარჯები* არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენა, გამოშვება ან ჩამოწერასთან. დამატებითი ხარჯი, ისეთი ხარჯია, რომელიც არ იქნება გაწეული ტრანზაქციის განხორციელების გარეშე. ტრანზაქციის ხარჯებში შედის აგენტების (მათ შორის, გაყიდვების აგენტებად მომუშავე თანამშრომლების), მრჩევლების/კონსულტანტების, ბროკერებსა და დილერების ანაზღაურებას და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟის მოსაკრებელს, აგრეთვე, სატრანსფერო გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის სესხის თანხა ან დისკონტები, დაფინანსების ხარჯები, შიდა ადმინისტრაციული ან მარაგების ხარჯები.

*ამორტიზებული ღირებულება* ის თანხა, რომლის დროსაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებულ იქნა თავდაპირველი აღიარებით, ნებისმიერი ძირითადი სესხის დაფარვის თანხსა და დარიცხული პროცენტის გამოკლებით, ხოლო ფინანსური აქტივების თვალსაზრისით, გაუფასურების შედეგად ნებისმიერი მიღებული ზარალის ჩამოწერის გარეშე. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებით გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების ამორტიზაციას, აგრეთვე ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს დაფარვის თანხასთან მიმართებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხულ კუპონის, ამორტიზებული დისკონტოს ან პრემიის (მათ შორის, წარმოშობის მიხედვით გადავადებულ გადასახადების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით, არ არის წარმოდგენილი ცალკე და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში შესულია შესაბამისი პროდუქტის თანხების საბალანსე ღირებულებებში.

*ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი* არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების განაწილების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მიღწევის მიზნით საბალანსო ღირებულების საფუძველზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად საზღვრავს სავარაუდო სამომავლო თანხების შემოსავალს ან მოგებას (მომავალში საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ხანგრძლივობის ვადის ან უფრო მოკლე ვადის მანძილზე, საჭიროების და მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულების საფუძველზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვალისწინებს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების მომდევნო თარიღისთვის, გარდა პრემიებისა და დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტზე მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ აღემატება ბაზრის განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზებულია ინსტრუმენტის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი ან მიღებულ ყველა საფასურს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილის.

***ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.*** ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) ფინანსური აქტივები მათ დაფარვამდე და (დ) ფინანსური აქტივები მათ გონივრულ ფასად მოგების ან ზარალის მეშვეობით. ფინანსური აქტივები მათ გონივრულ ფასად მოგების ან ზარალის მეშვეობით იყოფა კიდევ ორ ქვეკატეგორიად (i) აქტივები, განსაზღვრული როგორც ასეთი პირველადი აღიარების შემდეგ და (ii) კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო აქტივები.

*სესხები და დებიტორული დავალიანება* არის არაკვოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა გაყიდვასაც კომპანია აპირებს უახლოეს ვადებში. კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს "სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს" და "ფულადი სახსრებისა და ეკვივალენტების შესახებ" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანება მოიცავს "სავაჭრო და სხვა დავალიანებას" და "ფულად სახსრებსა და ფულის ეკვივალენტებს" ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

***ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.*** ფინანსურ ვალდებულებებს გააჩნიათ შეფასების შემდეგი კატეგორიები: (ა) ვაჭრობისთვის განკუთვნილი, რომლებიც ასევე მოიცავს ფინანსურ წამოებულებს და (ბ) სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ვაჭრობისათვის განკუთვნილი ვალდებულებები აისახება გონივრული ღირებულებით წლიური მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარებული ფასთა ცვლილებით (როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი), იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა. სხვა ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს "სავაჭრო და სხვა გადასახადებს", რომლებიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

***ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.***. მოგება-ზარალის გათვალისწინებით გონივრულ ფასად შეფასებული სავაჭრო ინვესტიციები, წარმოებულები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება გონივრული ფასით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება გონივრული ფასით და გარიგების ხარჯებით. გონივრული ფასი თავდაპირველი აღიარებით ყველაზე კარგად დასტურდება გარიგების ფასით. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი დაფიქსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება გონივრულ ფასსა და გარიგების ფასს შორის, რომელიც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტთან მიმართებაში არსებული სხვა მიმდინარე საბაზრო საანგარიშო გარიგებებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ მონაცემებს დაკვირვების ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივების ყოველი შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც ითვალისწინებს რეგულირების ან საბაზრო კონვენციის (შესყიდვებისა და გაყიდვების "რეგულარული გზა") მიერ დადგენილ ვადებში მიწოდებას, აღირიცხება სავაჭრო თარიღის მიხედვით, როდესაც კომპანია ვალდებულია განახორციელოს ფინანსური აქტივის გადაცემა. ყველა სხვა შესყიდვა იქნება აღიარებული მაშინ, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

***ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.*** კომპანია წყვეტს ფინნსური აქტივების აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) აქტივები გამოსყიდულია ან უფლებების ვადა აქტივების ფულადი სახსრების მიმართ სხვაგვარად იწურება ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა უფლება ფინანსური აქტივების ფულად სახსრებზე ან იყენებს კვალიფიციურ გამტარ მექანიზმს, ამავე დროს (i) გადასცემს აქტივებთან დაკავშირებულ ყველა არსებით რისკსა და სარგებელს ან (ii) არა თუ არც გადასცემს და არს იტოვებს აქტივებთან დაკავშირებულ ყველა არსებით რისკსა და სარგებელს, არამედ არც კი იტოვწბს მათზე კონტროლს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, რომ მთლიანად გაყიდოს აქტივი მესამე პირზე, ისე რომ არ მოითხოვოს დამატებითი შეზღუდვების დაწესება გაყიდვაზე.

***ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა.*** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში აისახება სალდირებული თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იურიდიულად გამყარებული უფლება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში ასახული თანხების ჩათვლაზე და არსებობს სურვილი ან განახორციელოს ჩათვლა სალდირებული თანხით ან მოახდინოს აქტივის რეალიზება და იმავდროულად შეასრულოს ვალდებულება. მსგავსი ჩათვლის უფლება (ა)არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ მოვლენებზე და (ბ) უნდა იყოს იურდიულად გამყარებული ყველა ქვემოთ აღნიშნულ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვის დროს, (ii) დეფოლტის და (iii) გადახდიისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

***ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.*** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, უვადო დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს არა უმეტეს სამთვიანი პირველადი დაფარვის ვადით.

***სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები.*** სავაჭრო დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასის მიხედვით. შემდგომში ისინი ფასდება საამორტიზაციო ღირებულების მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

***საამორტიზაციო ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება .*** გაუფასურებიდან მიღებული ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება მაშინ, თუ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ერთხელ ან მეტჯერ (“ზარალის შემთხვევა”) ფინანსური აქტივის პირველადი აღიარებიდან შემდგომ პერიოდში და რომელმაც გავლენა იქონია ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე ან ვადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება შეეხო ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივს, განურჩევლად იმისა ის მნიშვნელოვანია თუ არა, ის შეიტანს ამ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და კოლექტიურად აფასებს მათ გაუფასურების რისკის თვალსაზრისით. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებული სტატუსი და მისი შესაბანისად რეალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ქვემოთ ჩამოთვლილია გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ობიექტური მტკიცებულებების განმსაზღვრელი სხვა პრინციპული კრიტერიუმები:

- პარტნიორი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც მტკიცდება კომპანიის ხელთ არსებული ფინანსური ინფორმაციიდან;
- პარტნიორის მიერ განიხილება გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია;
- არსებობს უარყოფითი ცვლილებები პარტნიორის გადახდისუნარიანობის სტატუსში ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებების შედეგად, რაც გავლენას ახდენს პარტნიორზე ან
- გირაოს ფასი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მცირდება საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

თუ ამორტიზებული ღირებულების მქონე გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება მოლაპარაკების გზით ან სხვაგვარად იცვლება პარტნიორის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება ფასდება პირობების შეცვლამდე არსებული პირველადი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გარეშე მოლაპარაკებათა აქტივაციის შემდეგ დეზინქტირდება და ახალი აქტივი აღიარებულია მხოლოდ მისი სამართლიანი ღირებულებით, თუ არსებითად შეიცვალა აქტივის რისკები და ჯილდოები. ეს ჩვეულებრივ არსებითად განსხვავდება ორიგინალური ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებებსა და ახალ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების შორის. შეცვლილ აქტივს უწყდება აღიარება, ხოლო ახალი აქტივის აღიარება ხდება მისი გონივრული ფასით იმ შემთხვევაში, თუ აქტივის რისკები და სარგებელი მნიშვნელოვნად შეცვლილია. ეს ჩვეულებრივ მტკიცდება თავდაპირველი ფულადი ნაკადის მოცულობასა და ახალი სავარაუდო ფულადი ნაკადის მოცულობას შორის არსებითი სხვაობით.

გაუფასურებით მიღებული ზარალის აღიარება ყოველთვის ხდება სარეზერვო ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების დაწევის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების ახლანდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს საკრედიტო დანაკარგებს მომავალში, რაც ჯერ არ მომხდარა) და დისკონტირებულის აქტივის პირველადი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივების სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშება ასახავს ფულადი სახსრების მოძრაობას, რომლებიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს უზრუნველყოფილი აქტივის ნაკლებ ფასად გასხვისება მისი ყიდვა - გაყიდვის მიზნით, იმის და მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა გასხვისება.

თუ შემდგომი პერიოდის განმავლობაში გაუფასურების ზარალი შემცირდება და შემცირება ობიექტურად დაუკავშირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენას (როგორიცაა მოვალის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მოხდება გაუფასურების შედეგად ადრე მიღებული ზარალის აღდგენა სარეზერვო ანგარიშის კორექტირების მეშვეობით წლიური მოგება-ზარალის გათვალისწინებით.

უიმედო აქტივები ექვემდებარება ჩამოწერას გაუფასურებით გამოწვეული ზარალის უზრუნველყოფის საწინააღმდეგოდ აქტივის დაბრუნების მიზნმით ყველა საჭირო პროცედურის დასრულებისა და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. შემდგომშ ამოღებული ადრე ჩამოწერილი თანხები ირიცხება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ანგარიშზე წლიური მოგება-ზარალის გათვალისწინებით.

***სავაჭრო და სხვა დავალიანებები.*** სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია გონივრულ ფასად, ხოლო შემდგომში განხორციელება მოხდა ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

***გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია.*** კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია განიცდის გადაფასებას ხელმძღვანელობის მხრიდან ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აისახება საშემოსავლო გადასახადის პოზიციიდან, რომელსაც განსაზღვრავს ხელმძღვანელობა და სავარაუდოა, რომ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დარიცხვას იმ შემთხვევაში, თუ ამ პოზიციას არ შეეწინააღმდეგებიან საგადასახადო უწყებები. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირებას, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აგრეთვე სასამართლოს ან ნებისმიერი მმართველი ორგანოს გადაწყვეტილების ინტერპრეტირებას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტების და გადასახადების მიმართ, გარდა შემოსავლისა, აისახება ხელმძღვანელობის მიერ ხარჯების შეფასების საფუძველზე, რომლებიც საჭიროა ვალდებულების დასაფარავად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გაურკვეველი საგდასახადო პოზიციის კორექტირებები აისახება საშემოსავლო გადასახადის ფარგლებში.

***დამატებითი ღირებულების გადასახადი.*** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი ექვემდებარება საგდასახადო უწყებაში გადახდას იმის და მიხედვით, თუ რომელი შემდგომ დასახელებული მდგომარეობა დადგება უწინ: (ა) კლიენტებისგან დებიტორული დავალიანების ამოღება ან (ბ) კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება. გადახდილი დღგ-ს ანაზღაურება ზოგადად ხდება დარიცხული დღგ-ით ფაქტურის საფუძველზე. საადასახადო უწყებები იძლევიან დღგ-ს „ნეტოს საფუძველზე“ დარეგულირების უფლებას. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში „ნეტოს საფუძველზე“. დავალიანების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოვაის მთლიანი თანხა დღგ-ის ჩათვლით. საკუთრების, საწარმოებისა და ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებული დღგ ექვემდებარება გადავადებას 5-დან 10 წლამდე იმ პირებისთვის, რომელთაც გააჩნიათ დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვის 20%-ზე მეტი.

***სასაქონლო-მატერიალური მარაგი.*** სასაქონლო-მატერიალური მარაგი აისახება უდაბლესი ფასით და სუფთა გასაყიდი ფასით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასით. სუფთა სარეალიზაციო ფასი არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის დროს საწარმოო და სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

***წინასწარი ანგარიშსწორება.*** წინასწარი ანგარიშსწორება ხორციელდება გაუფასურების თანხის გამოკლებით. წინასწარი ანგარიშწორება კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარი ანგარიშწორებასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ან წინასწარი ანგარიშწორება დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც პირველადი აღიარების მიხედვით კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი ანგარიშწორება გარდაიქმნება აქტივის საბალანსო ღირებულებად იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და თუ მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან ასოცირებული ეკონომიკური სარგებელი მიმართული იქნება კომპანიისკენ. წინასწარი ანგარიშწორებები გადადის შემოსავალში ან ზარალში ამ წინასწარ ანგარიშწორებებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისთანავე. თუ არსებობს რაიმე მინიშნება იმისა, რომ წინასწარ ანგარიშწორებებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ამ მომსახურეობა ვერ იქნება მიღებული, წინასწარი ანგარიშწორების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლიურ მოგებაში ან ზარალში.

***საწესდებო კაპიტალი.*** კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

***დივიდენდის განაწილება***. ივიდენდების განაწილება კომპანიის მფლობელებს შორის მიჩნეულია, როგორც კომპანიის ანგარიშში დაფიქსირებული ვალდებულება იმ პერიოდის მანძილზე, რომელზეც მტკიცდება დივიდენდები კომპანიის მფლობელების მიერ.

***მომავალი ხარჯებისთვის და ვალდებულებებისთვის განკუთვნილი რეზერვები.*** ხარჯებისთვის და ვალდებულებებისთვის განკუთვნილი რეზერვები წარმოადგენს დაუზუსტებელი დროისა და თანხის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როდესაც კომპანიას გააჩნია მოქმედი იურიდიული ან ნებაყოფლობითი ვალდებულებები, გასული მოვლენების შედეგის სახით, სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვის მიზნით საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების მოთხოვნა და შესაძლებელი გახდება ვალდებულებების თანხის სანდო შეფასების გაკეთება. რეზერვების შეფასება ხდება მიმდინარე ხარჯების ღირებულებების მიხედვით, რომლებიც როგორც მოსალოდნელია, გამოყენებული იქნება ვალდებულებების დასაფარავად დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროის მიხედვით მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს. რეზერვის ზრდა დროთა განმავლობაში მიჩნეულია, როგორც საპროცენტო ხარჯი.

მოსაკრებლები და გადასახადები, როგორიცაა საშემოსავლო გადასახადი ან სარეგულაციო ხარჯები, რომლებიც დაფუძნებულია გადახდის ვალდებულებამდე პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომლებიც მიჩნეულია, როგორც აუცილებლად დასაფარი ვალდებულება სავალდებულო ქმედების განხორციელების შემთხვევაში, კანონის მიხედვით განისაზღვრება, როგორც გადასახადის გადახდის გამომწვევი ვალდებულება. თუ გადასახადის გადახდა მოხდა დამავალდებულებელ მოვლენამდე, ის მიიჩნევა, როგორც წინასწარ განხორციელებული ანგარიშსწორება.

***სამთავრობო გრანტები/სუბსიდიები.*** სამთავრობო გრანტების/სუბსიდიების ასახვა ხდება მათი გონივრული ღირებულების შესაბამისად, როდესაც არსებობს იმის გარანტია, რომ გრანტი აუცილებლად იქნება მიღებული და ჯგუფი შეასრულებს თანმდევ პირობებს.

საკუთრების, საწარმოს ან ტექნისკის შეძენასთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტები/სუბსიდიები განეკუთვნება გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებს, როგორც გადავადებული შემოსავალი და განეკუთვნება მოგება ან ზარალს ჩამოწერის თანაბარი მეთოდის საფუძველზე შესაბამისი აქტივების ვარგისიანობის ვადის მანძილზე.

***შემოსავლების აღრიცხვა.*** შემოსავლები განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების გონივრული ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული პროდუქციის სანაცვლოდ მისაღებ თანხას, დისკონტის, ამონაგებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, თუ შემოსავლების ოდენობა შეიძლება საიმედოდ განსაზღვრული იყოს; თუ სავარაუდოა, რომ მომავალში ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას; და თუ თითოეული კომპანიის საქმიანობას გარკვეული კრიტერიუმები აკმაყოფილებს, როგორც ქვემოთ აღწერილია კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; როდესაც სავარაუდოა, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მიმართული იქნება პირისკენ/ერთეულისკენ და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაცული იქნება კომპანიის მიერ განხორციელებული თითოეული საქმიანობის დროს, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

*საქონლის გაყიდვა.* საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღირიცხება საქონლის დაუფლებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის დროს, რაც ჩვეულებრივ ხდება საქონლის კლიენტისთვის დანიშნულ ადგილზე გადამიცემის დროს.

***თანამშრომელთა ანაზღაურება.*** ანაზღაურების, ხელფასების, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულების, ავადმყოფობის გამო შვებულებების, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმავე წელს, როდესაც კომპანიის მიერ გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება საკუთარი თანამშრომლისთვის. კომპანიას არ გააჩნია არც იურიდიული და არც ნებაყოფლობითი ვალდებულება თანამშრომლისთვის პენსიის ან მსგავსი სარგებლის გადახდის თაობაზე.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

***საშემოსავლო გადასახადები***. საშემოსავლო გადასახადები აისახება ფინანსურ ანგარიშში საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიღებული და აქტიურად ამოქმედებული კანონდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადი /(კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აისახებოდა წლიური მოგება-ზარალის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აისახებოდა სხვა ერთობლივ შემოსავალში ან უშუალოდ სააქციო კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი - ეს არის მომავალში გადასახდელი/მისაღები ან საგადასახადო უწყებებიდან ამოსაღები თანხა მიმდინარე და გასული პერიოდის დასაბეგრ მოგება-ზარალთან მიმართებაში

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი შემოღებულ იქნა საბალანსე ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის გადავადების, აქტივებსა და პასივებს შორის დაბეგვრის მიზნით დროებითი სხვაობის და მათი საბალანსე ღირებულების ფინანსურ ანგარიშებში ასახვის მიზნით. თავდაპირველი აღიარებისგან გათავისულფების შესაბამისად გადავადებული გადასახადი არ ითვალისწინებოდა გარიგებებში აქტივებისა და პასივების პირველადი აღიარებისას დროებითი სხვაობის შემთხვევაში, გარდა ბიზნესის გაერთიანებისა, როდესაც თავიდანვე დარეგისტრირებული გარიგება გავლენას არ ახდენდა არც საბუღალტრო და არც დასაბეგრ შემოსავალზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთები განისაზღვრებოდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიღებული და ფაქტიურად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთის/ტარიფის მიხედვით, რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება იმ პერიოდისთვის, როდესაც შეცვლილი იქნება დროებითი სხვაობა ან გადავადებული იქნება საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობებისთვის და საგადასახადო ზარალის გადავადებისთვის აღირიცხებოდა მხოლოდ იმ იმდენად, რამდენადაც სავარაუდო იყო დროებითი სხვაობის მომავალში შეცვალა და რომ მომავალში არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შესაძლებელია დაქვითვის გამოყენება.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იყო კომპენსირებული, როდესაც არსებობდა მიმდინარე საგადასახადო აქტივების კომპენსირების კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების მიხედვით და როდესაც აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული საშემოსავლო გადასახადის დაწესება ხდებოდა ერთი და იგივე საგადასახადო უწყების მიერ ერთი და იგივე ან სხვადასხვა დასაბეგრი სუბიექტის/სუბიექტების მიმართ, როდესაც იყო ნაშთების სალდირებული თანხით დაფარვის მცდელობა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიებმა (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპაიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ უნდა გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი 2017 წლის 1 იანრიდან მიღებული მოგებიდან მანამ, სანამ მოგება არ იქნება განაწილებული დივიდენდებად ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდების სახით.

15% -იანი საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება მთლიანი ღირებულებით (მაგ., წმინდა დივიდენდები შეიძლება გაიზარდოს 5%-ით, გადასახადის გამოქვითვის ხარჯზე, ასეთის გამოყენების შემთხვევაში და გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირისთვის დივიდენდის გადახდის დროს. რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან გათავისუფლებულია გადასახადისგან.

დივიდენდებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იავრამდე მიღებული შემოსავლიდან ერიცხებათ საშემოსავლო გადასახადი მთლიანი მოცულობით, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც დაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული შემოსავლის წილი, დეკლარირებული და გადახდილი დასაბეგრი მოგებიდან საერთო წმინდა მოგების საწინააღმდეგოდ იგივე პერიოდისთვის გადამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. მიუხედავად ამისა, საგადასახადო კრედიტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებაზე დარიცხულ ფაქტობრივ საშემოსავლო გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წაწმოქმნილი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც საშემოსავლო გადასახადის ხარჯი, იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა დივიდენდების დეკლარირება, მიუხედავად დივიდენდის გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომლის დივიდენდების გადახდაც ხდება. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული აქტივისა და ვალდებულების აღიარება 2016 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღრიცხა შესაბამისი გავლენა 2016 წლის მოგებასა და ზარალზე. პირობითი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

დივიდენდების განაწილების გარდა იბეგრება სხვა ხარჯები და გადასახდელები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომელთა მოცულობა აღემატება საქართველოს საგადასახადო კანონით დადგენილ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით და სხვა სატრანზაქციო ოპერაციებით მოსარგებლე რეესტრში დარეგისტრირებული ყველა იურიდიული პირისთვის წინასწარ გადახდილი თანხები, ისევე როგორც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირებისთვის მიცემული სესხები, აუცილებლად იბეგრება.

***ფინანსურ ანგარიშში ცვლილებების შეტანა მისი გამოცემის შემდეგ.*** ფინანსურ ანგარიშში ნებისმიერი ცვლილების შეტანა მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელიც იძლევა ფინანსური ანგარიშების გამოცემაზე ავტორიზაციას.

**5 ფასს-ის პირველი გამოყენება**

ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით ფასს-ზე გადასვლამდე კომპანიას არ ევალებოდა არანაირი ფინანსური ანგარიშის წარმოება, თუმცა კომპანია ნებაყოფლობით ადრეც აწარმოებდა ფინანსურ ანგარიშებს. კომპანიამ ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიში უკანასკნელად მოამზადა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი, მას შემდეგ კომპანიამ შეწყვიტა ფასს-ის გამოყენება, ვინაიდან არ არსებობდა მოთხოვნა ზოგადი დანიშნულების სავალდებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.

მაშასადამე, შედარება, თუ რამდენად იმოქმედა ადრინდელი ანგარიშგების მეთოდიდან ფასს-ის მეთოდზე გადასვლამდე კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური მაჩვენებლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ჩათვლით, ამ ფინანსურ ანგარიშში მოცემული არ არის. ფასს-ზე გადასვლამდე კომპანიას შენახული აქვს ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც, მეთოდები, გარკვეულ წილად ეფუძნებოდა გადასახადების რეგულირებაზე. მიუხედავად ამისა, კომპანია რეგულარულად აწარმოებდა კორპორატიული ანგარიშგების პაკეტს (“GRP”) ევროკავშირის მიერ მიღებული ფასს-ის შესაბამისად. კორპორატიული ანგარიშგების პაკეტში (“GRP”) ასახული კომპანიის კაპიტალი არ განსხვავდებოდა ფასს-ის მიხედვით 2016 წლის 1 იანვრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული კაპიტალისგან.

ფასს 1-ი მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენას ფასს-ზე გადასვლის თარიღის მიხედვით, რომელშიც შესული უნდა იყოს გარკვეული სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისები ფასს-ის რეტროსპექტული გამოყენებიდან. ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები.

## 6 ინფორმაცია შეფასების გაურკვევლობისა და გადაწყვეტილებების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანიის მიერ გაკეთებული შეფასებები და ვარაუდები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე მომავალი საფინანსო წლის მანძილზე. გაანგარიშებები და გადაწყვეტილებები მუდმივად განიცდის შეფასებას და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მომავალში მოსალოდნელი მოვლენების ჩათვლით, რომლებიც, სავარაუდოდ, გონივრული იქნება მოცემულ გარემოებებში. საანგარიშგებო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა, აგრეთვე, იღებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, გარდა შეფასებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა. გადაწყვეტილებები, რომლებსაც შეუძიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიო ფინანსურ ანგარიშებში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს მნიშვნელოვანი კორექტირებები აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაში მომავალი საფინანსო წლის მანძილზე, არის შემდეგი:

***ქონების, საწარმოს, ტექნიკისა და არამატერიალური აქტივების ხანგრძლივობის ვადა.*** ქონების, საწარმოსა და ტექნიკის ხანგრძლივობის ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის გადაწვეტილებაზე, მისი მსგავსი აქტივებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის ხანგრძლივობის ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მის სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ და ფიზიკურ ცვეთას, აორტიზაციას და ფიზიკურ გარემოს, რომელში აქტივი მუშაობს. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიო ამორტიზაციის კოეფიციენტის ცვლილება მომავალში.

**6 ინფორმაცია შეფასების გაურკვევლობისა და გადაწყვეტილებების ძირითადი წყაროების შესახებ (გაგრძელება)**

***სავაჭრო და სხვა დავალიანებების გაუფასურება.*** დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის განკუთვნილი რეზერვის მოცულობა დამოკიდებულია კომპანიის მიერ კონკრეტული კლიენტების ანგარიშებიდან თანხის ამოღების შესაძლებლობის შეფასებაზე. თუ ძირითადი კლიენტის კრედიტუნარიანობის გაუარესება ან რეალური დეფოლტის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე ეს ნაჩვენებია შეფასებაში, ფაქტრიური დებიტორული დავალიანება შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებაში მოცემულისგან. თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ცალკე შეფასებულმა დებიტორულმა დავალიანებამ, განიცადა გაუფასურება, იმის და მიუხედავად ის მნიშვნელოვანია, თუ არა, კომპანიას ამ დებიტორულ დავალიანებას აერთიანებს იმავე საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფში და ერთიანად აფასებს მას გაუფასურების ნიშნით.

ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება გადაიხედოს მომავალში, უარყოფითი ან დადებითი თვალსაზრისით, რაც დამოკიდებულია თითოეულ მათგანზე ზემოქმედების შედეგებსა და მოლოდინებზე.

***საგადასახადო კანონმდებლობა.*** როგორც მომდევნო 23-ე პუნქტშია განხილული, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა საქართველოში, მნიშვნელოვან წილად, გულისხმობს მის ინტერპრეტირებას და განიცდის საგადასახადო უწყებების მხრიდან მუდმივ კრიტიკას. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს განიცდის გადაფასებას ხელმძღვანელობის მხრიდან.

ვალდებულებები/პასივები აღრიცხულია საშემოსავლო გადასახადის თვალსაზრისით, ვინაიდან ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ გადასახდელი იქნება დამატებითი გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები პრეტენზიას გამოთქვამენ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. შეფასებები ემყარება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც მიღებულ იქნა და ფაქტიურად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დღის ბოლოს. ჯარიმებთან, პროცენტებთან და გადასახედებთან (გარდა საშემოსავლო გადასახადისა) დაკავშირებული ვალდებულებები აისახება ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ზუსტი შეფასების საფუძველზე.

***უწყვეტი საქმიანობა.*** ეს ფინანსური ანგარიში მომზადებულია უწყვეტი საქმიანობის საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

**7 სიახლეები საბუღალტრო აღრიცხვაში**

მიღებულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა შესრულება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრს დაწყებული საანგარიშო წლიდან, რომლებსაც კომპანია ადრე არ იყენებდა.

***ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები” (შესწორებულია 2014 წლის ივლისში და გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრიდან და მას შემდეგ დაწყებული ფინანსური წლებისთვის).*** ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივები კლასიფიცირებული უნდა იყოს სამ გაზომვით კატეგორიებად: მათი შემდგომი შეფასება საამორტიზაციო ღირებულების მიხედვით, შეფასება გონივრულ ფასად სხვა ერთობლივი შემოსავლის (FVOCI) გათვალისწინებით და მოგება-ზარალის გონივრული ღირებულების ღირებულების მიხედვით (FVPL).

- ვალის ინსტრუმენტების კლასიფიკაცია განისაზღვრება ორგანიზაციის ბიზნეს მოდელით ფინანსური აქტივების მართვის თვალსაზრისით და იმითაც, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი შემოსავალი მოიცავს თუ არა მხოლოდ ვალის ძირითადი თანხის და პროცენტების დაფარვას (SPPI). თუ ვალის ინსტრუმენტი არსებობს გადასახადის წარდგენისთვის, მაშინ შესაძლებელია მისი აღრიცხვა საამორტიზაციო ღირებულებით, თუ ეს რა თქმა უნდა შეესაბამება SPPI-ს მოთხოვნებს. ვალის ინსტრუმენტბი, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს მოთავსებულია პორტფელში, რომელშიც ორგანიზაცია აგროვებს, როგორც აქტივებიდან შემოსულ თანხებს, ასევე ახორციელებს აქტივების გაყიდვას, შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნეს როგორც გონივრულ ფასად შეფასებული სხვა ერთობლივი შემოსავლის გათვალისწინებით. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავს ფულადი სახსრების მოძრაობას, არის „SPPI“, უნდა შეფასდეს „FVPL“-ის მიხედვით (მაგ. წარმოებულები). განუყოფელი წარმოებულები არა თუ აღარ არის განცალკებული ფინანსური აქტივებიდან, არამედ ჩართულია შეფასებაში SPPI-ს პირობის შესაბამისად.

- ინვესტიციების წილობრივ ინსტრუმენტებში ყოველთვის შეფასდება გონივრული ღირებულებით. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია განახორციელოს შეუქცევადი არჩევნები სხვა ერთობლივი შემოსავლის გონივრულ ფასში ცვლილების წარმოდგენის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტი არ არის ვაჭრობისთვის განკუთვნილი. თუ წილობრივი ინსტრუმენტი გამიზნულია ვაჭრობისათვის, ცვლილებები გონივრულ ფასში აისახება მოგებაში ან ზარალში.

- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული ფასს 39-ის მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად არის გადატანილი ფასს 9-ში. ძოროთდ ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოს ევალება საკუთარ ფინანსურ ვალდებულებებზე საკრედიტო რისკების ცვლილების ასახვა, მოგება ზარალის გონივრულ ფასად შეფასების გზით სხვა ერთობლივ შემოსავალთან მიმართებაში.

**7 სიახლეები საბუღალტრო აღრიცხვაში (გაგრძელება)**

- ფასს 9-ში წარმოდგენილია გაუფასურებული ზარალის ასახვის ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი (ECL). არსებობს 'სამეტაპიანი' მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას მისი პირველადი შეფასების შემდეგ. პრაქტიკაში, ახალი წესები ნიშნავს იმას, რომ კომპანიები ვალდებულნი იქნებიან დაუყოვნებლივ აღრიცხონ ზარალი, რომელიც უდრის 12-თვიან მოსალოდნელ ზარალს (ECL), დაწყებული ფინანსური აქტივების პირველადი შეფასებიდან, როდესაც ისინი არ არიან გაუფასურებული (ან ECL ხანგრძლივობის მიხედვით სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის). საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურება ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხანგრძლივობის გამოყენებით და არა 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის (ECL) მიხედვით. მოდელი მოიცავს გამარტივებულ ოპერაციებს საიჯარო და სავაჭრო დავალიანებებისთვის.
- ჰეჯირებული აღრიცხვის მოთხოვნებში შეტანილ იქნა ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის რისკის მენეჯმენტთან უფრო მჭირდროდ დაკავშირების მიზნით. სტანდარტი კომპანიებს სთავაზობს შესაძლებლობას გააკეთოს არჩევანი საანგარიშო მეთოდებს შორის, კერძდ, გამოიყენოს ფასს 9-ის ჰეჯირებული აღრიცხვის მეთოდები თუ გააგრძელოს ბასს 39-ის ჰეჯირებული აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენება ყველა ჰეჯირების მიმართ, ვინაიდან ეს სტანდარტი ამჟამად არ ითვალისწინებს მაკროჰეჯირებას.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე დროს, ამ პერიოდისთვის არსებული ფაქტებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობა არ ფიქრობს, რომ 2018 წლის 1 იანვარს მიღებული ახალი სტანდარტები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების მიმართ, გარდა მოგება- ზარალის გონივრული ფასით (FVTPL) აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების გონივრული ფასის ცვლილებებისაი, რომლებიც დაკავშირებულია ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის ცვლილებასთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება სხვა ერთობლივ შემოსავალში

ახალი სტანდარტი აგრეთვე ითვალისწინებს ფართო მოთხოვნებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციისა და ცვლილებების წარდგენის თვალსაზრისით. მოსალოდნელია, რომ ახალი სტანდარტი შეცვლის კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის არსსა და მოცულობას, განსაკუთრებით, ახალი სტანდარტის მიღების წელს.

***ფასს 15, შემოსავლები კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გამოცემული 2014 წლის 28 მაისს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს).*** ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ძირითად პრინციპს, რომლის თანახმადაც შემოსავალი უნდა იქნეს აღრიცხული/აღიარებული, როდესაც საქონელი ან მომსახურება გადაეცემა კლიენტს ტრანზაქციის ფასად. ნებისმიერი შეკრული საქონელი ან მომსახურეობა, რომელიც აუცილებლად ცალკე უნდა იყოს აღრიცხული, აგრეტვე ნებისმიერი ფასდაკლება ან შეღავათი საკონტრაქტო ფასთან მიმართებაში, ზოგადად, უნდა გადანაწილდეს ცალკეულ ელემენტებად. როდესაც შეთანხმება იცვლება ნებისმიერი მიზეზით, უნდა დაფიქსირდეს მინიმალური თანხა, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების რისკი. კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების კაპიტალიზაცია და ამორტიზაცია უნდა მოხდეს იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც იქნა მიღებული სარგებელი აღნიშნული ხელშეკრულებიდან.

***შესწორებები ფასს 15-ში, შემოსავლები კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან).*** შესწორებები არ ცვლის სტანდარტის ძირითად პრინციპებს, ის აზუსტებს ამ პრინციპების გამოყენების წესს. შესწორება განმარტავს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ვალდებულების შესრულება (კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების პირობა) ხელშეკრულებაში; როგორ განვსაზღვროთ არის თუა არა კომპანია მთავარი (საქონლის ან მომსახურების მომწოდებელი) თუ აგენტი (პასუხისმგებელისაქონლის ან მომსახურების მოწოდებაზე) და როგორ განვსაზღროთ, ლიცენზიის გადაცემიდან მიღებული შემოსავალი უნდა აღირიცხოს მაშინვე თუ შემდგომ პერიოდში. და ბოლოს განმარტებებთან მიმართებაში, ცვლილებით გამარტივებულია ხარჯების შემცირება და კომპანიის სირთულეები ახალი სტანდარტის პირველად გამოყენებისას.

ფასს 15-ის გარდამავალი დებულებების თანახმად, კომპანიამ აირჩია გამარტივებული გადასვლის მეთოდი და პერიოდი 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე კომპანიისთვის იქნება ფასს 15-ის სტანდარტებით მუშაობის პირველი წელი.

კომპანია გეგმავს პრაქტიკული რესურსის გამოყენებას ახალ მეთოდზე გადასვლის გამარტივების მიზნით. კომპანია ფასს 15-ს იყენებს უკანა რიცხვით მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც არ არის დასრულებული პირველადი განაცხადის თარიღისთვის (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ზე გადასვლა გამოიწვევს ცვლილებებს ანგარიშგების პოლიტიკაში. 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კომპანიის შემოსავლების, ცალკეული ხელშეკრულებების პირობებისა და აღნიშნული თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე, გამარტივებული გარდამავალი მეთოდის გამოყენების გათვალისწინებით, კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელოდება მნიშვნელოვან გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე 2018 წლის 1 იანვარს მიღებული ახალი სტანდარტის გამო.

## 7 ბუღალტრული აღრიცხვის სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 15-ის მიღებასთან დაკავშირებული ძირითადი ცვლილებები განმარტებულია ქვემოთ:

- ხელშეკრულების ცვლილებების აღრიცხვა,
- დამატებითი შესრულების ვალდებულებები გამოვლენილია,
- ცვლადი მოსაზრებების აღრიცხვა,
- მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის აღრიცხვა,
- კლიენტების ლოიალურობის პროგრამების აღრიცხვა,
- შემოსავლების აღიარების დროში ცვლილებები (დროთა განმავლობაში, ან პირიქით),
- საბუღალტრო ანგარიშსწორება,
- ლიცენზიების აღრიცხვა,
- ხელშეკრულების მოსაპოვებლად ხარჯების აღრიცხვა,
- ხელშეკრულების შესასრულებლად ხარჯების აღრიცხვა,
- ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების პრეზენტაცია,
- სხვა.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ხელმძღვანელობა არ ელის ცვლილებებს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგენილ ფინანსურ ანგარიშში, რომელიც არის კომპანიის მიერ ფასს 15-ის გამოყენების პირველი დღე საკუთარ ფინანსურ ანგარიშებში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის. ეს გახლავთ კომპანიის ხელმძღვანელობის წინასწარი ხედვა და შესაძლოა, რომ 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის შედგენილ ფინანსური ანგარიშის მაჩვენებლები განსხვავდებოდეს წინასწარი ხედვით გათვალისწინებული ანგარიშებისგან.

***ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური საანგარიშო პერიოდისთვის).*** ახალი სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღრიცხვის გაზომვის, პრეზენტაციისა და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა იჯარის შედეგად მოიჯარეს გადაეცემა უფლება ისარგებლოს აქტივით საიჯარო პერიოდის დასაწყისში და თუ ანგარიშსწორება საიჯარო ხელშეკრულებების მიხედვით წარმოებს ხანგრძლივი დროით, მას აგრეთვე აქვს თანხის აღების უფლებაც. შესაბამისად, IFRS 16-ში ამოღებულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო და ფინანსურ იჯარებად, როგორც ეს მოთხოვნილი იყო ბასს 17-ით და ამის სანაცვლოდ წარმოადგენილია მოიჯარის ერთიანი საბუღალტრო მოდელი. მოიჯარეები ვალდებულნი არიან აღიარონ : (ა) ყველა იჯარის აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტი ვადით, თუ ძირითადი აქტივი არ არის უფრო დაბალი ღირებულების; და (ბ) საიჯარო აქტივების გაუფასურება მოგება-ზარალისა და მთლიანი შემოსავლის ანგარიშში დაფი ქსირებული სალიზინგო ვალდებულებების პროცენტისგან განცალკევებით. ფასს 16-ის მიხედვით მნიშვნელოვნად გადაწეულია ბასს 17-ით გათვალისწინებული მეიჯარის მიმართ არსებული საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს საკუთარი იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო და ფინანსური იჯარების მიხედვით და ამ ორ იჯარას სხვადასხვაგვარად აღრიცხავს. კომპანია ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე.

***ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოიცა 2017 წლის 18 მაისს და ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიდან ).*** ფასს 17 ცვლის ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს უფლებას აძლევს აწარმოონ სადაზღვევო ხელშეკლურებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტპრებისთვის რთული იყო მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17-ი iარის ერთიან პრონციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით აღრიცხვის/ანგარიშის საწარმოებლად, გადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით, რომლებიც გააჩნია მზღვეველს. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებასა და შეფასებას (i) მომავალში შემოსული ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულების რისკის გათვალისწინებით (დასრულებული ფულადი შემოსავლები), რაც მოიცავს ფულადი სახსრების შემოსავლის შესახებ ყოველგვარ ინფორმაციას საბაზრო მონაცემების შესაბამისად; პლუსი (თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუსი (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიუღებელი შემოსავლით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ შემოსავალს იმ პერიოდის მანძილზე, რა პერიოდის დაზღვევასაც ისინი უზრუნველყოფენ და თუ რამდენად თავისუფალი არიან ისინი რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალიანი კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ აღიაროს ზარალი. კომპანია არ ელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე.

**7 ზუღალტრული აღრიცხვის სიახლეები (გაგრძელება)**

***IFRIC 22 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტი 22 ) "ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანგარიშსწორებები" (გამოქვეყნებული 2016 წლის 8 დეკემბერს, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრით დაწყებულ ფინანსურ წელს ან მის შემდგომ).*** ამ ინტერპრეტაციაში განხილულია ტრანზაქციის თარიღის დადგენის მეთოდი უცხოური სავალუტო ოპერაციების სტანდარტის გამოყენებით, ბასს 21. ეს იმტერპრეტაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია იხდის ან იღებს თანხას წინასწარი ანგარიშსწორების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხელშეკრულებების მიხედვით. ინტერპრეტაციაში განმარტებულია, რომ ტრანზაქციის თარიღად მიიჩნევა არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების პირველადი აღიარების თარიღი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა თანხის წინასწარ გადახდა ან აღება. მრავალჯერადი ანგარიშსწორების (თანხის წინასწარ გადახდის ან აღების) შემთხვევაში, ინტერპრეტაციის მიხედვით ორგანიზაციას მოეთხოვება თითოეული სატრანზაქციო წინასწარი ანგარიშსწორების თარიღის დაფიქსირება. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე.

***IFRIC 23 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტი 22 ) "გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით" (გამოქვეყნებული 2017 წლის 7 ივნისს, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრით დაწყებულ ფინანსურ წელს ან მის შემდგომ)I.*** ბასს 12 განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოახდინოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ანგარიშგება, მაგრამ არა ის, თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის შედეგები. ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული აღიარებისა და შეფასების ბასს 12-ის მოთხოვნა შემოსავლის დაბეგვრის მეთოდების გაურკვევლობის პირობებში. ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, შემეოსავლის დაბეგვრის ყოველი შემთხვევისთვის ცალკეულ მეთოდს გამოიყენებს, თუ ყველა შემთხვევისთვის ერთს ან მეტ მეთოდს, რომელთა საფუძველზე მოიძებნება უკეთესი გამოსავალი გაურკვევლობიდან. ორგანიზაციამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ საგადასახადო ორგანო აუცილებლად გამოიკვლევს იმ თანხებს, რომელთა გამოკვლევის უფლებაც მას გააჩნია და მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციას. თუ ორგანიზაცია მივა იმ დასვნამდე, რომ საგადასახადო ორგანოსთვის შეუძლებელია დაბეგვრის გაურკვეველი რეჟიმის მიღება, ვინაიდან, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დასაბეგრ მოგება-ზარალის განსაზღვრაზე, საგადასახადო ბაზაზე, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალზე, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებზე ან საგადასახადო ტარიფებზე, ყველაზე რეალური თანხის ან მოსალოდნელი თანხის გამოყენებით, იმის და მიხედვით, თუ რომელ გამოსავალს უფრო ეფექტურად მიიჩნევს კომპანია აღნიშნული გაურკვევლობიდან. ორგანიზაცია ასახავს ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების და ახალი ინფორმაციის ეფექტს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინტერპრეტაციით მოთხოვნილ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებზე, როგორც საანგარიშო შეფასებების ცვლილებებზე. ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის გავლენის მაგალითებს, კერძოდ, გადაწყვეტილებების და შეფასებების გადაფასების მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებულ შემოწმებასა და ქმედებებში, საგადასახადო ორგანოს მიერ დამტკიცებულ წესების ცვლილებებში ან საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმებისა და ქმედებების განხორციელებაზე უფლებამოსილების ამოწურვით. საგადასახადო რეჟიმის მიმართ თანხმობის ან უთანხმოების მიუხედვად, საგადასახადო ორგანოს, სავარაუდოდ, არ შეუძლია ცვლილება მოახდინოს ფაქტებზე, გარემოებებზე ან ახალ ინფორმაციაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ინტერპრეტაციით მოთხოვნილ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე.

გამოცხადებული ახალი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, რომ რაიმე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიაზე მათი დამტკიცების შემთხვევაში:

- ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოებს შორის აქტივების გაყიდვა ან დაბანდება – ცვლილებები ფასს (IFRS) 10-ში და ბასს (IAS) 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ამოქმედდება ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებულ ფინანსურ წელს).
- ცვლილებები ფასს (IFRS) 2-ში, აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრით დაწყებულ ან მას შემდეგ ფინანსურ წელს).
- ფასს (IFRS) 9-ის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ბასს (IFRS) 4-ის სადაზღვევო ხელშეკრულებებთან მიმართებაში - ცვლილებები ფასს (IFRS) 4-ში (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდის მიმართ მიდგომის შესაბამისად იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც იყენებენ გადასახადებიდან დროებით გათავისუფლების უფლებას ან კომპანია პირველად იყენებს ფასს (IFRS) 9-ის მეთოდს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ირჩევენ გადაფარვის მეთოდს).
- საინვესტიციო ქონების ტრანსფერები - ბასს 40-ის შესწორებები (გამოცემული 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედებული 2018 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიდან ან მის შემდგომ პერიოდში).
- ფასს (IFRS) 2014-2016 ციკლის წლიური მაჩვენებლების შესწორება – ცვლილებები ფასს (IFRS) 1-ში და ბასს (IAS) 28-ში (გამოცემული 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრით დაწყებულ პერიოდში ან მის შემდეგ).
- წინასწიური ანგარიშსწორება უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრით დაწყებულ წელს ან მის შემდეგ).
- გრძელვადიანი ინტერესები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში - ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრით დაწყებულ წელს ან მის შემდეგ).

თუ სხვა რამ არ არის ზემოთ აღწერილი. მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რაიმე მნიშვნელოვან გავლენას იქონებენ კომპანიის ფინანსურ ანგატიშებზე.

## 8 ქონება, საწარმო და აღჭურვილობა

| *ათასი ქართული ლარი* | მიწა და შენობები | საწარმო და აღჭურვილობა | ავეჯი, ფურნიტურა და საოფისე ტექნიკა | სატრანსპორტო საშუალებები | CIP* | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ხარჯი** | | | | | | |
| 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 15,116 | 26,630 | 364 | 1,986 | 604 | 44,700 |
| დამატებები | - | 128 | 48 | 334 | 380 | 890 |
| ტრანსფერები | 109 | 101 | - | - | (210) | - |
| ჩამოწერა | - | (10) | (9) | (40) | - | (59) |
| **2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **15,225** | **26,849** | **403** | **2,280** | **774** | **45,531** |
| დამატებები | - | 150 | 140 | 56 | 2,694 | 3,040 |
| ტრანსფერები | 2,473 | 438 | - | - | (2,911) | - |
| ჩამოწერა | - | (52) | (8) | (275) | - | (335) |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **17,698** | **27,385** | **535** | **2,061** | **557** | **48,236** |
| **დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია** | | | | | | |
| 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 2,231 | 10,185 | 154 | 1,084 | - | 13,654 |
| საამორტიზაციო ანარიცხები | 495 | 1,967 | 43 | 274 | - | 2,779 |
| განადგურებულია ამოღებისას | - | (10) | (5) | (40) | - | (55) |
| **2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,726** | **12,142** | **192** | **1,318** | **-** | **16,378** |
| საამორტიზაციო ანარიცხები | 517 | 2,023 | 45 | 321 | - | 2,906 |
| განადგურებულია ამოღებისას | - | (53) | (8) | (271) | - | (332) |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,243** | **14,112** | **229** | **1,368** | **-** | **18,952** |
| **საბალანსე ღირებულება** | | | | | | |
| 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 12,885 | 16,445 | 210 | 902 | 604 | 31,046 |
| 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 12,499 | 14,707 | 211 | 962 | 774 | 29,153 |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **14,455** | **13,273** | **306** | **693** | **557** | **29,284** |

*(*) CIP – მიმდინარე მშენებლობები და ჩაუმონტაჟებელი მოწყობილობები*

2016 წელს კომპანიამ დაიწყო ტრენინგების ცენტრის მშენებლობა, სადაც ჩატარდება სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ტრენინგები. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის თანხამ სულ 1,870 ათასი ლარი შეადგინა. მშენებლობა ნაწილობრივ დაფინანსებული იყო „Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft“-ის მიერ (შემდგომში – “DEG”). დაფინანსების შემდგომი დეტალები მოცემულია შენიშვნა 12-ში.

## 9 სასაქაონლო-მატერიალური მარაგი

| *ათასი ქართული ლარი* | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| ნედლეული | 4,058 | 2,797 | 3,324 |
| ვარგისია გადაყიდვისთვის | 2,844 | 1,990 | 2,042 |
| მზა პროდუქცია | 793 | 823 | 1,233 |
| სხვა | 96 | 45 | 12 |
| **სულ სასაქაონლო-მატერიალური მარაგი** | **7,791** | **5,655** | **6,611** |

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ასახვისას ხარჯად აღიარებულმა საინვენტარიზაციო ღირებულებამ შეადგინა 32,457 ათასი ლარი (2016: 24,010 ათასი ლარი).

## 10 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

| *ათასი ქართული ლარი* | **31 დეკემბრი 2017** | **31 დეკემბერი 2016** | **1 იანვარი 2016** |
|---|---|---|---|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება | 1,740 | 1,474 | 1,377 |
| ნაკლები: გაუფასურების შედეგად ზარალის რეზერვები | - | - | - |
| **მთლიანი სავაჭრო და დებიტორული დავალიანება, სუფთა** | 1,740 | 1,474 | 1,377 |
| წინასწარ ანგარიშწორება მომწოდებლებთან | 616 | 1,185 | 481 |
| მისაღები სამთავრობო გრანტი (შენიშვნა 12) | 601 | - | - |
| სხვა მისაღები თანხები | 16 | 4 | 87 |
| **მთლიანი სავაჭრო და სხვა მისაღები თანხები** | **2,973** | **2,663** | **1,945** |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ოპერაციებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების სუფთა გაუფასურების ზარალის უზრუნველყოფა 163 ათასი ლარის ოდენობით დენომინირებულ იქნა ევროში, შესაბამისად (2016 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი დენომინირებულია - 16 ათასი ლარში; ევრო დენომინირებულია - 10 ათას ლარში, 2016 წლის 1 იანვარი : EUR დენომინირებული - 82 ათას ლარში).

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ანალიზი არის შემდეგი:

| | **31 დეკემბერი 2017** | | **31 დეკემბერი 2016** | | **1 იანვარი 2016** | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ათასი ქართული ლარი* | **სავაჭრო დავალიანება** | **სხვა ფინანსური დავალიანებები** | **სავაჭრო დავალიანება** | **სხვა ფინანსური დავალიანებები** | **სავაჭრო დავალიანება** | **სხვა ფინანსური დავალიანებები** |
| *მიმდინარე და გაუუფასურებელი* | 1,477 | 601 | 1,301 | - | 116 | - |
| **მთლიანი მიმდინარე და გაუუფასურებელი** | **1,477** | **601** | **1,301** | **-** | **116** | **-** |
| *მიმდინარე და გაუუფასურებელი* | | | | | | |
| - 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული | 138 | - | 9 | - | 75 | - |
| - 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული | 33 | - | 42 | - | 473 | - |
| - 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული | 92 | - | 122 | - | 713 | - |
| **სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული** | **263** | **-** | **173** | **-** | **1,261** | **-** |
| *ინდივიდუალურად განისაზღვრება, როგორც გაუფასურებული (მთლიანი დარიცხული)* | | | | | | |
| - 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული | - | - | - | - | - | - |
| - 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული | - | - | - | - | - | - |
| - 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული | - | - | - | - | - | - |
| **სულ ინდივიდუალურად გაუფასურდა** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **ნაკლები გაუფასურების უზრუნველყოფა** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **მთლიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,740** | **601** | **1,474** | **-** | **1,377** | **-** |

## 11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| *ათასი ქართული ლარი* | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 1 | 1 | 1 |
| მიმდინარე ანგარიშები ბანკებში | | | |
| ლარში დენომინირებული | 345 | 902 | 1,075 |
| აშშ დოლარში დენომინირებული | 1,663 | 1,401 | 62 |
| ევროში დენომინირებული | 3,437 | 1,681 | 327 |
| თურქულ ლირაში დენომინირებული | - | 484 | - |
| **სულ ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები** | **5,446** | **4,469** | **1,464** |

ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხის დაჯამება შესაძლებელია ფიტჩის რეიტინგების მიხედვით 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი სახით:

| *ათასი ქართული ლარი* | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| *არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული* | | | |
| - B რეიტინგი | 5,445 | 4,468 | 1,463 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,445** | **4,468** | **1,463** |

## 12 სახელმწიფო გრანტები

კომპანიამ მოიპოვა სამთავრობო გრანტი ახალი სასწავლო ცენტრის (შენიშვნა 8) მშენებლობისთვის და ასახა გადავადებულ შემოსავლებში შემდეგნაირად:

| *ათასი ქართული ლარი* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| **გადავადებული შემოსავლის ვალდებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **-** |
| მიღებული ახალი გრანტები | 601 | - |
| გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია შესაბამის ცვეთასთან შესადარებლად | - | - |
| **გადავადებული საშემოსავლო ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **601** | **-** |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული შემოსავლის ვალდებულებების მიმდინარე და გრძელვადიან ნაწილში შეადგენს 176 ათას ლარს და 425 ათას ლარს, შესაბამისად.

## 13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის თავდაპირველი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 6,973 ათასი ლარის ოდენობით, შემდგომში გაიზარდა 58,146 ათას ლარამდე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალში სესხების კაპიტალიზაციისა და ფულის შენატანების გზით. 2016 წლის განმავლობაში კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით შპს "კნაუფ გიპს თბილის"-მა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირისგან შეიძინა აღჭურვილობა და დაუყოვნებლივ მიჰყიდა სხვა პირს, ასევე საერთო კონტროლის ქვეშ მყოფს, რის შედეგადაც მოხდა 645 ათასი ლარის ფულადი სახსრების შემოდინება. ვინაიდან აღნიშნულ გარიგებას აკონტროლებდა, კომპანიის მფლობელი, აღნიშნული ჩაითვალა, როგორც კაპიტალის ზრდა. 2017 წლის 13 დეკემბერს კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით, საწესდებო კაპიტალი შემცირდა 3,446 ლარით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 55,345 ათასი ლარი.

## 14 სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება

| ათასი ქართული ლარი | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| სავაჭრო გადასახადები | 2,535 | 999 | 1,837 |
| *მთლიანი ფინანს.დავალ.სავაჭრო და საკრ.დავალ.გარეშე* | *2,535* | *999* | *1,837* |
| თანამშრ.შრომ.ანაზღ.დარიცხული ხარჯები | 424 | 387 | 193 |
| სხვა გადასახდელი გადასახადები | 305 | 429 | 82 |
| სხვა | 121 | 29 | 24 |
| **სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება** | **3,385** | **1,844** | **2,136** |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 604 ათასი ლარის, 976 ათასი ლარის და 160 ლარის ფინანსური ოპერაციები და სხვა საკრედიტო დავალიანებები დენომინირებულ იქნა აშშ დოლარში, ევროში და თურქულ ლირაში, შესაბამისად (2016 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარში დენომინირებულია - 499 ლარი, ევროში დენომინირებულია - 267 ლარი, თურქულ ლირაში დენომინირებულია - ნული; 2016 წლის 1 იანვარი: აშშ დოლარში დენომინირებულია - 316 ათასი ლარი, ევროში დენომინირებული - 766 ათასი ლარი, თურქულ ლირაში - 568 ათასი ლარი).

## 15 შემოსავალი

| *ათასი ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| მზა პროდუქციის რეალიზაცია | 35,759 | 28,357 |
| გადასაყიდი საქონლის რეალიზაცია | 19,737 | 13,395 |
| გაწეული მომსახურეობები | 75 | 96 |
| **მთლიანი შემოსავალი** | **55,571** | **41,848** |

## 16 გაყიდვების ღირებულება

| *ათასი ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| გამოყენებული ნედლეული და მასალები | 32,457 | 24,010 |
| ენერგო და კომუნალური ხარჯები | 3,496 | 3,413 |
| თანამშრომლების სახელფასო და საკონპენსაციო ხარჯები | 3,196 | 2,868 |
| საამორტიზაციო ხარჯები | 2,907 | 2,813 |
| სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები | 639 | 458 |
| **გაყიდვების საერთო ღირებულება** | **42,695** | **33,562** |

## 17 სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ხარჯები

| *ათასი ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| სატრანსპორტო ხარჯები | 2,961 | 2,427 |
| მარკეტინგისა და სარეკლამო ხარჯები | 995 | 943 |
| თანამშრომლების სახელფასო და საკონპენსაციო ხარჯები | 163 | 140 |

| | | |
|---|---|---|
| **მთლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** | **4,119** | **3,510** |

## 18 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

| *ათასი ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| პროფესიული მომსახურების ხარჯები | 1,421 | 1,362 |
| თანამშრომლების სახელფასო და საკომპენსაციო ხარჯები | 831 | 863 |
| მივლინებები | 248 | 147 |
| კომუნალური ხარჯები | 151 | 146 |
| საოპერაციო იჯარის ხარჯები | 124 | 144 |
| საამორტიზაციო ხარჯები | 50 | 48 |
| სხვა | 54 | 117 |
| **სარეალიზაციო და დისტრიბუციის მთლიანი ხარჯი** | **2,879** | **2,827** |

## 19 სხვა საოპერაციო ხარჯები

| *ათასი ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი | 704 | 336 |
| ნორმის ზევით ზარალი | 471 | 419 |
| რემონტი და ტექნიკური მომსახურება | 366 | 403 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 94 | 78 |
| Iდაზღვევის ხარჯი | 93 | 118 |
| *სხვა* | 29 | 21 |
| **მთლიანი სხვა საოპერაციო ხარჯები** | **1,757** | **1,375** |

## 20 ფინანსური შემოსავალი

| *ათასი ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| სავალუტო მოგება, წმინდა | 386 | - |
| საპროცენტო შემოსავალი | 241 | 138 |
| **მთლიანი ფინანსური შემოსავალი** | **627** | **138** |

## 21 ფინანსური ხარჯი

| *ათასი ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| უცხოური სავალუტო დანაკარგები, წმინდა | - | (275) |
| **მთლიანი ფინანსური ხარჯი** | **-** | **(275)** |

## 22 საშემოსავლო გადასახადი

| *ათასი ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| მიმდინარე გადასახადი | - | - |
| საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების გამო გადავადებული გადასახადის გადაანგარიშება | - | 1,022 |
| **საშემოსავლო გადასახადის კრედიტი წელიწადში** | **-** | **1,022** |

კომპანიის შემოსავლისთვის გამოსაყენებელი საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 15% (2015: 15%).

**22 საშემოსავლო გადასახადი (გაგრძელება)**

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საშემოსავლო გადასახადის აღიარების და შეფასების პრინციპებზე. დაგეგმილი ცვლილებები, ასევე, გავლენას ახდენს კომპანიის გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივებზე/ პასივებზე. კომპანიებმა არ მოუწევთ გადასახადის გადახდა საკუთარ შემოსავალზე (2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულზე), სანამ მოგება ნაწილდება დივიდენდების სახით ან მოგების განაწილების სხვა ფორმით. დივიდენდის გადახდის შემთხვევაში, გადახდას ექვემდებარება 15% -იანი საშემოსავლო გადასახადი დივიდენდების გადახდის მომენტში, მიუხედავად იმისა, ფულადი სახით იქნა აბაზღაურებული დივიდენდი, არა არაფულადი სახით, ეს წესი ვრცელდება უცხოელ არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე და უცხოელ და ადგილობრივ ფიზიკურ პირებზე. რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულნი არიან გადასახადებიდან. და ბოლოს, დივიდენდების განაწილებასთან მიმართებაში, გადასახადი კვლავ ერიცხება ხარჯებსა და სხვა ანგარიშწორებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება და/ან ფულადი გადარიცხვები და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ თანხას, იმავე თვეში, რომელშიც მოხდა მათი დარიცხვა. გარდა ამისა, საქართველოდან გადახდილი ყველა ავანსი დაუყოვნებლივ იბეგრება, ისევე როგორც სესხის გაცემა ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. საქართველოს ზემოთ ხსენებული საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, შეწყვეტილ იქნს გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოსალოდნელი და ფაქტიური საგადასახადო მოსაკრებლის ურთიერთშეჯერება მოცემულია ქვემოთ:

| *ათასობით ქართული ლარი* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| **მოგება საშემოსავლო გადასახადის დარიცხვამდე** | **4,817** | **481** |
| თეორიული საშემოსავლო გადასახადის ხარჯი განაკვეთზე 15% | (723) | (72) |
| იმ საშუალებების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც არ ექვემდებარება დაქვითვას ან შეფასებას საგადასახადო მიზნებისთვის | 723 | - |
| საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების გამო გადავადებული გადასახადის გადაანგარიშება | - | (1,094) |
| **საშემოსავლო გადასახადის კრედიტი წელიწადში** | **-** | **1,022** |

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, როგორც ეს აღწერილია ზემოთ, განსხვავებამ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშებში კომპანიის აქტივებისათვის და ვალდებულებებისათვის აღიარებულ თანხებსა და იგივე აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ორგანოების მიერ აღიარებულს შორის, აგრეთვე ამჟამად გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და საგადასახადო შეღავათების სამომავლოდ გადაწევამ გამოიწვია დროებითი სხვაობა ფინანსური ანგარიშგებისთვის განკუთვნილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვის განკუთვნილს შორის. საგადასახადო ეფექტი დროებით ცვლილებებსა და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით გამოწვეულ გადაფასებას შორის მოცემულია ქვემოთ:

| *ათასობით ქართული ლარი* | **1 იანვარი 2016** | **გადაფასება საგადასახადო კანონში ცვლილებების გამო** | **31 დეკემბერი 2016** |
|---|---|---|---|
| **გამოსაქვითი დროებ.სახვაობის საგადასახადო ეფექტი** | | | - |
| სავაჭრო და სხვა დებიტ. დავალიანებები | 39 | (39) | - |
| სავაჭრო და სხვა საკრ. დავალიანებები | 29 | (29) | - |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | 58 | (58) | - |
| **მთლიანი გადავადებული საშემოსავლო გადასახადი** | **126** | **(126)** | **-** |
| **დასაბეგრი დროებითი სხვაობის საგადასახადო ეფექტი** | | | |
| საკუთრება, საწარმო და აღჭურვილობა | (1,148) | 1,148 | - |
| **მთლიანი გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება** | **(1,148)** | **1,148** | **-** |
| **წმინდა გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება** | **(1,022)** | **1,022** | **-** |

**გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები**

***საგადასახადო კანონმდებლობა.*** საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური უწყებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგო და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული. გადასახადები ექვემდებარება იძიებენ რიგი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან თავად დააკისროს მკაცრი ჯარიმები, სახდელები და საპროცენტო განაკვეთები.

საგადასახადო წელი ღიად რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ განხილვის მიზნით მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებების და გამო საგადასახადო წელი შეიძლება ღიად დარჩეს უფრო მეტი ხნით. ამ გარემოებებს შეუძიათ საგადასახადო რისკების შექმნა საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

***გარემოსდაცვითი საკითხები.*** მუდმივად ვითარდება გარემოსდაცვითი რეგულაციების განხორციელება საქართველოში და სამთავრობო ორგანოების მიერ მუდმივად განიხილება მათი შესრულების მეთოდები. კომპანია პერიოდულად აფასებს საკუთარ ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად. ვალდებულებების განისაზღვრისთანავე ხდება მათი დაუყოვნებლივი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული წესების, სამოქალაქო სამართალწარმოების ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, არ შეიძლება შეფასდეს, მაგრამ შეიძლება იყოს არსებითად მნიშვნელოვანი. ამჟამინდელ კანონმდებლობაში არსებული სააღსრულებო კლიმატის მიხედვით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსთვის ზიანის მიყენების თვალსაზრისით. კომპანია პერიოდულად აფასებს საკუთარ ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების მიმართ.

**23 ფინანსური რისკის მენეჯმენტი**

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიაში ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და ფასის ცვლილების რისკს), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ფარგლების დადგენა, შემდეგ კი, რისკების გავლენის ამ დადგენილ ფარგლებში შენარჩუნების უზრუნველყოფა. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების გამართულად ფუნქციონირებისაკენ, რათა მოხდეს ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმიზაცია.

***საკრედიტო რისკი***. კომპანია არ არის დაცული საკრედიტო რისკებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის გავლენის საფრთხე დგება იმ შემთხვევაში, თუ კომპანია პროდუქციას გაყიდის საკრედიტო პირობებით და განახორციელებს ტრანზაქციებს კონტრპარტნიორებთან, რაც გამოიწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმუმი აქტივების კლასის მიხედვით არის შემდეგი:

| *ათასობით ქართული ლარი* | **31 დეკემბერი 2017** | **31 დეკემბერი 2016** | **1 იანვარი 2016** |
|---|---|---|---|
| *სავაჭრო და სხვა დებიტ.დავალიანებ. (შენიშ.* **Error! Reference source not found.*)*** | | | |
| - სავაჭრო დავალიანებები | 1,740 | 1,474 | 1,377 |
| *საგრანტო დავალიანებები (შენიშვნა* ***Error! Reference source not found.)*** | 601 | - | - |
| *ფილადი სახსრ. და მათი ეკვივალ. (შენიშვნა* **Error! Reference source not found.*)*** | | | |
| - საბანკო ნაშთების გადახდა მოთხოვნის შესაბამისად | 5,445 | 4,468 | 1,463 |
| **საკრედიტო რისკის მთლიანი მაქსიმუმი 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **7,786** | **5,942** | **2,840** |

კომპანია აყალიბებს საკუთარ თავზე აღებული საკრედიტო რისკის დონეს კონტრპარტნიორების ან კონტრპარტნიორთა ჯგუფების მიმართ აღებული რისკის თანხაზე ლიმიტის დაწესების გზით. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. მსგავსი რისკების მონიტორინგი მუდმივად განახლებადი პრრინციპის საფუძველზე და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ განხილვას.

კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს დაუფარავი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანალიზს მათი ვადების შესაბამისად და ამოწმებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს. ამიტომ, კომპანიის ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს საკრედიტო რისკების შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის მიწოდებას, დავალიანების ვადების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით,როგორც ეს მოცემულია 10-ე პუნქტში.

**24 ფინანსური რისკის მენეჯმენტი (გაგრძელება)**

***საბაზრო რისკი.*** კომპანიას ემუქრება საბაზრო რისკები. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) საპროცენტო აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ პროდუქტებში, როდესაც ყოველ მათგანზე გავლენას ახდენს ზოგადი და კონკრეტული საბაზრო მოძრაობები. ხელმძღვანელობა ადგენს იმ რისკის ღირებულების ლიმიტებს,, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს და რომელიც ყოველდღიურად მოწმდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ იცავს დადგენილ ფარგლებს ზევით დანაკარგებისგან უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო მოძრაობების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკების მიმართ სენსიტიურობა ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას, მაშინ როდესაც დანარჩენი ფაქტორები უცვლელია. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შეიძლება იყოს კორელაცია - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა და დასაშვებია ცვლილებების შეტანა ზოგიერთ ფაქტორში, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთში და სავალუტო კურსში.

***სავალუტო რისკი.*** ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეჯამებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალუტის კურსის რისკის გავლენა კომპანიაზე:

| | 2017წ.31 დეკემბრის მდგომარეობით | | |
|---|---|---|---|
| *ათასობით ქართული ლარი* | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური პასივები | სუფთა ბალანსის მდგომარეობა |
| ქართული ლარი | 1,923 | 795 | **1,128** |
| აშშ დოლარი | 1,663 | 604 | **1,059** |
| ევრო | 4,201 | 976 | **3,225** |
| თურქული ლირა | - | 160 | **(160)** |
| **სულ** | **7,787** | **2,535** | **5,252** |

| | 2016წ.31 დეკემბრის მდგომარეობით | | | 2016წ. 1 იანვრის მდგომარეობით | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ათასობით ქართული ლარი* | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური პასივები | სუფთა ბალანსის მდგომარეობა | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური პასივები | სუფთა ბალანსის მდგომარეობა |
| ქართული ლარი | 2,351 | 233 | **2,118** | 2,370 | 187 | **2,183** |
| აშშ დოლარი | 1,417 | 499 | **918** | 62 | 316 | **(254)** |
| ევრო | 1,691 | 267 | **1,424** | 409 | 766 | **(357)** |
| თურქული ლირა | 484 | - | **484** | - | 568 | **(568)** |
| **სულ** | **5,943** | **999** | **4,944** | **2,841** | **1,837** | **1,004** |

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულადი აქტივებსა და ვალდებულებებს. არაფულადი აქტივები არ განიხილება რაიმე მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წყაროდ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგების, ზარალისა და საწესდებო კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული სავალუტო კურსის შესაძლო გონივრული ცვლილებების მიმართ კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, მაშინ როდესაც ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელად:

| | 2017წ.31 სექემბ.მდგომ. | | 2016წ.31 სექემბ.მდგომ. | | 2016წ.1 იანვ.მდგომ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ათასობით ქართული ლარი* | გავლ.მოგება ან ზარალზე | გავლ.მოგება ან ზარალზე | გავლ.მოგება ან ზარალზე | გავლენა თანაფარდო ბაზე | გავლ.მოგება ან ზარალზე | გავლენა თანაფარდო ბაზე |
| აშშ დოლარის გამყარება 10% | 106 | 106 | 92 | 92 | (25) | (25) |
| აშშ დოლარის შესუსტება 10% | (106) | (106) | (92) | (92) | 25 | 25 |
| ევროს გამყარება 10% | 323 | 323 | 142 | 142 | (36) | (36) |
| ევროს შესუსტება 10% | (323) | (323) | (142) | (142) | 36 | 36 |

***საპროცენტო განაკვეთის რისკი.*** საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გავლენას საპროცენტო განაკვეთების არასასურველ ცვლილებებზე, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ხარჯზე პროცენტის თანხის გაზრდით ან გამოყოფილი თანხებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები, ვინაიდან ხელმძღვანელობა ამ რისკს კომპანიის საქმიანობისთვის უმნიშვნელოდ მიიჩნევს. კომპანიას არ გააჩნია არც საპროცენტო აქტივები და არც ვალდებულებები.

**24 ფინანსური რისკის მენეჯმენტი (გაგრძელება)**

***ლიკვიდურობის რისკი.*** ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც პირი შეეჯახება ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. კომპანია იძულებულია ყოველდღიურად მიმართოს მის ხელთ არსებულ ფულად რესურსებს. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მცოცავ პროგნოზს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით. დაფარვის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებებით განსაზღვრული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში მოყვანილი თანხისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, დასაფიქსირებელი (გასამჟღავნებელი) თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული პირობების გათვალისწინებით. ანგარიშსწორებები უცხოურ ვალუტაში ხორციელდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი არის შემდეგი:

| *ათასობით ქართული ლარი* | მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები | 1-დან 3 თვემდე | 3-დან 12 თვემდე | 12 თვიდან 5 წლამდე | 5 წელსზე ზევით | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვალდებულებები** | | | | | | |
| სავაჭრ.გადასახდ. 2017წ.31 დეკემბ.მდ. | 2,535 | - | - | - | - | **2,535** |
| სავაჭრ.გადასახდ. 2016წ.31 დეკემბ.მდ | 999 | - | - | - | - | **999** |
| სავაჭრ.გადასახდ. 2016წ.1 იანვრ.მდგო. | 1,837 | - | - | - | - | **1,837** |

**24 გომივრული ფასის ასახვა**

გონივრული ფასის შეფასება გაანალიზებულია გონივრული ფასის წყაროების იერარქიაში დონის მიხედვით: (i) პირველი დონე წარმოადგენს იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კვოტირებული (არაკორექტირებულ) ფასების მიხედვით შეფასებას აქტიურ ბაზრებზე, (ii) მეორე დონის გაზომვა წარმოადგენს შეფასების მეთოდს, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულების თვალსაზრისით ყველა მატერიალურ საშუალების შეფასებას, პირდაპირ (ანუ, როგორც ფასები) ან ირიბად (ანუ ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონის გაზომვა წარმოადგენს შეფასებას, რომელიც არ ეყრდნობა დაკვირვებას დაქვემდებარებულ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. შეუსწავლელ დანახარჯებს). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას ხელმძღვანელობა ეფუძნება გონივრული ფასის წყაროების იერარქიის შესახებ მოსაზრებას. თუ გონივრული ფასის განსაზღვრისას გამოიყენება ისეთი დაკვირვების მონაცემები, რომლებიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს გაზომვა არის მე-3 დონის გაზომვა. მატერიალური დანახარჯის შეფასების მნიშვნელობა განისაზღვრება გონივრული ფასის გაზომვის გზით.

***აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება გონივრული ფასის მიხედვით, მაგრამ მათი ასახვა ხდება გონივრული ფასის მიხედვით***

გონივრული ფასის იერარქიის დონეებისა და გონივრული ფასის მიხედვით შეუფასებელი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი წარმოდგენილია შემდგენაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | | | |
|---|---|---|---|---|
| ათასობით ქართული ლარი | დონე 1 რეალ.ღირ. | დონე 2 რეალ.ღირ. | დონე 3 რეალ.ღირ. | საბალანსო ღირებულ. |
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | |
| - ფულადი სახსრ. და მათი ეკვივალ | 1 | 5,445 | - | **5,446** |
| - სავაჭრო და სხვა საკრ.დავალიანებ | - | - | 2,341 | **2,341** |
| **მთლიანი აქტივები** | **1** | **5,445** | **2,341** | **7,787** |
| ***ფინანსური ვალდებულებები*** | | | | |
| - სავაჭრო და სხვა საკრ.დავალიანებ | **-** | - | 2,535 | **2,535** |
| **მთლიანი პასივები** | **-** | **-** | **2,535** | **2,535** |

## 25 რეალური ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

| ათასობით ქართული ლარი | 31 დეკემბერი 2016 | | | | 1 იანვარი 2016 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დონე 1 რეალ.ღირ. | დონე 2 რეალ ღირ | დონე 3 რეალ ღირ | საბალ. ღირებულება | დონე 1 რეალ ღირ | დონე 2 რეალ ღირ | დონე 3 რეალ ღირ | საბალ. ღირებულება |
| *ფინანსური აქტივები* | | | | | | | | |
| - ფულადი სახსრ. და მათი ეკვივალ | 1 | 4,468 | - | **4,469** | 1 | 1,463 | - | **1,464** |
| - სავაჭრო და სხვა საკრ.დავალიანებ | - | - | 1,474 | **1,474** | - | - | 1,377 | **1,377** |
| **მთლიანი აქტივები** | **1** | **4,468** | **1,474** | **5,943** | **1** | **1,463** | **1,377** | **2,841** |
| *ფინანსური ვალდებულებები* | | | | | | | | |
| - სავაჭრო და სხვა საკრედ.დავალიან | - | - | 999 | **999** | - | - | 1,837 | **1,837** |
| **მთლიანი პასივები** | **-** | **-** | **999** | **999** | **-** | **-** | **1,837** | **1,837** |

გონივრული ფასის იერარქიის შეფასების მე-2 და მე-3 დონეებზე გონივრული ფასები შეფასებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადის შეფასების მეთოდით. იმ მცურავი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ფასი, რომელთა კვოტირება არ ხდება აქტიურ ბაზარზე, უდრის მათ საბალანსო ღირებულებას. არაკვოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ფასის განსაზღვრა ხდება მომავალი ფულადი ნაკადის საფუძველზე, რომელთა საპროცენტო განაკვეთი, სავარაუდოდ, დისკონტირებული იქნება მსგავსი საკრედიტო რისკების და გადახდის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

***საამორტიზაციო ხარჯებში ასახული ფინანსური აქტივები.*** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელთა საპროცენტო განაკვეთი, სავარაუდოდ, დისკონტირებული იქნება მსგავსი საკრედიტო რისკების და გადახდის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრპარტნიორების საკრედიტო რისკზე.

***საამორტიზაციო ხარჯებში ასახული ვალდებულებები.*** დადგენილი გადახდის ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ღირებულება შეფასდა მომავალი ფულადი ნაკადებზე დაყრდნობით, რომელთა საპროცენტო განაკვეთი, სავარაუდოდ, დისკონტირებული იყო მსგავსი საკრედიტო რისკებისა და გადახდის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

## 25 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა განზომილებების მიხედვით

შეფასების მიზნით, ბასს 39, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდეგ კატეგორიებად: ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები; (ბ) გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები; გ) ფინანსური აქტივები დაფარვის ვადამდე და (დ) და ფინანსური აქტივები გონივრულ ფასად მოგება-ზარალის გათვალისწინებით (“FVTPL”). მოგების ან ზარალის გათვალისწინებით გონივრულ ფასად შეფასებული ფინანსური აქტივები იყოფა ორ ქვესექტორად: (i) აქტივები, როგორც ასეთი, თავდაპირველი აღიარების მიხედვით და (ii) კლასიფიცირებული, როგორც ვაჭრობისათვის განკუთვნილი. და ბოლოს, საიჯარო დავალიანებები წარმოადგენს ცალკე კატეგორიას. ყველა კომპანიის ფინანსური აქტივები ხვდება საავანსო კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

## 27 ნაშთები და გარიგებები ასოცირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება ასოცირებულად/ერთმანეთთან დაკავშირებულად, იმ შემთხვევაში თუ მხარეები იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან მეორე მხარის ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეულ, შესაძლო დაკავშირებულ, მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

არსებულმა ნაშთმა ასოცირებულ მხარეებთან შეადგინა შემდეგი:

| *ათასი ქართული ლარი* | **ურთიერთობა** | **31 დეკ 2017** | **31 დეკ 2016** | **1 იანვ 2016** |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრ. და სხვ. დებ.დავალ | საერთო კონტრ. ობიექტები | 97 | 145 | 43 |
| ავაჭრო და სხვა საკრ.დავალიანებ | საერთო კონტრ. ობიექტები | (930) | (359) | (945) |

31 დეკემბრით დასრულებული 2016 და 2017 წლების შემოსავლების, ხარჯების და ტრანზაქციების ოდენობამ დაკავშირებულ მხარეებთან შეადგინა შემდეგი:

| *ათასი ქართული ლარი* | **ურთიერთობა** | **2017** | **2016** |
|---|---|---|---|
| საქონლით ვაჭრობა | საერთო კონტრ. ობიექტები | 151 | 115 |
| მომსახურების მიწოდება | საერთო კონტრ. ობიექტები | 75 | 48 |
| ინვენტარის შეძენა | საერთო კონტრ. ობიექტები | 6,725 | 10,402 |
| საკუთრ. საწარმ.და მოწყ.შეძენა | საერთო კონტრ. ობიექტები | 139 | - |
| მომსახურების შესყიდვა | საერთო კონტრ. ობიექტები | 765 | 832 |

***მმართველი პერსონალის კომპენსაცია.*** *სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელ მენეჯმენტის ანაზღაურების გადახდა წარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასის, ბონუსების და სხვა სახის სარგებლის მიხედვით, რაც შეადგენს 486 ათას ლარს (2016: 613 ათასი ლარი).*

## 25 მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

# სარჩევი


დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში ..... 1
მთლიანი შემოსავლის ანგარიში ..... 2
ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ ..... 3
ნაღდი ფულის შესახებ ანგარიში ..... 4

შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების მიმართ

1 კომპანია და მისი ოპერაციები ..... Error! Bookmark not defined.
2 კომპანიის სამუშაო გარემო ..... Error! Bookmark not defined.
3 მომზადების საფუძველი ..... Error! Bookmark not defined.
4 საანგარიშო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეჯამება ..... Error! Bookmark not defined.
5 ფასს-ის პირველი გამოყენება ..... Error! Bookmark not defined.
6 შეფასების, გაურკვევლობის და დასკვნების ძირითადი წყაროები Error! Bookmark not defined.
7 საბუღალტრო აღრიცხვის სიახლეები ..... Error! Bookmark not defined.
8 ქონება, საწარმო და აღჭურვილობა ..... Error! Bookmark not defined.
9 სასაქონლო-მატერიალური მარაგები ..... Error! Bookmark not defined.
10 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ..... Error! Bookmark not defined.
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ..... Error! Bookmark not defined.
12 სახელმწიფო გრანტები ..... Error! Bookmark not defined.
13 საწესდებო კაპიტალი ..... Error! Bookmark not defined.
14 სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანებები ..... Error! Bookmark not defined.
15 შემოსავლები ..... Error! Bookmark not defined.
16 გაყიდვების თვითღირებულება ..... Error! Bookmark not defined.
17 გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები ..... Error! Bookmark not defined.
18 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ..... Error! Bookmark not defined.
19 სხვა საოპერაციო ხარჯები ..... Error! Bookmark not defined.
20 ფინანსური შემოსავალი ..... Error! Bookmark not defined.
21 საფინანსო ხარჯები ..... Error! Bookmark not defined.
22 საშემოსავლო გადასახადი ..... Error! Bookmark not defined.
23 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები ..... Error! Bookmark not defined.
24 ფინანსური რისკების მართვა ..... Error! Bookmark not defined.
25 გონივრული ღირებულების შესახებ ინფორმაციის ასახვა ..... Error! Bookmark not defined.
26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა განზომილებების მიხედვით ..... Error! Bookmark not defined.
27 ნაშთები და გარიგებები ასოცირებულ მხარეებთან ..... Error! Bookmark not defined.
25 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... Error! Bookmark not defined.

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | source not found. | | | |
| მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები | | 425 | - | 1,022 |
| მიმდინარე ვალდებულებები | | | | |
| | Error ! Reference source not found. | 3,385 | 1,844 | 2,136 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | Error! Reference source not found. | 176 | - | - |
| გადავადებული შემოსავალი | | | | |
| მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები | | 3,561 | 1,844 | 2,136 |
| მთლიანი ვალდებულებები | | 3,986 | 1,844 | 3,158 |
| მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები | | 45,609 | 42,096 | 41,263 |

დამტკიცებულია ანგარიშისთვის და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 6 აპრილს:

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ჯაფარიძე<br>მარკეტინგისა და გაყიდვების განყოფილების უფროსი | გიორგი ლოლაძე<br>საფინანსო განყოფილების უფროსი | ირინა დადვანი<br>მთავარი ბუღალტერი |

| ათასი ქართული ლარი | შენიშვნა | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | Error! Reference source not found. | 55,571 | 41,848 |
| სარეალიზაციო ხარჯები | Error! Reference source not found. | (42,695) | (33,562) |
| **მოგება დაბეგვრის გარეშე** | | **12,876** | **8,286** |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | | 69 | 43 |
| სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ხარჯები | Error! Reference source not found. | (4,119) | (3,510) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | Error! Reference source not found. | (2,879) | (2,827) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | Error! Reference source not found. | (1,757) | (1,375) |
| **საოპერაციო მოგება** | | **4,190** | **618** |
| საფინანსო ხარჯი | Error! Reference source not found. | 627 | 138 |
| საფინანსო შემოსავალი | Error! Reference source not found. | - | (275) |
| **მოგება საშემოსავლო გადასახადამდე** | | **4,817** | **481** |
| საშემოსავლო გადასახადის კრედიტი | Error! Reference source not found. | - | 1,022 |
| **მოგება წელიწადში** | | **4,817** | **1,502** |
| სხვა ერთობლივი შემოსავალი წელიწადში | | - | - |
| **სხვა ერთობლივი შემოსავალი წელიწადში** | | **4,817** | **1,502** |

| ...ის ქართული ლარი | შენიშვნები | 2017 31 დეკემბ | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|---|
| აქტივები | | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | |
| საკუთრება, საწარმო, აღჭურვილობა | 8 | 29,284 | 29,153 | 31,046 |
| არამატერიალური აქტივები | | 115 | 156 | 197 |
| მთლიანი გრძელვადიანი აქტივები | | **29,399** | **29,309** | **31,243** |
| მიმდინარე აქტივები | | | | |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | Error ! Reference source not found. Error ! Reference source not found. | 7,791 | 5,655 | 6,611 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | Error ! Reference source not found. Error ! Reference source not found. | 2,973 | 2,663 | 1,945 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | Error ! Reference source not found. | 5,446 | 4,469 | 1,464 |
| მთლიანი მიმდინარე აქტივები | | **16,210** | **12,787** | **10,020** |
| მთლიანი აქტივები | | | | |
| კაპიტალი | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 13 | 55,345 | 58,791 | 58,146 |
| დაგროვილი დეფიციტი | | (13,722) | (18,539) | (20,041) |
| მთლიანი კაპიტალი | | **41,623** | **40,252** | **38,105** |
| ვალდებულებები | | | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | | |
| გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | Error ! Reference source not found. Error ! Reference source not found. | 425 | - | 1,022 |
| გადავადებული შემოსავალი | | | - | - |

თანმდევი შენიშვნები 5-დან 28-მდე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.1

*შპს „კნაუფ გიპს თბილისი“*
*ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ*

| *ათასი ქართული ლარი* | საწესდებო კაპიტალი | გადაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| **ბალანსი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **58,146** | **(20,041)** | **38,105** |
| მოგება წელიწადში | - | 1,502 | 1,502 |
| მთლიანი ერთობლივი შემოსავალი წელიწადში | - | 1,502 | 1,502 |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა **Error! Reference source not found.**) | 645 | - | 645 |
| **ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **58,791** | **(18,539)** | **40,252** |
| მოგება წელიწადში | - | 4,817 | 4,817 |
| მთლიანი ერთობლივი შემოსავალი წელიწადში | - | 4,817 | 4,817 |
| საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 13) | (3,446) | - | (3,446) |
| **ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **55,345** | **(13,722)** | **41,623** |

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“

ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში

| ათასი ქართული ლარი | შენიშვნები | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მოგება საშემოსავლო გადასახადამდე | | 4,817 | 480 |
| კორექტირება : | | | |
| ცვეთისა და საამორტიზაციო გადასახადი | 8 | 2,947 | 2,826 |
| ქონების, საწარმოსა და აღჭურვილობის განკარგვიდან მიღებული შემოსავალი | 8 | (21) | - |
| ზედმეტი სარჯი | Error! Reference source not found. | 471 | 419 |
| წილობრივი შემოსავალი | 20 | (241) | (138) |
| სავალუტო კურსიდან (შემოსავალი)/ზარალი | 20, 21 | (386) | 275 |
| **ოპერაციული ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე** | | **7,587** | **3,862** |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგების (ზრდა)/კლება | | (2,607) | 537 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების (ზრდა)/კლება | | 357 | (645) |
| სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანებების (ზრდა)/კლება | | 1,423 | (411) |
| **ცვლილებები სამუშაო კაპიტალში** | | **(586)** | **(381)** |
| მიღებულია პროცენტი | | 241 | 138 |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **7,001** | **3,481** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ქონების, საწარმოების და აღჭურვილობის შეძენა | 8 | (3,040) | (890) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | | - | (6) |
| შემოსავალი ქონების, საწარმოების და აღჭურვილობის გაყიდვიდან | 8 | 24 | 4 |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები | | (3,016) | (892) |
| **ფულადი შემოსავლები ფინანსური ოპერაციებიდან** | | | |
| კაპიტალის განაწილება აქციონერებს შორის გარდა დივიდენდებისა | 13 | (3,446) | - |
| მცირე კაპიტალის განაწილებიდან შემოსული ფულადი სახსრები | 13 | - | 645 |
| **წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ ოპერაციებში** | | **(3,446)** | **645** |
| სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე | | 438 | (229) |
| **ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა** | | **977** | **3,005** |
| ფულად სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 11 | 4,469 | 1,464 |
| **ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | 11 | **5,446** | **4,469** |

## 1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კნაუფ გიპს თბილისის“ („კომპანია“) ეს ფინანსური ანგარიში მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ("IFRS") 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“ („კომპანია“) დაფუძნებულია 2006 წლის 10 ნოემბერს და მისი ადგილმდებარეობა არის საქართველო. ადრე ოფიციალურად იწოდებოდა, როგორც შპს "სამშენებლო მასალების კომბინატი" და 2008 წლის 9 დეკემბერს შპს „Knauf International GmbH“- მა შეიძინა ის. 2009 წლის 3 ივნისს იურიდიულ პირს ეწოდა შპს "კნაუფ გიპს თბილისი". კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში, საიდენტიფიკაციო ნომრით: 205181532.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო შპს „Knauf International GmbH“. კომპანიის საბოლოო მფლობელი გახდა „Gebr. Gebr. Knauf Verwaltungsgesellschaft KG“.

***ძირითადი საქმიანობა.*** კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს წარმოება და სამშენებლო მასალების საბითუმო ვაჭრობა, კერძოდ თაბაშირ-მუყაოს.

***რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილ(ებ)ი.*** კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ქიზიყის ქუჩა № 17.

## 2 კომპანიის სამუშაო გარემო

ძირითად ბიზნეს საქმიანობას კომპანია ახორციელებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზარი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, კერძოდ, შედარებით მაღალი ინფლაციის დონით და მაღალი საპროცენტო განაკვეთით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხასიათდება განსხვავებული ინტერპრეტაციით და ხშირი ცვალებადობით.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ ზომებთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის პროგნოზირება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს კომპანიის შემდგომ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა საჭირო ზომას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

## 3 მომზადების საფუძველი

***შესაბამისობის დასკვნა.*** ეს ფინანსური ანგარიშია წარმოადგენ კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად ("IFRS"), რომელიც გამოიყენება "ფასს"-ის მიერ. საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტებზე ("IFRS") კომპანია გადავიდა 2016 წლის 1 იანვარს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები კომპანიამ მიიღო IFRS 1-ის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები პირველი გამოყენება. გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, IFRS 1 მოითხოვს 2017 წლის 31 დეკემბრის ბოლოსათვის არსებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტულ გამოყენებას. ეს ვერსია გამოყენებულ იქნა IFRS-ის ანგარიშის მომზადების დაწყებისას 2016 წლის 1 იანვრის ფინანსური მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებზე IFRS-ის მიხედვით პირველი საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

***ფინანსური მაჩვენებლების შესაფასების საფუძველი.*** ეს ფინანსური ანგარიში მომზადებულია საერთაშორისო საფინანსო ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. ანგარიში მომზადებულია საწყისი ღირებულების გათვალისწინების წესის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-სთან შესაბამისობაში მოითხოვს გარკვეულ არსებით საბუღალტრო შეფასებებს. ის ხელმძღვანელობისგან ასევე მოითხოვს გარკვეული მოსაზრებების გამოთქმას კომპანიის ანგარიშგების პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გულისხმობს უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებს ან სირთულეს, ან სფეროები, რომლებშიც ვარაუდები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებისთვის, ასახულია მე-6 პუნქტში.

## 4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება

ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული ანგარიშგების ძირითადი პრინციპები ჩამოთვლილია ქვემოთ. ეს პრინციპები თანაბრად გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

***ანგარიშში გამოყენებული ვალუტა.*** ამ ფინანსურ ანგარიშში ყველა თანხა მითითებულია ათას ლარში ("ლარი"),თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

***უცხოური ვალუტის გადაანგარიშება.*** კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი").

***ტრანზაქციები და ნაშთები.*** საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება ქართულ ლარში კონკრეტულ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. ტრანსზაქციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. აღნიშნული ტრანზაქციების განხორციელებისა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და პასიუების ტრანზაქციების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია მთლიანი შემოსავლის შესახებ ანგარიშში „ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების“ ფარგლებში.

კურსის მიხედვით წლის ბოლოსთვის გადაანგარიშების მეთოდი არ ვრცელდება არაფულად აქტივებზე, რომლებიც ფასდება საწყისი ღირებულების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გონივრულ ფასად შეფასებული არაფულადი ნივთების გადაანგარიშება ხდება გონივრული ფასის დადგენის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური ვალუტაში გონივრული ფასის მიხედვით შეფასებული არაფულადი საგნების მიმართ გამოყენებული გაცვლითი კურსის ცვალებადობის გავლენა ასახულია, როგორც მოგება-ზარალის ნაწილი გონივრული ფასის მიხედვით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი, 1 ევრო = 3.1044 ლარი და 1 თურქული ლირა = 0.6874 ლარი (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.6468 ლარი, 1 ევრო = 2.7940 ლარი და1 თურქული ლირა = 0.7504 ლარი; 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.3949 ლარი, 1 ევრო = 2.6169 ლარი და 1 თურქული ლირა = 0.8190 ლარი). ამჟამად, საქართველოს ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

***ქონება, საწარმო და აღჭურვილობა.*** ქონება, საწარმო და აღჭურვილობა ასახულია საწყისი ღირებულებით დაგროვილი საამორტიზაციო ხარჯებისა და გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით. საწყისი ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის მოზიდვასთან იმ ადგილასა და მდგომარეობაში პირობებში, რომელიც შესაძლებელს ხდის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად გამოყენებას.

შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივის სახით, საჭიროების და მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ვარაუდი, რომ კონკრეტულ საქონელთან ასოცირებული სამომავლო ეკონომიური სარგებელი მიმართული იქნება კომპანიისკენ და საქონლის ღირებულება საიმედოდ იქნება შეფასებული. მცირე რემონტისა და ყოველდღიური მომსახურების ხარჯების გაწევა ხდება მათი საჭიროების და მიხედვით. ძირითადი კომპონენტებისა ან ძირითადი სამუალებების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლის შედეგად ამოღებული ნაწილი ექვემდებარება ჩამოწერას.

ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულს ხელმძღვანელობა აფასებს და ადგენს, არის თუ არა ძრითადი სამუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს საკომპენსაციო თანხას, რომელიც აღემატება აქტივის გონივრულ ღირებულებას სარეალიზაციო ხარჯებისა და ეკონომიკური სარგებლის გამოკლებით. საბალანსო ღირებულება მცირდება საკომპენსაციო ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება წლიური მოგების ან ზარალის შემადგენლობაში. წინა წლებში აქტივად აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა შესაძლებელია საჭიროების და მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ცვლილება გამოყენებული აქტივის ღირებულების ან გონივრული ფასის განსაზღვრის დროს შეფასებისას ძირითადი სამუალებების ამოღების ხარჯების გამოკლებით.

ძირითადი სამუალებების ამოღებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრება ამონაგები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და აღიარებულია შემოსავლის ან ზარალის სახით წლის განმავლობაში სხვა საოპერაციო შემოსავლების ან ხარჯების ფარგლებში.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

მიწა გაუფასურებას არ ექვემდებარება. ძირითადი საშუალებების სხვა საგნებზე ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ღირებულების მათი ნარჩენ ფასზე ნაკლებ ფასად განაწილებით მათი ვარგისიანობის სავარაუდო პერიოდის მანძილზე პროპორციული ჩამოწერის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზაციის ხარჯების გააწგარიშება ხდება პროპორციული ჩამოწერის მეთოდის გამოყენებით არამატერიალური აქტივების განაწილების მიზნით მათი ვარგისიანობის სავარაუდო პერიოდის მანძილზე. ძირითადი საშუალებების ძირითადი კლასის სავარაუდო ვარგისიანობის პერიოდი და სახეობა მოცემულია ქვემოთ:

| | |
|---|---|
| • მიწა და შენობები | 10 - 40 წელი |
| • მანქანები და მოწყობილობები | 6 - 20 წელი |
| • ავეჯი და საოფისე ტექნიკა | 3 - 15 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 6 - 8 წელი |

აქტივების ნარჩენი ღირებულება, მათი ვარგისიანობის ვადა და ამორტიზაციის მეთოდები განიხილება და კორექტირდება გეგმიურად საჭიროების და მიხედვით თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილებების ნიშნები ბოლო საანგარიშო თარიღიდან.

დაუყოვნებლივ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულების ჩამოწერა მის საკომპენსაციო ღირებულებამდე, იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება შეფასებულ საკომპენსაციო ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ამოღებასთან/ჩამოწერასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრება ამონაგები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და აღიარებულია „სხვა მიმდინარე შემოსავლის/ხარჯის“ ფარგლებში მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

***არამატერიალური აქტივები.*** ცალკეული შეძენილი ლიცენზიები (პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით) და სხვა არამატერიალური აქტივები ასახულია მათი პირველადი ღირებულებით. არამატერიალურ აქტივებს გააჩნიათ შეზღუდული ვარგისიანობის ვადა და მათი ასახვა ხდება პირველადი ღირებულებით დაგროვილი საამორტიზაციო ხარჯებისა და გაუფასურების შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით. ძირითადი კლასის არამატერიალური აქტივების სავარაუდო ვარგისიანობის ვადა და სახეობა მოცემულია ქვემოთ:

| | |
|---|---|
| • პროგრამული უზრუნველყოფა | 3 - 7 წელი |
| • ლიცენზიები | 25 - 30 წელი |

***არაფინანსური აქტივების გაუფასურება მატერიალური გარდა.*** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას ფასდება ყოველ საანგარიშო დღეს, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ნიშნები, რომ აქტივები გაუფასურებულია. აქტივის შესაძლო გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობის შეთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომლისთვისაც აქტივი იქნა გამოყოფილი) უნდა შემოწმდეს გაუფასურებაზე. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რამდენითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის საკომპენსაციო თანხას. საკომპენსაციო თანხა აღემატება აქტივის (ან ფულადი სახსრების შემქნერირებელ ერთეულს( CGU) გონივრულ ღირებულებას სარეალიზაციო ხარჯებისა და მოხმარების ღირებულების გამოკლებით. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც არსებობს ცალკე გამოსავლენი ფულადი ნაკადები (CGU). განიხილება არაფინანსური აქტივები, გარდა არამატერიალური აქტივების ღირებულებისა, რომელიც განიცდის გაუფასურებას, გაუფასურების შესაძლო აღდგენის/კომპენსაციის მიზნით ყოველ საანგარიშო დღეს.

***ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი მეთოდები.*** მათი კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გონივრული ფასით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

გონივრული ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღებს აქტივის გაყიდვისთვის ან გადახდება ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების დროს შეფასების დღეს. გონივრული ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე არსებული ფასი. აქტიური ბაზარი ერთ-ერთია, სადაც აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქცია ხორციელდება საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა მუდმივ რეჟიმში იქნეს უზრუნველყოფილი ფასების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

აქტიურ ბაზარზე გაყიდვადი ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ღირებულება განისაზღვრება როგორც კვოტირებული ფასის პროდუქტი ცალკეული აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის და ინსტრუმენტების რაოდენობისთვის, რომელსაც ფლობს ერთეული. ეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნორმალური დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი შეკვეთების რაოდენობის შენარჩუნებისა და განთავსებისთვის ერთი ტრანზაქციის დროს პოზიციის გაყიდვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კვოტირების ფასზე.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები, გაშლილი ხელის პრინციპზე დაფუძნებული მიმდინარე ტრანზაქციების მოდელები ან ინვესტიციების ფინანსური მონაცემების განხილვა, რომლებიც გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ღირებულების შესაფასებლად, რომლებისთვისაც ხელმიუწვდომელია ინფორმაცია გარეთა ბაზრებზე არსებული ფასების შესახებ. გონივრული ღირებულების შეფასებები გაანალიზებულია გონივრული ღირებულების იერარქიაში არსებული დონეების მიხედვით: (i) პირველი დონე წარმოადგენს აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კვოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით შეფასებას, (ii) მეორე დონის შეფასება წარმოადგენს შეფასების მეთოდს აქტივებისა და ვალდებულებისთვის ყველა საჭირო მატერიალური დანახარჯების გათვალისწინებით, პირდაპირ (ფასების სახით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონის შეფასება - არის შეფასება, რომელიც არ ფუძნება მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფ საბაზრო მონაცემებს (არს. ეს შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან საწყის მონაცემებს, რომლებიც დაკვირვებას არ ექვემდებარება). იგულისხმება, რომ გონივრული ფასის იერარქიის დონეებს შორის განხორციელებულ ტრანსფერებს ადგილი ქონდათ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. იხილეთ პუნქტი 25.

*ტრანზაქციის ხარჯები* არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენა, გამოშვება ან ჩამოწერასთან. დამატებითი ხარჯი, ისეთი ხარჯია, რომელიც არ იქნება გაწეული ტრანზაქციის განხორციელების გარეშე. ტრანზაქციის ხარჯებში შედის აგენტების (მათ შორის, გაყიდვების აგენტებად მოქმედი თანამშრომლების), მრჩევლების/კონსულტანტების, ბროკერებსა და დილერების ანაზღაურების და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟის მოსაკრებელს, აგრეთვე, სატრანსფერო გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის სესხის თანხა ან დისკონტები, დაფინანსების ხარჯები, შიდა ადმინისტრაციული ან მარაგების ხარჯები.

*ამორტიზებული ღირებულებაა* ის თანხა, რომლის დროსაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებულ იქნა თავდაპირველი აღიარებით, ნებისმიერი ძირითადი სესხის დაფარვის თანხსა და დარიცხული პროცენტის გამოკლებით, ხოლო ფინანსური აქტივების თვალსაზრისით, გაუფასურების შედეგად ნებისმიერი მიღებული ზარალის ჩამოწერის გარეშე. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებით გადავადებული ტრანზაქციის ხარჯების ამორტიზაციას, აგრეთვე ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს დაფარვის თანხასთან მიმართებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხულ კუპონის, ამორტიზებული დისკონტის არ პრემიის (მათ შორის, წარმოშობის მიხედვით გადავადებულ გადასახადების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით, არ არის წარმოდგენილი ცალკე და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში შესულია შესაბამისი პროდუქტის იანხების საბალანსო ღირებულებებში.

*ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი* არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების განაწილების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მიღწევის მიზნით საბალანსო ღირებულების საფუძველზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად საზღვრავს სავარაუდო სამომავლო თანხების შემოსავალს ან მოგებას (მომავალში საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ხანგრძლივობის ვადის ან უფრო მოკლე ვადის მანძილზე, საჭიროების და მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულების საფუძველზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვალისწინებს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების მომდევნო თარიღისთვის, გარდა პრემიებისა და დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტზე მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ აღემატება ბაზრის განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზებულია ინსტრუმენტის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი ან მიღებულ ყველა საფასურს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილის.

***ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.*** ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) ფინანსური აქტივები მათ დაფარვამდე და (დ) ფინანსური აქტივები მათ გონივრულ ფასად მოგების ან ზარალის მეშვეობით. ფინანსური აქტივები მათ გონივრულ ფასად მოგების ან ზარალის მეშვეობით იყოფა კიდევ ორ ქვეკატეგორიად (i) აქტივები, განსაზღვრული როგორც ასეთი პირველადი აღიარების შემდეგ და (ii) კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო აქტივები.

*სესხები და დებიტორული დავალიანება* არის არაკვოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა გაყიდვასაც კომპანია აპირებს უახლოეს ვადებში. კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს "სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს" და "ფულადი სახსრებისა და ეკვივალენტების შესახებ" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანება მოიცავს "სავაჭრო და სხვა დავალიანებას" და "ფულად სახსრებსა და ფულის ეკვივალენტებს" ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

***ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.*** ფინანსურ ვალდებულებებს გააჩნიათ შეფასების შემდეგი კატეგორიები: (ა) ვაჭრობისთვის განკუთვნილი, რომლებიც ასევე მოიცავს ფინანსურ წამოებულებს და (ბ) სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ვაჭრობისათვის განკუთვნილი ვალდებულებები აისახება გონივრული ღირებულებით ზარალის ანგარიშში აღიარებული ფასის ცვლილებით (როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი), იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა. სხვა ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს "სავაჭრო და სხვა გადასასადებს", რომლებიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)

*ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.* მოგება-ზარალის გათვალისწინებით გონივრულ ფასად შეფასებული სავაჭრო ინვესტიციები, წარმოებულები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება გონივრული ფასით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება გონივრული ფასით და გარიგების ხარჯებით. გონივრული ფასი თავდაპირველი აღიარებით ყველაზე კარგად დასტურდება გარიგების ფასით. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი დაფიქსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება გონივრულ ფასსა და გარიგების ფასს შორის, რომელიც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტთან მიმართებაში არსებული სხვა მიმდინარე საბაზრო საქმიანობით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ მონაცემებს დაკვირვების ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივების ყოველი შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც ითვალისწინებს რეგულირების ან საბაზრო კონვენციის (შესყიდვების და გაყიდვების "რეგულარული გზა") მიერ დადგენილ ვადებში მიწოდებას, აღირიცხება სავაჭრო თარიღის მიხედვით, როდესაც კომპანია ვალდებულია განახორციელოს ფინანსური აქტივის გადაცემა. ყველა სხვა შესყიდვა იქნება აღიარებული მაშინ, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

*ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.* კომპანია წყვეტს ფინნსური აქტივების აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) აქტივები გამოსყიდულია ან უფლებების ვადა აქტივების ფულადი სახსრების მიმართ სხვაგვარად იწურება ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა უფლება ფინანსური აქტივების ფულად სახსრებზე ან იყენებს კვალიფიციურ გამტარ მექანიზმს, ამავე დროს (i) გადასცემს აქტივებთან დაკავშირებულ ყველა არსებით რისკსა და სარგებელს ან (ii) არა თუ არც გადასცემს და არს იტოვებს აქტივებთან დაკავშირებულ ყველა არსებით რისკსა და სარგებელს, არამედ არც კი იტოვწებს მათზე კონტროლს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, რომ მთლიანად გაყიდოს აქტივი მესამე პირზე, ისე რომ არ მოითხოვოს დამატებითი შეზღუდვების დაწესება გაყიდვაზე.

*ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა.* ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში აისახება სალდირებული თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იურიდიულად გამყარებული უფლება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში ასახული თანხების ჩათვლაზე და არსებობს სურვილი ან განსორციელოს ჩათვლა სალდირებული თანხით ან მოახდინოს აქტივის რეალიზება და იმავდროულად შეასრულოს ვალდებულება. მსგავსი ჩათვლის უფლება (ა)არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ მოვლენებზე და (ბ) უნდა იყოს იურიდიულად გამყარებული ყველა ქვემოთ აღნიშნულ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვის დროს, (ii) დეფოლტის და (iii) გადახდაისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

*ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.* ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, უვადო დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს არა უმეტეს სამთვიანი პირველადი დაფარვის ვადით.

*სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები.* სავაჭრო დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასის მიხედვით. შემდგომში ისინი ფასდება საამორტიზაციო ღირებულების მისედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

*საამორტიზაციო ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება.* გაუფასურებიდან მიღებული ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება მაშინ, თუ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ერთხელ ან მეტჯერ ("ზარალის შემთხვევა") ფინანსური აქტივის პირველადი აღიარებიდან შემდგომ პერიოდში და რომელმაც გავლენა იქონია ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე ან ვადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება შეეხო ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივს, განურჩევლად იმისა ის მნიშვნელოვანია თუ არა, ის შეიტანს ამ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და კოლექტიურად აფასებს მათ გაუფასურების რისკის თვალსაზრისით. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებული სტატუსი და მისი შესაბამისად რეალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ქვემოთ ჩამოთვლილია გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ობიექტური მტკიცებულებების განმსაზღვრელი სხვა პრინციპული კრიტერიუმები:

- პარტნიორი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც მტკიცდება კომპანიის ხელთ არსებული ფინანსური ინფორმაციიდან;
- პარტნიორის მიერ განიხილება გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია;
- არსებობს უარყოფითი ცვლილებები პარტნიორის გადახდისუუნარობის სტატუსში ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებების შედეგად, რაც გავლენას ახდენს პარტნიორზე ან
- გირავნობის ფასი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მცირდება საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშველოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

თუ ამორტიზებული ღირებულების მქონე გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება მოლაპარაკების გზით ან სხვაგვარად იცვლება პარტნიორის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება ფასდება პირობების შეცვლამდე არსებული პირველადი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გარეშე მოლაპარაკებათა აქტივაციის შემდეგ დეზინქტირდება და ახალი აქტივი აღიარებულია მხოლოდ მისი სამართლიანი ღირებულებით, თუ არსებითად შეიცვალა აქტივის რისკები და ჯილდოები. ეს ჩვეულებრივ არსებითად განსხვავდება ორიგინალური ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებასა და ახალ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების შორის. შეცვლილ აქტივს უწყდება აღიარება, ხოლო ახალი აქტივის აღიარება ხდება მისი გონივრული ფასით იმ შემთხვევაში, თუ აქტივის რისკები და სარგებელი მნიშვნელოვნად შეცვლილია. ეს ჩვეულებრივ მტკიცდება თავდაპირველი ფულადი ნაკადის მოცულობასა და ახალი სავარაუდო ფულადი ნაკადის მოცულობას შორის არსებითი სხვაობით.

გაუფასურებით მიღებული ზარალის აღიარება ყოველთვის ხდება სარეზერვო ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების დაწევის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების ახლანდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს საკრედიტო დანაკარგებს მომავალში, რაც ჯერ არ მომხდარა) და დისკონტირებულის აქტივის პირველადი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივების სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშება ასახავს ფულადი სახსრების მოძრაობას, რომლებიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს უზრუნველყოფილი აქტივის ნაკლებ ფასად გასხვისება მისი ყიდვა - გაყიდვის მიზნით, იმის და მიუხედავად, შესაძლებელია თუ არა გასხვისება.

თუ შემდგომი პერიოდის განმავლობაში გაუფასურების ზარალი შემცირდება და შემცირება ობიექტურად დაუკავშირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენას (როგორიცაა მოვალის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მოხდება გაუფასურების შედეგად ადრე მიღებული ზარალის აღდგენა სარეზერვო ანგარიშის კორექტირების მეშვეობით წლიური მოგება-ზარალის გათვალისწინებით.

უიმედო აქტივები ექვემდებარება ჩამოწერას გაუფასურებით გამოწვეული ზარალის უზრუნველყოფის საწინააღმდეგოდ აქტივის დაბრუნების მიზნით ყველა საჭირო პროცედურის დასრულებისა და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. შემდგომ ამოღებული ადრე ჩამოწერილი თანხები ირიცხება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ანგარიშზე წლიური მოგება-ზარალის გათვალისწინებით.

***სავაჭრო და სხვა დავალიანებები.*** სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია გონივრულ ფასად, ხოლო შემდგომში განხორციელება მოხდა ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

***გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია.*** კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია განიცდის გადფასებას ხელმძღვანელობის მხრიდან ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აისახება საშემოსავლო გადასახადის პოზიციიდან, რომელსაც განსაზღვრავს ხელმძღვანელობა და სავარაუდოა, რომ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დარიცხვას იმ შემთხვევაში, თუ ამ პოზიციას არ შეეწინააღმდეგებიან საგადასახადო უწყებები. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირებას, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აგრეთვე სასამართლოს ან ნებისმიერი მმართველი ორგანოს გადაწყვეტილების ინტერპრეტირებას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტების და გადასახადების მიმართ, გარდა შემოსავლისა, აისახება ხელმძღვანელობის მიერ ხარჯების შეფასების საფუძველზე, რომლებიც საჭიროა ვალდებულების დასაფარავად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გაურკვეველი საგდასახადო პოზიციის კორექტირებები აისახება საშემოსავლო გადასახადის ფარგლებში.

***დამატებითი ღირებულების გადასახადი.*** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი ექვემდებარება საგდასახადო უწყებაში გადახდას იმის და მიხედვით, თუ რომელი შემდგომ დასახელებული მდგომარეობა დადგება უწინ: (ა) კლიენტებისგან დებიტორული დავალიანების ამოღება ან (ბ) კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება. გადახდილი დღგ-ს ანაზღაურება ზოგადად ხდება დარიცხული დღგ-ით ფაქტურის საფუძველზე. საადასახადო უწყებები იძლევიან დღგ-ს „ნეტოს საფუძველზე“ დარეგულირების უფლებას. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში „ნეტოს საფუძველზე“. დავალიანების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოვალის მთლიანი თანხა დღგ-ის ჩათვლით. საკუთრების, საწარმოებისა და ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებული დღგ ექვემდებარება გადავადებას 5-დან 10 წლამდე იმ პირებისთვის, რომელთაც გააჩნიათ დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვის 20%-ზე მეტი.

***სასაქონლო-მატერიალური მარაგი.*** სასაქონლო-მატერიალური მარაგი აისახება უდაბლესი ფასით და სუფთა გასაყიდი ფასით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასით. სუფთა სარეალიზაციო ფასი არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის დროს საწარმოო და სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

***წინასწარი ანგარიშსწორება.*** წინასწარი ანგარიშსწორება ხორციელდება გაუფასურების თანხის გამოკლებით. წინასწარი ანგარიშწორება კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარი ანგარიშწორებასთან დაკავშირებული საქონლის არ მომსახურების მიღება მოსალოდნელია მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ან წინასწარი ანგარიშწორება დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც პირველადი აღიარების მიხედვით კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი ანგარიშწორება გარდაიქმნება აქტივის საბალანსო ღირებულებად იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და თუ მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან ასოცირებული ეკონომიკური სარგებელი მიმართული იქნება კომპანიისკენ. წინასწარი ანგარიშწორებები გადადის შემოსავალში ან ზარალში ამ წინასწარ ანგარიშწორებებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისთანავე. თუ არსებობს რაიმე მინიშნება იმისა, რომ წინასწარ ანგარიშწორებებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება ვერ იქნება მიღებული, წინასწარი ანგარიშწორების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლიურ მოგებაში ან ზარალში.

***საწესდებო კაპიტალი.*** კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

***დივიდენდის განაწილება.*** ივიდენდების განაწილება კომპანიის მფლობელებს შორის მიჩნეულია, როგორც კომპანიის ანგარიშში დაფიქსირებული ვალდებულება იმ პერიოდის მანძილზე, რომელზეც მტკიცდება დივიდენდები კომპანიის მფლობელების მიერ.

***მომავალი ხარჯებისთვის და ვალდებულებებისთვის განკუთვნილი რეზერვები.*** ხარჯებისთვის და ვალდებულებებისთვის განკუთვნილი რეზერვები წარმოადგენს დაუზუსტებელი დროისა და თანხის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როდესაც კომპანიას გააჩნია მოქმედი იურიდიული ან ნებაყოფლობითი ვალდებულებები, გასული მოვლენების შედეგის სახით, სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვის მიზნით საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების მოთხოვნა და შესაძლებელი გახდება ვალდებულებების თანხის სანდო შეფასების გაკეთება. რეზერვების ქვეშ ხდება მიმდინარე ხარჯების ღირებულებების მიხედვით, რომლებიც როგორც მოსალოდნელია, გამოყენებული იქნება ვალდებულებების დასაფარავად დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროის მიხედვით მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს. რეზერვის ზრდა დროთა განმავლობაში მიჩნეულია, როგორც საპროცენტო ხარჯი.

მოსაკრებლები და გადასახადები, როგორიცაა საშემოსავლო გადასახადი ან სარეგულაციო ხარჯები, რომლებიც დაფუძნებულია გადახდის ვალდებულებამდე პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომლებიც მიჩნეულია, როგორც აუცილებლად დასაფარი ვალდებულება სავალდებულო ქმედების განხორციელების შემთხვევაში, კანონის მიხედვით განისაზღვრება. როგორც გადასახადის გადახდის გამომწვევი ვალდებულება. თუ გადასახადის გადახდა მოხდა დამავალდებულებელ მოვლენამდე, ის მიიჩნევა, როგორც წინასწარ განხორციელებული ანგარიშსწორება.

***სამთავრობო გრანტები/სუბსიდიები.*** სამთავრობო გრანტების/სუბსიდიების ასახვა ხდება მათი გონივრული ღირებულების შესაბამისად, როდესაც არსებობს იმის გარანტია, რომ გრანტი აუცილებლად იქნება მიღებული და ჯგუფი შეასრულებს თანმდევ პირობებს.

საკუთრების, ს.წარმოს ან ტექნისკის შეძენასთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტები/სუბსიდიები განეკუთვნება გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებს, როგორც გადავადებული შემოსავალი და განეკუთვნება მოგება ან ზარალს ჩამოწერის თანაბარი მეთოდის საფუძველზე შესაბამისი აქტივების ვარგისიანობის ვადის მანძილზე.

***შემოსავლების აღრიცხვა.*** შემოსავლები განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების გონივრული ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული პროდუქციის სანაცვლოდ მისაღებ თანხას, დისკონტის, ამონაგებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, თუ შემოსავლების ოდენობა შეიძლება საიმედოდ განსაზღვრული იყოს; თუ სავარაუდოა, რომ მომავალში ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას; და თუ თითოეული კომპანიის საქმიანობას გარკვეული კრიტერიუმები აკმაყოფილებს, როგორც ქვემოთ აღწერილია კომპანია აღიარებს შემოსავალს, რომელიც შემოსავლების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; როდესაც სავარაუდოა, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მიმართული იქნება პირისკენ/ერთეულისკენ და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაცული იქნება კომპანიის მიერ განხორციელებული თითოეული საქმიანობის დროს, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

*საქონლის გაყიდვა.* საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღირიცხება საქონლის დაუფლებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის დროს, რაც ჩვეულებრივ ხდება საქონლის კლიენტისთვის დანიშნულ ადგილზე გადამიცემის დროს.

***თანამშრომელთა ანაზღაურება.*** ანაზღაურების, ხელფასების, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულების, ავადმყოფობის გამო შვებულებების, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმავე წელს, როდესაც კომპანიის მიერ გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურება საკუთარი თანამშრომლისთვის. კომპანიას არ გააჩნია არც იურიდიული და არც ნებაყოფლობითი ვალდებულება თანამშრომლისთვის პენსიის ან მსგავსი სარგებლის გადახდის თაობაზე.

**4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)**

*საშემოსავლო გადასახადები.* საშემოსავლო გადასახადი აისახება ფინანსურ ანგარიშში საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიღებული და აქტიურად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადი /(კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აისახებოდა წლიური მოგება-ზარალის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აისახებოდა სხვა ერთობლივ შემოსავალში ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი - ეს არის მომავალში გადასახდელი/მისაღები ან საგადასახადო უწყებებიდან ამოსაღები თანხა მიმდინარე და გასული პერიოდის დასაბეგრ მოგება-ზარალთან მიმართებაში

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი შემოღებულ იქნა საბალანსე ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის გადავადების, აქტივებსა და პასივებს შორის დაბეგვრის მიზნით დროებითი სხვაობის და ძალიან საბალანსე ღირებულების ფინანსურ ანგარიშებში ასახვის მიზნით. თავდაპირველი აღიარებისგან გათავისუფლების შესაბამისად გადავადებული გადასახადი არ ითვალისწინებოდა გარიგებებში აქტივებისა და პასივების პირველადი აღიარებისას დროებითი სხვაობის შემთხვევაში, გარდა ბიზნესის გაერთიანებისა. როდესაც თავიდანვე დარეგისტრირებული გარიგება გავლენას არ ახდენდა არც საბუღალტრო და არც დასაბეგრ შემოსავალზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთები განისაზღვრებოდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიღებული და ფაქტიურად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთის/ტარიფის მიხედვით, რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება იმ პერიოდისთვის, როდესაც შეცვლილი იქნება დროებითი სხვაობა ან გადავადებული იქნება საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობებისთვის და საგადასახადო ზარალის გადავადებისთვის აღირიცხებოდა მხოლოდ იმ იმდენად, რამდენადაც სავარაუდო იყო დროებითი სხვაობის მომავალში შეცვლა და რომ მომავალში არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შესაძლებელია დაქვითვის გამოყენება.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იყო კომპენსირებული, როდესაც არსებობდა მიმდინარე საგადასახადო აქტივების კომპენსირების კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების მიხედვით და როდესაც აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული საშემოსავლო გადასახადის დაწესება ხდებოდა ერთი და იგივე საგადასახადო უწყების მიერ ერთი და იგივე ან სხვადასხვა დასაბეგრი სუბიექტის/სუბიექტების მიმართ, როდესაც იყო ნაშთების სალდირებული თანხით დაფარვის მცდელობა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიებმა (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ უნდა გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან მანამ, სანამ მოგება არ იქნება განაწილებული დივიდენდებად ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდების სახით.

15% -იანი საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება მთლიანი ღირებულებით (მაგ., წმინდა დივიდენდები შეიძლება გაიზარდოს 5%-ით, გადასახადის გამოქვითვის ხარჯზე, ასეთის გამოყენების შემთხვევაში და გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირისთვის დივიდენდის გადახდის დროს. რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან გათავისუფლებულია გადასახადისგან.

დივიდენდებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული შემოსავლიდან ერიცხებათ საშემოსავლო გადასახადი ძალიანი მოცულობით, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც დაანგარიშებულია, როგორც კორპორაციული შემოსავლის წილი, დეკლარირებული და გადახდილი დასაბეგრი მოგებიდან საერთო წმინდა მოგების საწინააღმდეგოდ იგივე პერიოდისთვის გადამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. მიუხედავად ამისა, საგადასახადო კრედიტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებაზე დარიცხულ ფაქტობრივ საშემოსავლო გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც საშემოსავლო გადასახადის ხარჯი, იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა დივიდენდების დეკლარირება, მიუხედავად დივიდენდის გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომლის დივიდენდების გადახდაც ხდება. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული აქტივისა და ვალდებულების აღიარება 2016 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღრიცხა შესაბამისი გავლენა 2016 წლის მოგებასა და ზარალზე. პირობითი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

4 ანგარიშგების პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპების შეჯამება (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების გარდა იბეგრება სხვა ხარჯები და გადასახდელები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომელთა მოცულობა აღემატება საქართველოს საგადასახადო კანონით დადგენილ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით და სხვა სატრანზაქციო ოპერაციებით მოსარგებლე რეესტრში დარეგისტრირებული ყველა იურიდიული პირისთვის წინასწარ გადახდილი თანხები, ისევე როგორც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირებისთვის მიცემული სესხები, აუცილებლად იბეგრება.

*ფინანსურ ანგარიშში ცვლილებების შეტანა მისი გამოცემის შემდეგ.* ფინანსურ ანგარიშში ნებისმიერი ცვლილების შეტანა მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელიც იძლევა ფინანსური ანგარიშების გამოცემაზე ავტორიზაციას.

## 5 ფასს-ის პირველი გამოყენება

ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით ფასს-ზე გადასვლამდე კომპანიას არ ევალებოდა არანაირი ფინანსური ანგარიშის წარმოება, თუმცა კომპანია ნებაყოფლობით ადრეც აწარმოებდა ფინანსურ ანგარიშებს. კომპანიამ ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიში უკანასკნელად მოამზადა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი. მას შემდეგ კომპანიამ შეწყვიტა ფასს-ის გამოყენება, ვინაიდან არ არსებობდა მოთხოვნა ზოგადი დანიშნულების სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.

მაშასადამე, შედარება, თუ რამდენად იმოქმედა ადრინდელი ანგარიშგების მეთოდიდან ფასს-ის მეთოდზე გადასვლამდე კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური მაჩვენებლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ჩათვლით, ამ ფინანსურ ანგარიშში მოცემული არ არის. ფასს-ზე გადასვლამდე კომპანიას შენახული აქვს ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც, მეთოდები, გარკვეულ წილად ეფუძნებოდა გადასახადების რეგულირებაზე. მიუხედავად ამისა, კომპანია რეგულარულად აწარმოებდა კორპორატიული ანგარიშგების პაკეტს ("GRP") ელექტრონული ფორმით, რომელიც ფასს-ის შესაბამისად. კორპორატიული ანგარიშგების პაკეტში ("GRP") ასახული კომპანიის კაპიტალი არ განსხვავდებოდა ფასს-ის მიხედვით 2016 წლის 1 იანვრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული კაპიტალისგან.

ფასს 1-ი მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენას ფასს-ზე გადასვლის თარიღის მიხედვით, რომელშიც შესული უნდა იყოს გარკვეული სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისები ფასს-ის რეტროსპექტული გამოყენებიდან. ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები.

## 6 ინფორმაცია შეფასების გაურკვევლობისა და გადაწყვეტილებების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანიის მიერ გაკეთებული შეფასებები და ვარაუდები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაზე მომავალი საფინანსო წლის მანძილზე. გაანგარიშებები და გადაწყვეტილებები მუდმივად განიცდის შეფასებას და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მომავალში მოსალოდნელი მოვლენების ჩათვლით, რომლებიც, სავარაუდოდ, გონივრული იქნება მოცემულ გარემოებებში. საანგარიშგებო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა, აგრეთვე, იღებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, გარდა შეფასებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა. გადაწყვეტილებები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიო ფინანსურ ანგარიშებში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს მნიშვნელოვანი კორექტირებები აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულებაში მომავალი საფინანსო წლის მანძილზე, არის შემდეგი:

*ქონების, საწარმოს, ტექნიკისა და არამატერიალური აქტივების ხანგრძლივობის ვადა.* ქონების, საწარმოსა და ტექნიკის სანგრძლივობის ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის გადაწვეტილებაზე, მისი მსგავსი აქტივებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის ხანგრძლივობის ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მის სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ და ფიზიკურ ცვეთას, აორტიზაციას და ფიზიკურ გარემოს, რომელში აქტივი მუშაობს. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიო ამორტიზაციის კოეფიციენტის ცვლილება მომავალში.

**6 ინფორმაცია შეფასების გაურკვევლობისა და გადაწყვეტილებების ძირითადი წყაროების შესახებ (გაგრძელება)**

***სავაჭრო და სხვა დავალიანებების გაუფასურება.*** დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის განკუთვნილი რეზერვის მოცულობა დამოკიდებულია კომპანიის მიერ კონკრეტული კლიენტების ანგარიშებიდან თანხის ამოღების შესაძლებლობის შეფასებაზე. თუ ძირითადი კლიენტის კრედიტუნარიანობის გაუარესება ან რეალური დეფოლტის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე ეს ნაჩვენებია შეფასებაში, ფაქტრიური დებიტორული დავალიანება შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებაში მოცემულისგან. თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ცალკე შეფასებულმა დებიტორულმა დავალიანებამ, განიცადა გაუფასურება, იმის და მიუხედავად ის მნიშვნელოვანია, თუ არა, კომპანიას ამ დებიტორულ დავალიანებას აერთიანებს იმავე საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფში და ერთიანად აფასებს მას გაუფასურების ნიშნით.

ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება გადაიხედოს მომავალში, უარყოფითი ან დადებითი თვალსაზრისით, რაც დამოკიდებულია თითოეულ მათგანზე ზემოქმედების შედეგებსა და მოლოდინებზე.

***საგადასახადო კანონმდებლობა.*** როგორც მომდევნო 23-ე პუნქტშია განხილული, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა საქართველოში, მნიშვნელოვან წილად, გულისხმობს მის ინტერპრეტირებას და განიცდის საგადასახადო უწყებების მხრიდან მუდმივ კრიტიკას. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს განიცდის გადაფასებას ხელმძღვანელობის მხრიდან.

ვალდებულებები/პასივები აღრიცხულია საშემოსავლო გადასახადის თვალსაზრისით, ვინაიდან ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ გადასახდელი იქნება დამატებითი გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები პრეტენზიას გამოთქვამენ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. შეფასებები ემყარება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც მიღებულ იქნა და ფაქტიურად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დღის ბოლოს. ჯარიმებთან, პროცენტებთან და გადასახედებთან (გარდა საშემოსავლო გადასახადისა) დაკავშირებული ვალდებულებები აისახება ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ზუსტი შეფასების საფუძველზე.

***უწყვეტი საქმიანობა.*** ეს ფინანსური ანგარიში მომზადებულია უწყვეტი საქმიანობის საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

**7 სიახლეები საბუღალტრო აღრიცხვაში**

მიღებულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა შესრულება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრს დაწყებული საანგარიშო წლიდან, რომლებსაც კომპანია ადრე არ იყენებდა.

***ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები" (შესწორებულია 2014 წლის ივლისში და გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრიდან და მას შემდეგ დაწყებული ფინანსური წლებისთვის).*** ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივები კლასიფიცირებული უნდა იყოს სამ გაზომვით კატეგორიებად: მათი შემდგომი შეფასება საამორტიზაციო ღირებულების მიხედვით, შეფასება გონივრულ ფასად სხვა ერთობლივი შემოსავლის (FVOCI) გათვალისწინებით და მოგება-ზარალის გონივრული ღირებულების ღირებულების მიხედვით (FVPL).
- ვალის ინსტრუმენტების კლასიფიკაცია განისაზღვრება ორგანიზაციის ბიზნეს მოდელით ფინანსური აქტივების მართვის თვალსაზრისით და იმითაც, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი შემოსავალი მოიცავს თუ არა მხოლოდ ვალის ძირითადი თანხის და პროცენტების დაფარვას (SPPI). თუ ვალის ინსტრუმენტი არსებობს გადასახადის წარდგენისთვის, მაშინ შესაძლებელია მისი აღრიცხვა საამორტიზაციო ღირებულებით, თუ ეს რა თქმა უნდა შეესაბამება SPPI-ს მოთხოვნებს. ვალის ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს მოთავსებულია პორტფელში, რომელშიც ორგანიზაცია აგროვებს, როგორც აქტივებიდან შემოსულ თანხებს, ასევე ასორციელებს აქტივების გაყიდვას, შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნეს როგორც გონივრულ ფასად შეფასებული სხვა ერთობლივი შემოსავლის ეთვალისწინებით. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავს ფულადი სახსრების მოძრაობას, არის „SPPI“, უნდა შეფასდეს „FVPL"-ის მიხედვით (მაგ. წარმოებულები). განუყოფელი წარმოებულები არა თუ აღარ არის განცალკევებული ფინანსური აქტივებიდან, არამედ ჩართულია შეფასებაში SPPI-ს პირობის შესაბამისად.
- ინვესტიციების წილობრივ ინსტრუმენტებში ყოველთვის შეფასდება გონივრული ღირებულებით. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია განახორციელოს შეუქცევადი არჩევნები სხვა ერთობლივი შემოსავლის გონივრულ ფასში ცვლილების წარმოდგენის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტი არ არის ვაჭრობისთვის განკუთვნილი. თუ წილობრივი ინსტრუმენტი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ცვლილებები გონივრულ ფასში აისახება მოგებაში ან ზარალში.
- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული ფასს 39-ის, მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად არის გადატანილი ფასს 9-ში. ძირითად ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოს ევალება საკუთარ ფინანსურ ვალდებულებებზე საკრედიტო რისკების ცვლილების ასახვა, მოგება ზარალის გონივრულ ფასად შეფასების გზით სხვა ერთობლივ შემოსავალთან მიმართებაში.

- სიახლეები საბუღალტრო აღრიცხვაში (გაგრძელება)

- ფასს 9-ში წარმოდგენილია გაუფასურებული ზარალის ასახვის ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი (ECL). არსებობს 'სამეტაპიანი' მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას მისი პირველადი შეფასების შემდეგ. პრაქტიკაში, ახალი წესები ნიშნავს იმას, რომ კომპანიები ვალდებულნი იქნებიან დაუყოვნებლივ აღრიცხონ ზარალი, რომელიც უდრის 12-თვიან მოსალოდნელ ზარალს (ECL), დაწყებული ფინანსური აქტივების პირველადი შეფასებიდან, როდესაც ისინი არ არიან გაუფასურებული (ან ECL ხანგრძლივობის მიხედვით სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის). საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურება ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხანგრძლივობის გამოყენებით და არა 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის (ECL) მიხედვით. მოდელი მოიცავს გამარტივებულ ოპერაციებს საიჯარო და სავაჭრო დავალიანებებისთვის.

- ჰეჯირებული აღრიცხვის მოთხოვნებში შეტანილ იქნა ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის რისკის მენეჯმენტთან უფრო მჭირდროდ დაკავშირების მიზნით. სტანდარტი კომპანიებს სთავაზობს შესაძლებლობას გააკეთოს არჩევანი საანგარიშო მეთოდებს შორის, კერძდ, გამოიყენოს ფასს 9-ის ჰეჯირებული აღრიცხვის მეთოდები თუ გააგრძელოს ბასს 39-ის ჰეჯირებული აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენება ყველა ჰეჯირების მიმართ, ვინაიდან ეს სტანდარტი ამჟამად არ ითვალისწინებს მაკროჰეჯირებას.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე დროს, ამ პერიოდისთვის არსებული ფაქტებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობა არ ფიქრობს, რომ 2018 წლის 1 იანვარს მიღებული ახალი სტანდარტები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების მიმართ, გარდა მოგება- ზარალის გონივრული ფასით (FVTPL) აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების გონივრული ფასის ცვლილებებისაი, რომლებიც დაკავშირებულია ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის ცვლილებასთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება სხვა ერთობლივ შემოსავალში

ახალი სტანდარტი აგრეთვე ითვალისწინებს ფართო მოთხოვნებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციისა და ცვლილებების წარდგენის თვალსაზრისით. მოსალოდნელია, რომ ახალი სტანდარტი შეცვლის კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის არსსა და მოცულობას, განსაკუთრებით, ახალი სტანდარტის მიღების წელს.

***ფასს 15, შემოსავლები კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გამოცემული 2014 წლის 28 მაისს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარს).*** ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ძირითად პრინციპს, რომლის თანახმადაც შემოსავალი უნდა იქნეს აღრიცხული დარებული, როდესაც საქონელი ან მომსახურება გადაეცემა კლიენტს ტრანზაქციის ფასად. ნებისმიერი შეკრული საქონელი ან მომსახურეობა, რომელიც აუცილებლად ცალკე უნდა იყოს აღრიცხული, აგრეთვე ნებისმიერი ფასდაკლება ან შეღავათი საკონტრაქტო ფასთან მიმართებაში, ზოგადად, უნდა გადანაწილდეს ცალკეულ ელემენტებად. როდესაც შეცვლა იცვლება ნებისმიერი მიზეზით, უნდა დაფიქსირდეს მინიმალური თანხა, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების რისკი. კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების კაპიტალიზაცია და ამორტიზაცია უნდა მოხდეს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც იქნა მიღებული სარგებელი აღნიშნული ხელშეკრულებიდან.

***შესწორებები ფასს 15-ში, შემოსავლები კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან).*** შესწორებები არ ცვლის სტანდარტის ძირითად პრინციპებს, ის ახსნებს ამ პრინციპების გამოყენების წესს. შესწორება განმარტავს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ვალდებულების შესრულება (კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების პირობა) ხელშეკრულებაში; როგორ განვსაზღვროთ არის თუ არა კომპანია მთავარი (საქონლის ან მომსახურების მომწოდებელი) თუ აგენტი (პასუხისმგებელისაქონლის ან მომსახურების მოწოდებაზე) და როგორ განვსაზღროთ, ლიცენზიის გადაცემიდან მიღებული შემოსავალი უნდა აღირიცხოს მაშინვე თუ შემდგომ პერიოდში. და ბოლოს განმარტებებთან მიმართებაში, ცვლილებით გამარტივებულია სარჯების შემცირება და კომპანიის სირთულეები ახალი სტანდარტის პირველად გამოყენებისას.

ფასს 15-ის გარდამავალი დებულებების თანასმად, კომპანიამ აირჩია გამარტივებული გადასვლის მეთოდი და პერიოდი 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე კომპანიისთვის იქნება ფასს 15-ის სტანდარტებით მუშაობის პირველი წელი.

კომპანია გეგმავს პრაქტიკული რესურსის გამოყენებას ახალ მეთოდზე გადასვლის გამარტივების მიზნით. კომპანია ფასს 15-ს იყენებს უკანა რიცხვით მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც არ არის დასრულებული პირველადი განაცხადის თარიღისთვის (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ზე გადასვლა გამოიწვევს ცვლილებებს ანგარიშგების პოლიტიკაში. 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კომპანიის შემოსავლების, ცალკეული ხელშეკრულებების პირობებისა და აღნიშნული თარიღისთვის არსებული ფაქტების და გარემოებების ანალიზის საფუძველზე. აგრეთვე, გამარტივებული გარდამავალი მეთოდის გამოყენების გათვალისწინებით, კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელოდება მნიშვნელოვან გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე 2018 წლის 1 იანვარს მიღებული ახალი სტანდარტის გამო.

...ბუღალტრული აღრიცხვის სიახლეები (გაგრძელება)

...5-ის მიღებასთან დაკავშირებული ძირითადი ცვლილებები განმარტებულია ქვემოთ:

- ხელშეკრულების ცვლილებების აღრიცხვა,
- დამატებითი შესრულების ვალდებულებები გამოვლენილია,
- ცვლადი მოსაზრებების აღრიცხვა,
- მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის აღრიცხვა,
- კლიენტების ლოიალურობის პროგრამების აღრიცხვა,
- შემოსავლების აღიარების დროში ცვლილებები (დროთა განმავლობაში, ან პირიქით),
- საბუღალტრო ანგარიშსწორება,
- ლიცენზიების აღრიცხვა,
- ხელშეკრულების მოსაპოვებლად ხარჯების აღრიცხვა,
- ხელშეკრულების შესასრულებლად ხარჯების აღრიცხვა,
- ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების პრეზენტაცია,
- სხვა.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ხელმძღვანელობა არ ელის ცვლილებებს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგენილ ფინანსურ ანგარიშში, რომელიც არის კომპანიის მიერ ფასს 15-ის გამოყენების პირველი დღე საკუთარ ფინანსურ ანგარიშებში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის. ეს გახლავთ კომპანიის ხელმძღვანელობის წინასწარი ხედვა და შესაძლოა, რომ 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის შედგენილ ფინანსური ანგარიშის მაჩვენებლები განსხვავდებოდეს წინასწარი ხედვით გათვალისწინებული ანგარიშებისგან.

***ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური საანგარიშო პერიოდისთვის).*** ახალი სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღრიცხვის გაზომვის, პრეზენტაციისა და გამჟღავნების პრინციპებს. ყველა იჯარის შედეგად მოიჯარეს გადაეცემა უფლება ისარგებლოს აქტივით საიჯარო პერიოდის დასაწყისში და თუ ანგარიშსწორება საიჯარო ხელშეკრულებების მიხედვით წარმოებს ხანგრძლივი დროით, მას აგრეთვე აქვს თანხის აღების უფლებაც. შესაბამისად, IFRS 16-ში ამოღებულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო და ფინანსურ იჯარებად, როგორც ეს მოთხოვნილი იყო ბასს 17-ით და ამის სანაცვლოდ წარმოადგენილია მოიჯარის ერთიანი საბუღალტრო მოდელი. მოიჯარეები ვალდებულნი არიან აღიარონ : (ა) ყველა იჯარის აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტი ვადით, თუ ძირითადი აქტივი არ არის უფრო დაბალი ღირებულების; და (ბ) საიჯარო აქტივების გაუფასურება მოგება-ზარალისა და მთლიანი შემოსავლის ანგარიშში დაფი ...ქსირებული სალიზინგო ვალდებულებების პროცენტისგან განცალკევებით. ფასს 16-ის მიხედვით მნიშვნელოვნად გადაწეულია ბასს 17-ით გათვალისწინებული მეიჯარის მიმართ არსებული საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს საკუთარი იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო და ფინანსური იჯარების მიხედვით და ამ ორ იჯარას სხვადასხვაგვარად აღრიცხავს. კომპანია ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე.

***ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოიცა 2017 წლის 18 მაისს და ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიდან).*** ფასს 17 ცვლის ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს უფლებას აძლევს აწარმოონ სადაზღვევო ხელშეკლურებების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17-ი ...არის ერთიან პრონციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით აღრიცხვის/ანგარიშის საწარმოებლად, გადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით, რომლებიც გააჩნია მზღვეველს. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებასა და შეფასებას (i) მომავალში შემოსული ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულების რისკის გათვალისწინებით (დასრულებული ფულადი შემოსავლები), რაც მოიცავს ფულადი სახსრების შემოსავლის შესახებ ყოველგვარ ინფორმაციას საბაზრო მონაცემების შესაბამისად; პლუსი (თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუსი (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიუღებელი შემოსავლით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ შემოსავალს იმ პერიოდის მანძილზე, რა პერიოდის დაზღვევასაც ისინი უზრუნველყოფენ და თუ რამდენად თავისუფალი არიან ისინი რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალიანი კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ აღიაროს ზარალი. კომპანია არ ელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე.

7 ბუღალტრული აღრიცხვის სიახლეები (გაგრძელება)

***IFRIC 22 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტი 22 ) "ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანგარიშსწორებები" (გამოქვეყნებული 2016 წლის 8 დეკემბერს, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრით დაწყებულ ფინანსურ წელს ან მის შემდგომ).*** ამ ინტერპრეტაციაში განხილულია ტრანზაქციის თარიღის დადგენის მეთოდი უცხოური სავალუტო ოპერაციების სტანდარტის გამოყენებით, ბასს 21. ეს იმტერპრეტაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია იხდის ან იღებს თანხას წინასწარი ანგარიშსწორების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხელშეკრულებების მიხედვით. ინტერპრეტაციაში განმარტებულია, რომ ტრანზაქციის თარიღად მიიჩნევა არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების პირველადი აღიარების თარიღი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა თანხის წინასწარ გადახდა ან აღება. მრავალჯერადი ანგარიშსწორების (თანხის წინასწარ გადახდის ან აღების) შემთხვევაში, ინტერპრეტაციის მიხედვით ორგანიზაციას მოეთხოვება თითოეული სატრანზაქციო წინასწარი ანგარიშსწორების თარიღის დაფიქსირება. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე.

***IFRIC 23 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტი 22 ) "გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით" (გამოქვეყნებული 2017 წლის 7 ივნისს, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრით დაწყებულ ფინანსურ წელს ან მის შემდგომ).*** ბასს 12 განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოახდინოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ანგარიშგება, მაგრამ არა ის, თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის შედეგები. ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული აღიარებისა და შეფასების ბასს 12-ის მოთხოვნა შემოსავლის დაბეგვრის მეთოდების გაურკვევლობის პირობებში. ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, შემეფასების დაბეგვრის ყოველი შემთხვევისთვის ცალკეულ მეთოდს გამოიყენებს, თუ ყველა შემთხვევისთვის ერთს ან მეტ მეთოდს, რომელთა საფუძველზე მოიძებნება უკეთესი გამოსავალი გაურკვევლობიდან. ორგანიზაციამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ საგადასახადო ორგანო აუცილებლად გამოიკვლევს იმ თანხებს, რომელთა გამოკვლევის უფლებაც მას გააჩნია და მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციას. თუ ორგანიზაცია მიჩნევს, რომ საგადასახადო ორგანოსთვის შეუძლებელია დაბეგვრის გაურკვეველი რეჟიმის მიღება, ვიწაიდან, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დასაბეგრ მოგება-ზარალის განსაზღვრაზე, საგადასახადო ბაზაზე, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალზე, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებზე ან საგადასახადო ტარიფებზე, ყველაზე რეალური თანხის ან მოსალოდნელი თანხის გამოყენებით, იმის და მიხედვით, თუ რომელ განისავალს უფრო ეფექტურად მიიჩნევს კომპანია აღნიშნული გაურკვევლობიდან. ორგანიზაცია ასახავს ფაქტების და გარემოებების ცვლილებების და ახალი ინფორმაციის ეფექტს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინტერპრეტაციით მოთხოვნილ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებზე. როგორც საანგარიშო შეფასებების ცვლილებებზე. ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის გავლენის მაგალითებს, კერძოდ, გადაწყვეტილებების და შეფასებების გადაფასების მაგალითები მოიცავს. მაგრამ არ შემოიფარგლება საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებულ შემოწმებასა და ქმედებებში, საგადასახადო ორგანოს მიერ დამტკიცებულ წესების ცვლილებებში ან საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმებისა და ქმედებების განხორციელებაზე უფლებამოსილების ამოწურვით. საგადასახადო რეჟიმის მიმართ თანხმობის ან უთანხმოების მიუხედვად, საგადასახადო ორგანოს, სავარაუდოდ, არ შეუძლია ცვლილება მოახდინოს ფაქტებზე, გარემოებებზე ან ახალ ინფორმაციაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ინტერპრეტაციით მოთხოვნილ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებზე.

გამოცხადებული ახალი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, რომ რაიმე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიაზე მათი დამტკიცების შემთხვევაში:

- ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოებს შორის აქტივების გაყიდვა ან დაბანდება – ცვლილებები ფასს (IFRS) 10-ში და ბასს (IAS) 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ამოქმედდება ბასბს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებულ ფინანსურ წელს).
- ცვლილებები ფასს (IFRS) 2-ში, აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრით დაწყებულ ან მას შემდეგ ფინანსურ წელს).
- ფასს (IFRS) 9-ის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ბასს (IFRS) 4-ის სადაზღვევო ხელშეკრულებებთან მიმართებაში - ცვლილებები ფასს (IFRS) 4-ში (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდის მიმართ მიდგომის შესაბამისად იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც იყენებენ გადასახადებიდან დროებით გათავისუფლების უფლებას ან კომპანია პირველად იყენებს ფასს (IFRS) 9-ის მეთოდს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ირჩევენ გადაფარვის მეთოდს).
- საინვესტიციო ქონების ტრანსფერები - ბასს 40-ის შესწორებები (გამოცემული 2016 წლის 8 დეკემბერს და ამოქმედებული 2018 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიდან ან მის შემდგომ პერიოდში).
- ფასს (IFRS) 2014-2016 ციკლის წლიური მაჩვენებლების შესწორება – ცვლილებები ფასს (IFRS) 1-ში და ბასს (IAS) 28-ში (გამოცემული 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრით დაწყებულ პერიოდში ან მის შემდეგ).
- წინასწარი ანგარიშსწორება უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრით დაწყებულ წელს ან მის შემდეგ).
- გრძელვადიანი ინტერესები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში - ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრით დაწყებულ წელს ან მის შემდეგ).

თუ სხვა რამ არ არის ზემოთ აღწერილი. მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რაიმე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგატიშებზე.

## 8 ქონება, საწარმო და აღჭურვილობა

| ათასი ქართული ლარი | მიწა და შენობები | საწარმო და აღჭურვილობა | ავეჯი, ფურნიტურა და საოფისე ტექნიკა | სატრანსპორტო საშუალებები | CIP* | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ხარჯი** | | | | | | |
| 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 15,116 | 26,630 | 364 | 1,986 | 604 | 44,700 |
| დამატებები | - | 128 | 48 | 334 | 380 | 890 |
| ტრანსფერები | 109 | 101 | - | - | (210) | - |
| ჩამოწერა | - | (10) | (9) | (40) | - | (59) |
| **2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **15,225** | **26,849** | **403** | **2,280** | **774** | **45,531** |
| დამატებები | - | 150 | 140 | 56 | 2,694 | 3,040 |
| ტრანსფერები | 2,473 | 438 | - | - | (2,911) | - |
| ჩამოწერა | - | (52) | (8) | (275) | - | (335) |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **17,698** | **27,385** | **535** | **2,061** | **557** | **48,236** |
| დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია | | | | | | |
| 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 2,231 | 10,185 | 154 | 1,084 | - | 13,654 |
| საამორტიზაციო ანარიცხები | 495 | 1,967 | 43 | 274 | - | 2,779 |
| განადგურებულია ამოღებისას | - | (10) | (5) | (40) | - | (55) |
| **2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,726** | **12,142** | **192** | **1,318** | **-** | **16,378** |
| საამორტიზაციო ანარიცხები | 517 | 2,023 | 45 | 321 | - | 2,906 |
| განადგურებულია ამოღებისას | - | (53) | (8) | (271) | - | (332) |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,243** | **14,112** | **229** | **1,368** | **-** | **18,952** |
| **საბალანსო ღირებულება** | | | | | | |
| 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 12,885 | 16,445 | 210 | 902 | 604 | 31,046 |
| 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 12,499 | 14,707 | 211 | 962 | 774 | 29,153 |
| **2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **14,455** | **13,273** | **306** | **693** | **557** | **29,284** |

*(*) CIP – მიმდინარე მშენებლობები და ჩაუმონტაჟებელი მოწყობილობები*

2016 წელს კომპანიამ დაიწყო ტრენინგების ცენტრის მშენებლობა, სადაც ჩატარდება სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ტრენინგები. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ოპერაციული ხარჯების ჯამში ჩართული იყო 1,870 ათასი ლარი. მშენებლობა ნაწილობრივ დაფინანსებული იყო „Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft“-ის მიერ (შემდგომში – "DEG"). დაფინანსების შემდგომი დეტალები მოცემულია შენიშვნა 12-ში.

## 9 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

| ათასი ქართული ლარი | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| ნედლეული | 4,058 | 2,797 | 3,324 |
| ვარგისია გადაყიდვისთვის | 2,844 | 1,990 | 2,042 |
| მზა პროდუქცია | 793 | 823 | 1,233 |
| სხვა | 96 | 45 | 12 |
| **სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი** | **7,791** | **5,655** | **6,611** |

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ასახვისას ხარჯად აღიარებულმა საინვენტარიზაციო ღირებულებამ შეადგინა 32,457 ათასი ლარი (2016: 24,010 ათასი ლარი).

## 10 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

| ათასი ქართული ლარი | 31 დეკემბრი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება | 1,740 | 1,474 | 1,377 |
| ნაკლები: გაუფასურების შედეგად ზარალის რეზერვები | - | - | - |
| მთლიანი სავაჭრო და დებიტორული დავალიანება, სუფთა | 1,740 | 1,474 | 1,377 |
| წინასწარ ანგარიშწორება მომწოდებლებთან | 616 | 1,185 | 481 |
| მისაღები სამთავრობო გრანტი (შენიშვნა 12) | 601 | - | - |
| სხვა მისაღები თანხები | 16 | 4 | 87 |
| მთლიანი სავაჭრო და სხვა მისაღები თანხები | 2,973 | 2,663 | 1,945 |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ოპერაციებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების სუფთა გაუფასურების ზარალის უზრუნველყოფა 163 ათასი ლარის ოდენობით დენომინირებულ იქნა ევროში, შესაბამისად (2016 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი დენომინირებულია - 16 ათასი ლარში; ევრო დენომინირებულია - 10 ათას ლარში, 2016 წლის 1 იანვარი : EUR დენომინირებული - 82 ათას ლარში).

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ანალიზი არის შემდეგი:

| | 31 დეკემბერი 2017 | | 31 დეკემბერი 2016 | | 1 იანვარი 2016 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ათასი ქართული ლარი | სავაჭრო დავალიანება | სხვა ფინანსური დავალიანებები | სავაჭრო დავალიანება | სხვა ფინანსური დავალიანებები | სავაჭრო დავალიანება | სხვა ფინანსური დავალიანებები |
| მიმდინარე და გაუუფასურებელი | 1,477 | 601 | 1,301 | - | 116 | - |
| მთლიანი მიმდინარე და გაუუფასურებელი | 1,477 | 601 | 1,301 | - | 116 | - |
| მიმდინარე და გაუუფასურებელი | | | | | | |
| - 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული | 138 | - | 9 | - | 75 | - |
| - 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული | 33 | - | 42 | - | 473 | - |
| - 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული | 92 | - | 122 | - | 713 | - |
| სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული | 263 | - | 173 | - | 1,261 | - |
| ინდივიდუალურად განსაზღვრებული, როგორც გაუფასურებული (მთლიანი ოდენობა) | | | | | | |
| - 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული | - | - | - | - | - | - |
| - 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული | - | - | - | - | - | - |
| - 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული | - | - | - | - | - | - |
| სულ ინდივიდუალურად გაუფასურდა | - | - | - | - | - | - |
| ნაკლები გაუფასურების უზრუნველყოფა | - | - | - | - | - | - |
| მთლიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები 31 დეკემბრის მდგომარეობით | 1,740 | 601 | 1,474 | - | 1,377 | - |

## ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| ათასი ქართული ლარი | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 1 | 1 | 1 |
| საბანკო ანგარიშები ბანკებში | 345 | 902 | 1,075 |
| ლარში დენომინირებული | 1,663 | 1,401 | 62 |
| აშშ დოლარში დენომინირებული | 3,437 | 1,681 | 327 |
| ევროში დენომინირებული | - | 484 | - |
| თურქულ ლირაში დენომინირებული | | | |
| სულ ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები | 5,446 | 4,469 | 1,464 |

ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხის დაჯამება შესაძლებელია ფიტჩის რეიტინგების მიხედვით 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი სახით:

| ათასი ქართული ლარი | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული - B რეიტინგი | 5,445 | 4,468 | 1,463 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით | 5,445 | 4,468 | 1,463 |

## 12 სახელმწიფო გრანტები

კომპანიამ მოიპოვა სამთავრობო გრანტი ახალი სასწავლო ცენტრის (შენიშვნა 8) მშენებლობისთვის და ასახა გადავადებულ შემოსავლებში შემდეგნაირად:

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| გადავადებული შემოსავლის ვალდებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | - |
| მიღებული ახალი გრანტები | 601 | - |
| გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია შესაბამის ცვლილებასთან შესადარებლად | - | - |
| გადავადებული საშემოსავლო ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 601 | - |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული შემოსავლის ვალდებულებების მიმდინარე და გრძელვადიან ნაწილში შეადგენს 176 ათას ლარს და 425 ათას ლარს, შესაბამისად.

## 13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის თავდაპირველი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 6,973 ათასი ლარის ოდენობით, შემდგომში გაიზარდა 58,146 ათას ლარამდე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალში სესხების კაპიტალიზაციისა და ფულის შენატანების გზით. 2016 წლის განმავლობაში კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით შპს "კნაუფ გიპს თბილის"-მა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირისგან შეიძინა აღჭურვილობა და დაუყოვნებლივ მიჰყიდა სხვა პირს, ასევე საერთო კონტროლის ქვეშ მყოფს, რის შედეგადაც მოხდა 645 ათასი ლარის ფულადი სახსრების შემოდინება. ვინაიდან აღნიშნულ გარიგებას აკონტროლებდა, კომპანიის მფლობელი, აღნიშნული ჩაითვალა, როგორც კაპიტალის ზრდა. 2017 წლის 13 დეკემბერს კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით, საწესდებო კაპიტალი შემცირდა 3,446 ლარით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 55,345 ათასი ლარი.

## 14 სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება

| ათასი ქართული ლარი | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| სავაჭრო გადასახადები | 2,535 | 999 | 1,837 |
| *მთლიანი ფინანს.დავალ.სავაჭრო და საკრ.დავალ.გარეშე* | *2,535* | *999* | *1,837* |
| თანამშრ.შრომ.ანაზღ.დარიცხული ხარჯები | 424 | 387 | 193 |
| სხვა გადასახდელი გადასახადები | 305 | 429 | 82 |
| სხვა | 121 | 29 | 24 |
| **სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება** | **3,385** | **1,844** | **2,136** |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 604 ათასი ლარის, 976 ათასი ლარის და 160 ლარის ფინანსური ოპერაციები და სხვა საკრედიტო დავალიანებები დენომინირებულ იქნა აშშ დოლარში, ევროში და თურქულ ლირაში, შესაბამისად (2016 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარში დენომინირებულია - 499 ლარი, ევროში დენომინირებულია - 267 ლარი, თურქულ ლირაში დენომინირებულია - წული; 2016 წლის 1 იანვარი: აშშ დოლარში დენომინირებულია - 316 ათასი ლარი, ევროში დენომინირებული - 766 ათასი ლარი, თურქულ ლირაში - 568 ათასი ლარი).

## 15 შემოსავალი

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| მზა პროდუქციის რეალიზაცია | 35,759 | 28,357 |
| გადასაყიდი საქონლის რეალიზაცია | 19,737 | 13,395 |
| გაწეული მომსახურეობები | 75 | 96 |
| **მთლიანი შემოსავალი** | **55,571** | **41,848** |

## 16 გაყიდვების ღირებულება

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| გამოყენებული ნედლეული და მასალები | 32,457 | 24,010 |
| ენერგო და კომუნალური ხარჯები | 3,496 | 3,413 |
| თანამშრომლების სახელფასო და საკონპენსაციო ხარჯები | 3,196 | 2,868 |
| საამორტიზაციო ხარჯები | 2,907 | 2,813 |
| სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები | 639 | 458 |
| **გაყიდვების საერთო ღირებულება** | **42,695** | **33,562** |

## 17 სარეალიზაციო და სადისტრიბუციო ხარჯები

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| სატრანსპორტო ხარჯები | 2,961 | 2,427 |
| მარკეტინგისა და სარეკლამო ხარჯები | 995 | 943 |
| თანამშრომლების სახელფასო და საკონპენსაციო ხარჯები | 163 | 140 |

| ...ლიანი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 4,119 | 3,510 |
|---|---|---|

## 18 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| პროფესიული მომსახურების ხარჯები | 1,421 | 1,362 |
| თანამშრომლების სახელფასო და საკომპენსაციო ხარჯები | 831 | 863 |
| მივლინებები | 248 | 147 |
| კომუნალური ხარჯები | 151 | 146 |
| საოპერაციო იჯარის ხარჯები | 124 | 144 |
| საამორტიზაციო ხარჯები | 50 | 48 |
| სხვა | 54 | 117 |
| სარეალიზაციო და დისტრიბუციის მთლიანი ხარჯი | 2,879 | 2,827 |

## 19 სხვა საოპერაციო ხარჯები

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი | 704 | 336 |
| ნორმის ზევით ზარალი | 471 | 419 |
| რემონტი და ტექნიკური მომსახურება | 366 | 403 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 94 | 78 |
| დაზღვევის ხარჯი | 93 | 118 |
| სხვა | 29 | 21 |
| მთლიანი სხვა საოპერაციო ხარჯები | 1,757 | 1,375 |

## 20 ფინანსური შემოსავალი

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| სავალუტო მოგება, წმინდა | 386 | - |
| საპროცენტო შემოსავალი | 241 | 138 |
| მთლიანი ფინანსური შემოსავალი | 627 | 138 |

## 21 ფინანსური ხარჯი

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| უცხოური ...ალუტო დანაკარგები, წმინდა | - | (275) |
| მთლიანი ფინანსური ხარჯი | - | (275) |

## 22 საშემოსავლო გადასახადი

| ათასი ქართული ლარი | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| მიმდინარე გადასახადი | - | - |
| საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების გამო გადავადებული გადასახადის გადაანგარიშება | - | 1,022 |
| საშემოსავლო გადასახადის კრედიტი წელიწადში | - | 1,022 |

კომპანიის შემოსავლისთვის გამოსაყენებელი საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 15% (2015: 15%).

22 საშემოსავლო გადასახადი (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საშემოსავლო გადასახადის აღიარების და შეფასების პრინციპებზე. დაგეგმილი ცვლილებები, ასევე, გავლენას ახდენს კომპანიის გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივებზე/ პასივებზე. კომპანიებმა არ მოუწევთ გადასახადის გადახდა საკუთარ შემოსავალზე (2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულზე), სანამ მოგება ნაწილდება დივიდენდების სახით ან მოგების განაწილების სხვა ფორმით. დივიდენდის გადახდის შემთხვევაში, გადასდას ექვემდებარება 15% -იანი საშემოსავლო გადასახადი დივიდენდების გადახდის მომენტში, მიუხედავად იმისა, ფულადი სახით იქნა აბაზღაურებული დივიდენდი, არა არაფულადი სახით, ეს წესი ვრცელდება უცხოელ არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე და უცხოელ და ადგილობრივ ფიზიკურ პირებზე. რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულნი არიან გადასახადებიდან. და ბოლოს, დივიდენდების განაწილებასთან მიმართებაში, გადასახადი კვლავ ერიცხება ხარჯებსა და სხვა ანგარიშწორებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება და/ან ფულადი გადარიცხვები და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ თანხას, იმავე თვეში, რომელშიც მოხდა მათი დარიცხვა. გარდა ამისა, საქართველოდან გადახდილი ყველა ავანსი დაუყოვნებლივ იბეგრება, ისევე როგორც სესხის გაცემა ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. საქართველოს ზემოთ ხსენებული საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, შეწყვეტილ იქნს გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოსალოდნელი და ფაქტიური საგადასახადო მოსაკრებლის ურთიერთშეჯერება მოცემულია ქვემოთ:

| *ათასობით ქართული ლარი* | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| **მოგება საშემოსავლო გადასახადის დარიცხვამდე** | **4,817** | **481** |
| თეორიული საშემოსავლო გადასახადის ხარჯი განაკვეთზე 15% | (723) | (72) |
| იმ საშუალებებთან დაკავშირებული საგადასახადო ეფექტი, რომლებიც არ ექვემდებარება დაბეგვრას ან შეფასებას საგადასახადო მიზნებისთვის | 723 | - |
| საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების გამო გადავადებული გადასახადის გადაანგარიშება | - | (1,094) |
| **საშემოსავლო გადასახადის კრედიტი წელიწადში** | **-** | **1,022** |

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, როგორც ეს აღწერილია ზემოთ, განსხვავებამ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშებში კომპანიის აქტივებისათვის და ვალდებულებებისათვის აღიარებულ თანხებსა და იგივე აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ორგანოების მიერ აღიარებულს შორის, აგრეთვე ამჟამად გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და საგადასახადო შეღავათების, საძრძალოდ გადაწევამ გამოიწვია დროებითი სხვაობა ფინანსური ანგარიშგებისათვის განკუთვნილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისათვის განკუთვნილს შორის. საგადასახადო ეფექტი დროებით ცვლილებებსა და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით გამოწვეულ გადაფასებას შორის მოცემულია ქვემოთ:

| *ათასობით ქართული ლარი* | 1 იანვარი 2016 | გადაფასება საგადასახადო კანონში ცვლილებების გამო | 31 დეკემბერი 2016 |
|---|---|---|---|
| **გამოსაქვითი დროებ.სახვაობის საგადასახადო ეფექტი** | | | - |
| სავაჭრო და სხვა დებიტ. დავალიანებები | 39 | (39) | - |
| სავაჭრო და სხვა საკრ. დავალიანებები | 29 | (29) | - |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | 58 | (58) | - |
| **მთლიანი გადავადებული საშემოსავლო გადასახადი** | **126** | **(126)** | **-** |
| **დასაბეგრი დროებითი სხვაობის საგადასახადო ეფექტი** | | | |
| საკუთრება, საწარმო და აღჭურვილობა | (1,148) | 1,148 | - |
| **მთლიანი გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება** | **(1,148)** | **1,148** | **-** |
| **წმინდა გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება** | **(1,022)** | **1,022** | **-** |

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

*საგადასახადო კანონმდებლობა.* საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური უწყებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგო და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული. გადასახადები ექვემდებარება იძიებენ რიგი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან თავად დააკისროს მკაცრი ჯარიმები, სახდელები და საპროცენტო განაკვეთები.

საგადასახადო წელი ღიად რჩება საგადასახადო ორგანოების მიერ განხილვის მიზნით მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებების და გამო საგადასახადო წელი შეიძლება ღიად დარჩეს უფრო მეტი ხნით. ამ გარემოებებს შეუძიათ საგადასახადო რისკების შექმნა საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

*გარემოსდაცვითი საკითხები.* მუდმივად ვითარდება გარემოსდაცვითი რეგულაციების განხორციელება საქართველოში და სამთავრობო ორგანოების მიერ მუდმივად განიხილება მათი შესრულების მეთოდები. კომპანია პერიოდულად აფასებს საკუთარ ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად. ვალდებულებების განისაზღვრისთანავე ხდება მათი დაუყოვნებლივი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული წესების, სამოქალაქო სამართალწარმოების ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, არ შეიძლება შეფასდეს, მაგრამ შეიძლება იყოს არსებითად მნიშვნელოვანი. ამჟამინდელ კანონმდებლობაში არსებული საჯარო ვალდებულებები გარემოსთვის ზიანის მიყენების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი თვალსაზრისით, კომპანია პერიოდულად აფასებს საკუთარ ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების მიმართ.

## 23 ფინანსური რისკის მენეჯმენტი

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიაში ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და ფასის ცვლილების რისკს), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზანია რისკის ფარგლების დადგენა, შემდეგ კი, რისკების გავლენის ამ დადგენილ ფარგლებში შენარჩუნების უზრუნველყოფა. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების გამართულად ფუნქციონირებისაკენ, რათა მოხდეს ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმიზაცია.

*საკრედიტო რისკი.* კომპანია არ არის დაცული საკრედიტო რისკებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ითვალისწინებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის გავლენის საერთო დონე იმ შემთხვევაში, თუ კომპანია პროდუქციას გაყიდის საკრედიტო პირობებით და განახორციელებს ტრანზაქციებს, კონტრაგენტებთან, რაც გამოიწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმუმი აქტივების კლასის მიხედვით არის შემდეგი:

| *ათასობით ქართული ლარი* | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2016 | 1 იანვარი 2016 |
|---|---|---|---|
| *სავაჭრო და სხვა დებიტ.დავალიანებ. (შენიშ. Error! Reference source not found.)* | | | |
| - სავაჭრო დავალიანებები | 1,740 | 1,474 | 1,377 |
| *საგრანტო დავალიანებები (შენიშვნა Error! Reference source not found.)* | 601 | - | - |
| *ფილადი სასტრ. და მათი ეკვივალ. (შენიშვნა Error! Reference source not found.)* | | | |
| - საბანკო ნაშთების გადახდა მოთხოვნის შესაბამისად | 5,445 | 4,468 | 1,463 |
| **საკრედიტო რისკის მთლიანი მაქსიმუმი 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **7,786** | **5,942** | **2,840** |

კომპანია აყალიბებს საკუთარ თავზე აღებული საკრედიტო რისკის დონეს კონტრაგენტების ან კონტრაგენტი ჯგუფების მიმართ აღებული რისკის თანხაზე ლიმიტის დაწესების გზით. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. მსგავსი რისკების მონიტორინგი მუდმივად განახლებადი პრინციპის საფუძველზე და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ განხილვას.

კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს დაუფარავი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანალიზს მათი ვადების შესაბამისად და ამოწმებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს. ამიტომ, კომპანიის ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს საკრედიტო რისკების შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის მიწოდებას. დავალიანების ვადების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით,რომელიც ეს მოცემულია 10-ე პუნქტში.

## 24 ფინანსური რისკის მენეჯმენტი (გაგრძელება)

*საბაზრო რისკი.* კომპანიას ემუქრება საბაზრო რისკები. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) საპროცენტო აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ პროდუქტებში, როდესაც ყოველ მათგანზე გავლენას ახდენს ზოგადი და კონკრეტული საბაზრო მოძრაობები. ხელმძღვანელობა ადგენს იმ რისკის ღირებულების ლიმიტებს,, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს და რომელიც ყოველდღიურად მოწმდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ იცავს დადგენილ ფარგლებს ზევით დანაკარგებისგან უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო მოძრაობების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკების მიმართ სენსიტიურობა ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას, მაშინ როდესაც დანარჩენი ფაქტორები უცვლელია. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შეიძლება იყოს კორელაცია - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა და დასაშვებია ცვლილებების შეტანა ზოგიერთ ფაქტორში, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთში და სავალუტო კურსში.

*სავალუტო რისკი.* ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეჯამებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალუტის კურსის რისკის გავლენა კომპანიაზე:

| | 2017წ.31 დეკემბრის მდგომარეობით | | |
|---|---|---|---|
| *ათასობით ქართული ლარი* | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური პასივები | სუფთა ბალანსის მდგომარეობა |
| ქართული ლარი | 1,923 | 795 | 1,128 |
| აშშ დოლარი | 1,663 | 604 | 1,059 |
| ევრო | 4,201 | 976 | 3,225 |
| თურქული ლირა | - | 160 | (160) |
| სულ | 7,787 | 2,535 | 5,252 |

| | 2016წ.31 დეკემბრის მდგომარეობით | | | 2016წ. 1 იანვრის მდგომარეობით | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ათასობით ქართული ლარი* | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური პასივები | სუფთა ბალანსის მდგომარეობა | მონეტარული ფინანსური აქტივები | მონეტარული ფინანსური პასივები | სუფთა ბალანსის მდგომარეობა |
| ქართული ლარი | 2,351 | 233 | 2,118 | 2,370 | 187 | 2,183 |
| აშშ დოლარი | 1,417 | 499 | 918 | 62 | 316 | (254) |
| ევრო | 1,691 | 267 | 1,424 | 409 | 766 | (357) |
| თურქული ლირა | 484 | - | 484 | - | 568 | (568) |
| სულ | 5,943 | 999 | 4,944 | 2,841 | 1,837 | 1,004 |

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულადი აქტივებსა და ვალდებულებებს. არაფულადი აქტივები არ განიხილება რაიმე მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წყაროდ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგების, ზარალისა და საწესდებო კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული სავალუტო კურსის შესაძლო გონივრული ცვლილებების მიმართ კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, მაშინ როდესაც ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელად:

| | 2017წ.31 სექემბ.მდგომ. | | 2016წ.31 სექემბ.მდგომ. | | 2016წ.1 იანვ.მდგომ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ათასობით ქართული ლარი* | გავლ.მოგება ან ზარალზე | გავლ.მოგება ან ზარალზე | გავლ.მოგება ან ზარალზე | გავლენა თანაფარდობაზე | გავლ.მოგება ან ზარალზე | გავლენა თანაფარდობაზე |
| აშშ დოლარის გამყარება 10% | 106 | 106 | 92 | 92 | (25) | (25) |
| აშშ დოლარის შესუსტება 10% | (106) | (106) | (92) | (92) | 25 | 25 |
| ევროს გამყარება 10% | 323 | 323 | 142 | 142 | (36) | (36) |
| ევროს შესუსტება 10% | (323) | (323) | (142) | (142) | 36 | 36 |

*საპროცენტო განაკვეთის რისკი.* საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გავლენას საპროცენტო განაკვეთების არასასურველ ცვლილებებზე, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ხარჯზე პროცენტის ოდენობის გაზრდით ან გამოყოფილი თანხებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები, ვინაიდან ხელმძღვანელობა ამ რისკს კომპანიის საქმიანობისთვის უმნიშვნელოდ მიიჩნევს. კომპანიას არ გააჩნია არც საპროცენტო აქტივები და არც ვალდებულებები.

## 24 ფინანსური რისკის მენეჯმენტი (გაგრძელება)

*ლიკვიდურობის რისკი.* ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც პირი შეეჯახება ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. კომპანია იძულებულია ყოველდღიურად მიმართოს მის ხელთ არსებულ ფულად რესურსებს. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მცოცავ პროგნოზს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით. დაფარვის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებებით განსაზღვრული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში მოყვანილი თანხისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, დასაფიქსირებელი (გასამყღავნებელი) თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებული პირობების გათვალისწინებით. ანგარიშსწორებები უცხოურ ვალუტაში ხორციელდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი არის შემდეგი:

| *ათასობით ქართული ლარი* | მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები | 1-დან 3 თვემდე | 3-დან 12 თვემდე | 12 თვიდან 5 წლამდე | 5 წელსზე ზევით | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვალდებულებები** | | | | | | |
| სავაჭრ.გად.სახდ. 2017წ.31 დეკემბ.მდ. | 2,535 | - | - | - | - | 2,535 |
| სავაჭრ.გადასახდ. 2016წ.31 დეკემბ.მდ | 999 | - | - | - | - | 999 |
| სავაჭრ.გადასახდ. 2016წ.1 იანვრ.მდგო. | 1,837 | - | - | - | - | 1,837 |

## 24 გონივრული ფასის ასახვა

გონივრული ფასის შეფასება გაანალიზებულია გონივრული ფასის წყაროების იერარქიაში დონის მიხედვით: (i) პირველი დონე წარმოადგენს იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კვოტირებული (არაკორექტირებულ) ფასების მიხედვით შეფასებას აქტიურ ბაზრებზე, (ii) მეორე დონის გაზომვა წარმოადგენს შეფასების მეთოდს, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულების, თვალსაზრისით ყველა მატერიალურ საშუალების შეფასებას, პირდაპირ (ანუ, როგორც ფასები) ან ირიბად (ანუ ფასებიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონის გაზომვა წარმოადგენს შეფასებას, რომელიც არ ეყრდნობა დაკვირვებას დაქვემდებარებულ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. შეუსწავლელ დანახარჯებს). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას სელმძღვანელობა ეფუძნება გონივრული ფასის წყაროების იერარქიის შესახებ მოსაზრებას. თუ გონივრული ფასის განსაზღვრისას გამოიყენება ისეთი დაკვირვების მონაცემები, რომლებიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას, ეს გაზომვა არის მე-3 დონის გაზომვა. მატერიალური დანახარჯის შეფასების მნიშვნელობა განისაზღვრება გონივრული ფასის გაზომვის გზით.

***აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება გონივრული ფასის მიხედვით, მაგრამ მათი ასახვა ხდება გონივრული ფასის მიხედვით***

გონივრული ფასის იერარქიის დონეებისა და გონივრული ფასის მიხედვით შეუფასებელი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი წარმოდგენილია შემდგენაირად:

| | 31 დეკემბერი 2017 | | | |
|---|---|---|---|---|
| *ათასობით ქართული ლარი* | დონე 1 რეალ.ღირ. | დონე 2 რეალ.ღირ. | დონე 3 რეალ.ღირ. | საბალანსო ღირებულ. |
| *ფინანსური აქტივები* | | | | |
| - ფულადი სახსრ. და მათი ეკვივალ | 1 | 5,445 | - | 5,446 |
| - სავაჭრო და სხვა საკრ.დავალიანებ | - | - | 2,341 | 2,341 |
| მთლიანი აქტივები | 1 | 5,445 | 2,341 | 7,787 |
| *ფინანსური ვალდებულებები* | | | | |
| - სავაჭრო და სხვა საკრ.დავალიანებ | - | - | 2,535 | 2,535 |
| მთლიანი პასივები | - | - | 2,535 | 2,535 |

## 25 რეალური ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

| ათასობით ქართული ლარი | 31 დეკემბერი 2016 | | | | 1 იანვარი 2016 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დონე 1 რეალ.ღირ. | დონე 2 რეალ ღირ | დონე 3 რეალ ღირ | საბალ. ღირებულება | დონე 1 რეალ ღირ | დონე 2 რეალ ღირ | დონე 3 რეალ ღირ | საბალ. ღირებულება |
| *ფინანსური აქტივები* | | | | | | | | |
| - ფულადი სახსრ. და მათი ეკვივალ | 1 | 4,468 | - | 4,469 | 1 | 1,463 | - | 1,464 |
| - სავაჭრო და სხვა საკრ.დავალიანებ | - | - | 1,474 | 1,474 | - | - | 1,377 | 1,377 |
| მთლიანი აქტივები | 1 | 4,468 | 1,474 | 5,943 | 1 | 1,463 | 1,377 | 2,841 |
| *ფინანსური ვალდებულებები* | | | | | | | | |
| - სავაჭრო და სხვა საკრედ.დავალიან | - | - | 999 | 999 | - | - | 1,837 | 1,837 |
| მთლიანი პასივები | - | - | 999 | 999 | - | - | 1,837 | 1,837 |

გონივრული ფასის იერარქიის შეფასების მე-2 და მე-3 დონეებზე გონივრული ფასები შეფასებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადის შეფასების მეთოდით. იმ მცურავი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ფასი, რომელთა კვოტირება არ ხდება აქტიურ ბაზარზე, უდრის მათ საბალანსო ღირებულებას. არაკვოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ფასის განსაზღვრა ხდება მომავალი ფულადი ნაკადის საყუძველზე, რომელთა საპროცენტო განაკვეთი, სავარაუდოდ, დისკონტირებული იქნება მსგავსი საკრედიტო რისკების და გადახდის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

*საამორტიზაციო ხარჯებში ასახული ფინანსური აქტივები.* ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელთა საპროცენტო განაკვეთი, სავარაუდოდ, დისკონტირებული იქნება მსგავსი საკრედიტო რისკების და გადახდის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრპარტნიორების საკრედიტო რისკზე.

*საამორტიზაციო ხარჯებში ასახული ვალდებულებები.* დადგენილი გადახდის ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების გონივრული ღირებულება შეფასდა მომავალი ფულადი ნაკადებზე დაყრდნობით, რომელთა საპროცენტო განაკვეთი, სავარაუდოდ, დისკონტირებული იყო მსგავსი საკრედიტო რისკებისა და გადახდის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

## 25 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა განზომილებების მიხედვით

შეფასების მიზნით, ბასს 39, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდეგ კატეგორიებად: ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები; (ბ) გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები; გ) ფინანსური აქტივები დაფარვის ვადამდე და (დ) და ფინანსური აქტივები გონივრულ ფასად მოგება-ზარალის გათვალისწინებით ("FVTPL"). მოგების ან ზარალის გათვალისწინებით გონივრულ ფასად შეფასებული ფინანსური აქტივები იყოფა ორ ქვესექტორად: (i) აქტივები, როგორც ასეთი, თავდაპირველი აღიარების მიხედვით და (ii) კლასიფიცირებული, როგორც ვაჭრობისათვის განკუთვნილი. და ბოლოს, საიჯარო დავალიანებები წარმოადგენს ცალკე კატეგორიას. ყველა კომპანიის ფინანსური აქტივები ხვდება საავანსო კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

## 27 ნაშთები და გარიგებები ასოცირებულ მხარეებთან

მხარეები, [illegible] როცა წესი, განიხილება ასოცირებულად/ერთმანეთთან დაკავშირებულად, იმ შემთხვ[illegible] თუ მხარეები იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარ[illegible]ტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან მეორე მ[illegible] ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. [illegible]ეულ, შესაძლო დაკავშირებულ, მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება უნდა [illegible]ექცეს ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

არსებულმა ნაშთებმა ასოცირებულ მხარეებთან შეადგინა შემდეგი:

| ათასი ქართული ლარი | ურთიერთობა | 31 დეკ 2017 | 31 დეკ 2016 | 1 იან 2016 |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა დებ.დავალ | საერთო კონტრ. ობიექტები | 97 | 145 | 43 |
| [illegible] დავალიანებ | საერთო კონტრ. ობიექტები | (930) | (359) | (945) |

31 დეკემბრით დასრულებული 2016 და 2017 წლების შემოსავლების, ხარჯების და ტრანზაქციების ოდენობამ დაკავშირებულ მხარეებთან შეადგინა შემდეგი:

| ათასი ქართული ლარი | ურთიერთობა | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| საქონლით ვაჭრობა | საერთო კონტრ. ობიექტები | 151 | 115 |
| მომსახურების მიწოდება | საერთო კონტრ. ობიექტები | 75 | 48 |
| ინვენტარის შეძენა | საერთო კონტრ. ობიექტები | 6,725 | 10,402 |
| საკუთრ. საწარმ.და მოწყ.შეძენა | საერთო კონტრ. ობიექტები | 139 | - |
| მომსახურების შესყიდვა | საერთო კონტრ. ობიექტები | 765 | 832 |

*მმართველი პერსონალის კომპენსაცია. სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი მენეჯმენტის ანაზღაურების გადახდა წარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასის, ბონუსების და სხვა სახის სარგებლის მიხედვით, რაც შეადგენს 486 ათას ლარს (2016: 613 ათასი ლარი).*

## 25 მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N181090993 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 07.09.2018 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ქეთევან ოდილავაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 599514451 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 97178042492818 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსს ქეთევან ოდილავაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 14ა, მომმართა თარჯიმანმა მაია ქართველიშვილმა. მან მოითხოვა საკუთარი ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება მის მიერ შესრულებულ თარგმანზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა მაია ქართველიშვილმა (დაბ. 09.04.1967წ., მცხოვრები ქ. თბილისი, წულუკიძის ჩიხი 2, ბინა 4, პირადი № 01011018344, პარათის № 111C35577, გაცემული 11.04.2012.წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ). მე გავაფრთხილე მთარგმნელი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი HB №132947, გაცემული ქ.იჟევსკის სახ. უნივერსიტეტის მიერ 20.06.1990წ.). მთარგმნელმა დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს და უზრუნველჰყობს თარგმან ის სიზუსტეს, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი ჩემი თანდასწრებით.
გადახდილია საზღაური 2.00 ლარი (საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. დადგენილება №507, მუხლი 39), დღგ 0.36 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლი) და 2 ლარი სარეგისტრაციო საფასური. სულ გადახდილია 4,36 ლარი.

ნოტარიუსი ქეთევან ოდილავაძე

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“

# მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა

## 1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

**ზოგადი ინფორმაცია:** კნაუფი მსოფლიოში სამშენებლო მასალების მწარმოებელი ერთერთი უდიდესი კომპანიაა, დაფუძნებული ოჯახური ბიზნესის პრინციპებზე. მიუხედავად საქმიანობის გლობალური მასშტაბებისა, კნაუფმა მოახერხა საკუთარი პრინციპების შენარჩუნება.

1993 წლიდან კომპანიამ თავისი საქმიანობის არეალი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გააფართოვა.

ჩვენი საწარმოები აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, იყენებენ რა საერთაშორისო ჯგუფის საერთო წარმოების ტექნოლოგიას, ეს საწარმოები უშვებენ უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალებს, ამასთან ხარისხის სტანდარტი ისეთივეა, როგორც კნაუფის გერმანიაში არსებული საწარმოებში.

კნაუფის ინდუსტრიული ჯგუფი მოიცავს 200-მდე საწარმოს 50 ქვეყანაში.

ჯგუფი კნაუფი საქართველოში წარმოდგენილია თითქმის 20 წელია. დასაწყისში ეს იყო უბრალოდ კნაუფის პროდუქტების მოწოდების უზრუნველყოფა საზღვარგარეთიდან საქართველოს რეალიზატორებისათვის, 2006 წლიდან საქართველოში უკვე მუშაობს მარკეტინგული საწარმო შპს “კნაუფ მარკეტინგ თბილისი”, რომელიც დაკავებული იყო კნაუფის სხვადასხვა სახის სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების იმპორტით; 2008 წლიდან კნაუფი საქართველოში შემოვიდა როგორც კნაუფის მასალების მწარმოებელი კომპანია. 2013 წლის 4 იანვრიდან ეს ორი კომპანია გაერთიანდა. ორივე მათგანის დამფუძნებელია დედა კომპანია გერმანიიდან ,,კნაუფ ინტერნაციონალი“ (წილობრივი მონაწილეობა 100%).

ადგილზე წარმოებული პროდუქტების ნაწილი საქართველოს ბაზარზე იყიდება, ნაწილი გადის ექსპორტზე. ადგილობრივ ბაზარზეც და ექსპორტის შემთხვევაშიც საქონლის რეალიზაცია ხდება დილერების მეშვეობით, რომლებიც არ არიან კომპანიასთან აფილირებული პირები.

ადგილობრივი ნაწარმის გარდა კომპანიას კნაუფის მონათესავე საწარმოებიდან შემოაქვს მათივე ნაწარმოები სხვა საქონელი - სხვადასხვა სახის შესალესი ფითხები (თურქეთის კნაუფი), საიზოლაციო საშუალებები, მინაბამბა (თურქეთის კნაუფი), კნაუფის აქსესუარები (თურქეთის, გერმანიის, საბერძნეთის კნაუფები), აქვაპანელის პროდუქტები (გერმანია, საბერძნეთი), ფილები, ფითხები, პროფილები (რუსეთი), ამეფის ფილები (გერმანია). აღნიშნული პროდუქტების რეალიზაციაც ხორციელდება დილერების მეშვეობით.

ამასთან, ჩვენ ვართ მწარმოებელი კომპანია, შესაბამისად ჩვენ არ ვაკეთებთ ინვესტირებას არც მშენებლობაში და არც გაყიდვებში, ჩვენ ვოპერირებთ რეგიონში შესაბამისი, უკვე არსებული, ტრადიციული სავაჭრო ფირმებისა და კომპანიების საშუალებით. ამისათვის ჩვენ შემუშავებული გვაქვს პარტნიორული სისტემა, რაც გულისხმობს რეგიონში დილერების ყოლას, რომლებიც

განსაზღვრული ბრუნვის მოცულობის მიღწევის შემდეგ ხდებიან კომპანიის პარტნიორები; უფრო დიდი მოცულობის მიღწევის შედეგ კი - კომპანიის პრემიუმ პარტნიორები. პარტნიორები და პრემიუმ პარტნიორი ერთად უზრუნველყოფენ საერთო ბრუნვის 60%-ზე მეტს. შესაბამისად, მათ მიმართ გამოიყენება ექაუნთ-მენეჯმენტი. ტერიტორია დაყოფილია რეგიონებად და რეგიონებში განსაზღვრულია ძირითადი ქალაქები სადაც ოპერირებენ ჩვენი დილერები და პარტნიორები. ჩვენს დილერებთან, პარტნიორებთან და პრემიუმ პარტნიორთან ერთად ჩვენ ვიკვლევთ ბაზარს, ვნერგავთ ახალ პროდუქტებსა და სისტემებს, ვადგენთ გაყიდვების ყოველთვიურ და კვარტალურ გეგმებს, ვახორციელებთ პროდუქციის რეკლამისა და ბრენდინგისათვის აუცილებელ ღონისძიებებს. დილერების დახმარებით უშუალოდ რეგიონებში ვატარებთ ტრენინგებსა და სემინარებს, შესაბამისად, საშუალება გვეძლევა, უკეთ გავიცნოთ მომხმარებლის სურვილები და მოთხოვნილებები.

ლიცენზიებთან დაკავშირებული გარიგებები ურთიერთდამოკიდებულ მხარესთან ან მესამე პირებთან არ გაგვაჩნია.

***ფინანსური მაჩვენებლები:***

| *თანხები წარმოდგენილია ათას ლარში.* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| შემოსავლები | 55,571 | 41,848 |
| თვითღირებულება | (42,695) | (33,562) |
| მოგების მარჟა | 23% | 20% |
| წმინდა მოგება | 4,817 | 1,502 |
| აქტივები | 16,210 | 12,787 |
| ვალდებულებები | 41,623 | 40,252 |

***<u>პროგრესის მიზეზები:</u>***

შემოსავლები - ზრდა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: მოთხოვნა გაიზარდა როგორც ნესტგამძლე ფილაზე (დასავლეთ საქართველოში), ასევე პროფილებზე. შესაბამისად, წლის განმავლობაში გაიზარდა მოთხოვნილი პროდუქციის წარმოებაც. შემოსავლების მატებას ხელი შეუწყო ახალი პროდუქტების გამოშვებამაც : მაგ. პფტ-ს სალესილე მანქანები და ამ მანქანებით სალესი საშუალებები, აქვაპანელის მასალები, ადგილობრივ წარმოებას დაემატა ახალი პროდუქტი - დასაგრუნტი საშუალებები. კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.

აქტივები - კნაუფის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის დასაკმაყოფილებლად კომპანიამ 2017 წლის ბოლოსთვის შეიძინა შესაბამისი მასალები.

## 2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით არა ცალკეულ პროდუქტებს, არამედ სისტემებს. ჩვენი მიზანია მოკლევადიან პერსპექტივაში სისტემების შემადგენელი ყოველი პროდუქტის ადგილზე, ანუ რეგიონში წარმოება ან ისეთი მომწოდებლების

მოძებნა, რომლებიც სისტემის შემადგენელ ამა თუ იმ პროდუქტს ადგილზე აწარმოებენ ჩვენი სტანდარტების შესაბამისად. ამ მიზნით წარსულში გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები, რაც გულისხმობს თაბაშირ-მუყაოს წარმოების გარდა მოთუთიებული ფოლადის პროფილების წარმოების დანერგვას, დასაგრუნტი მასალების წარმოებას, ფირმა "კაპაროლი"-ს ბაზაზე მშრალი ცემენტის ნარევების წარმოებასა და ჩვენი პარტნიორი და პრემიუმ-პარტნიორი ფირმების მიერ წარმოებული მეტალის აქსესუარების შეძენასა და გასაღებას.

მომავალში ვფიქრობთ ადგილზე ვაწარმოოთ მშრალი თაბაშიროვანი ნარევები, რაც ჩვენი სისტემების ერთ-ერთ ძირითად ნაწილია, რაც შეეხება გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმარებას, აქ კომპანიის მიზანია სამშენებლო ბაზარზე ჩვენი პორტფელის დივერსიფიკაცია. ახალი მიმართულებებისა და დარგების ათვისება და განვითარება ისე, რომ მონო სისტემებიდან მრავალფეროვანი სისტემებისა და გადაწყვეტების შეთავაზებაზე გადასვლა.

ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების საგრანტო მხარდაჭერით კომპანიამ 2017 წლის ბოლოს დაარსა სასწავლო ცენტრი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კნაუფის მასალების სწორად გამოყენებას და მშენებელ - ხელოსნების მიერ ხარისხიანი სამშენებლო სამუშაოების წარმოებას.

## 3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. პროდუქციის რეალიზაციისთვის გამოიყენება თბილისში და ბათუმში არსებული საწყობები.

## 4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2016-2017 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში *„ფინანსური მაჩვენებლები"*.

ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის წილი შეადგენს დაახლოებით 65-67%-ს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა სტაბილურად ერთნაირია 2016 და 2017 წლებში, სულ დასაქმებულია 87 საშტატო ერთეული, მათ შორის 15 ქალია.

## 5. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები

,,კნაუფის" სამარკო ნიშანი ის განმასხვავებელი ნიშაა, რითაც ბრენდი ცნობილია მსოფლიო ბაზარზე. საქართველოს ბაზარზე შექმნილი ძლიერი კომპანიის სახელი კნაუფს ხარისხისა და პროფესიონალიზმის სინონიმად აქცევს.

კომპანიას 2013 წლიდან გააჩნია ლიცენზია ბუნებრივი რესურსების კვლევაზე. ლიცენზია ეხება ისეთ ბუნებრივ რესურსებს, როგორიცაა თაბაშირის ქვა და გაჯი. ბუნებრივი რესურსები მოიპოვება წყალთბილაში, ახალციხის რაიონში. ადგილობრივი ნედლეულის მოპოვებამდე კომპანია იყენებს აზერბაიჯანის ქვას, რომელიც საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტით შემოდის.

კომპანიის მმართველ გუნდს ამ ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მენეჯმენტი და 100% ით ჩართულია ყოველდღიურ ოპერაციებში, რაც საშუალებას აძლებს მათ ფეხდაფეხ მისდიონ ცვლილებს და მყისიერი ადაპტაცია მოახდინონ.

## 6. რისკების მიმოხილვა

***საკრედიტო რისკი.*** საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.

პროდუქტების რეალიზაციისას ზოგიერთ კომპანიასთან მიღწეულია საბანკო გრანტიით თანამშრომლობა, სხვებთან დამოკიდებულებაში ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი.

საეჭვო ვალების და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მუშავდება და კონტროლდება გაყიდვების სამსახურის, ფინანსებისა და იურიდიული სამსახურების მეშვეობით.

***პროდუქციის რისკი.*** რისკები ხშირად დაკავშირებულია სარეალიზაციო საქონლისა და პროდუქტების ვადებთან, წარმოებული პროდუქციის მოძველება როგორც წესი არ ხდება, ვარგისიანობის ვადის გასვლის რისკები შედარებით მაღალია იმპორტირებული საქონლის შემთხვევაში.

კნაუფის შიდა დებულებებით სასტიკად აკრძალულია ასეთი პროდუქტების როგორც ქსელში მოხვედრა, ისე თანამშრომლებისთვის მიწოდება. ასეთ შემთხვევაში პროდუქცია ჩამოიწერება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და წესების დაცვით.

***სავალუტო რისკი.*** დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობა, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

***სხვა რისკები.*** არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

---

[1]*შენიშვნა*: 2017 წელს კომპანიას რაიმე სპეციალური ტიპის კვლევა-განვითარება არ ჩაუტარებია.*

26 სექტემბერი, 2018

| | |
|---|---|
| _____ | _____ |
| გიორგი ჯაფარიძე | გიორგი ლოლაძე |
| მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი | ფინანსური დეპარტამენტის უფროსი |

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“

## მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა

### 1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

**ზოგადი ინფორმაცია:** კნაუფი მსოფლიოში სამშენებლო მასალების მწარმოებელი ერთერთი უდიდესი კომპანიაა, დაფუძნებული ოჯახური ბიზნესის პრინციპებზე. მიუხედავად საქმიანობის გლობალური მასშტაბებისა, კნაუფმა მოახერხა საკუთარი პრინციპების შენარჩუნება.

1993 წლიდან კომპანიამ თავისი საქმიანობის არეალი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გააფართოვა.

ჩვენი საწარმოები აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, იყენებენ რა საერთაშორისო ჯგუფის საერთო წარმოების ტექნოლოგიას, ეს საწარმოები უშვებენ უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალებს, ამასთან ხარისხის სტანდარტი ისეთივეა, როგორც კნაუფის გერმანიაში არსებული საწარმოებში.

კნაუფის ინდუსტრიული ჯგუფი მოიცავს 200-მდე საწარმოს 50 ქვეყანაში.

ჯგუფი კნაუფი საქართველოში წარმოდგენილია თითქმის 20 წელია. დასაწყისში ეს იყო უბრალოდ კნაუფის პროდუქტების მოწოდების უზრუნველყოფა საზღვარგარეთიდან საქართველოს რეალიზატორებისათვის, 2006 წლიდან საქართველოში უკვე მუშაობს მარკეტინგული საწარმო შპს "კნაუფ მარკეტინგ თბილისი", რომელიც დაკავებული იყო კნაუფის სხვადასხვა სახის სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების იმპორტით; 2008 წლიდან კნაუფი საქართველოში შემოვიდა როგორც კნაუფის მასალების მწარმოებელი კომპანია. 2013 წლის 4 იანვრიდან ეს ორი კომპანია გაერთიანდა. ორივე მათგანის დამფუძნებელია დედა კომპანია გერმანიიდან ,,კნაუფ ინტერნაციონალი“ (წილობრივი მონაწილეობა 100%).

ადგილზე წარმოებული პროდუქტების ნაწილი საქართველოს ბაზარზე იყიდება, ნაწილი გადის ექსპორტზე. ადგილობრივ ბაზარზეც და ექსპორტის შემთხვევაშიც საქონლის რეალიზაცია ხდება დილერების მეშვეობით, რომლებიც არ არიან კომპანიასთან აფილირებული პირები.

ადგილობრივი ნაწარმის გარდა კომპანიას კნაუფის მონათესავე საწარმოებიდან შემოაქვს მათივე ნაწარმოები სხვა საქონელი - სხვადასხვა სახის შესალესი ფითხები (თურქეთის კნაუფი), საიზოლაციო საშუალებები, მინაბამბა (თურქეთის კნაუფი), კნაუფის აქსესუარები (თურქეთის, გერმანიის, საბერძნეთის კნაუფები), აქვაპანელის პროდუქტები (გერმანია, საბერძნეთი), ფილები, ფიცხები, პროფილები (რუსეთი), ამეფის ფილები (გერმანია). აღნიშნული პროდუქტების რეალიზაციაც ხორციელდება დილერების მეშვეობით.

ამასთან, ჩვენ ვართ მწარმოებელი კომპანია, შესაბამისად ჩვენ არ ვაკეთებთ ინვესტირებას არც მშენებლობაში და არც გაყიდვებში, ჩვენ ვოპერირებთ რეგიონში შესაბამისი, უკვე არსებული, ტრადიციული სავაჭრო ფირმებისა და კომპანიების საშუალებით. ამისათვის ჩვენ შემუშავებული გვაქვს პარტნიორული სისტემა, რაც გულისხმობს რეგიონში დილერების ყოლას, რომლებიც

KNAUF

განსაზღვრული ბრუნვის მოცულობის მიღწევის შემდეგ ხდებიან კომპანიის პარტნიორები; უფრო დიდი მოცულობის მიღწევის შედეგ კი - კომპანიის პრემიუმ პარტნიორები. პარტნიორები და პრემიუმ პარტნიორი ერსად უზრუნველყოფენ საერთო ბრუნვის 60%-ზე მეტს. შესაბამისად, მათ მიმართ გამოიყენება ექაუნთ-მენეჯმენტი. ტერიტორია დაყოფილია რეგიონებად და რეგიონებში განსაზღვრულია ძირითადი ქალაქები სადაც ოპერირებენ ჩვენი დილერები და პარტნიორები. ჩვენს დილერებთან, პარტნიორებთან და პრემიუმ პარტნიორთან ერთად ჩვენ ვიკვლევთ ბაზარს, ვნერგავთ ახალ პროდუქტებსა და სისტემებს, ვადგენთ გაყიდვების ყოველთვიურ და კვარტალურ გეგმებს, ვახორციელებთ პროდუქციის რეკლამისა და ბრენდინგისათვის აუცილებელ ღონისძიებებს. დილერების დახმარებით უშუალოდ რეგიონებში ვატარებთ ტრენინგებსა და სემინარებს, შესაბამისად, საშუალება გვეძლევა, უკეთ გავიცნოთ მომხმარებლის სურვილები და მოთხოვნილებები.

ლიცენზიებთან დაკავშირებული გარიგებები ურთიერთდამოკიდებულ მხარესთან ან მესამე პირებთან არ გაგვაჩნია.

***ფინანსური მაჩვენებლები:***

| *თანხები წარმოდგენილია ათას ლარში.* | **2017** | **2016** |
|---|---|---|
| შემოსავლები | 55,571 | 41,848 |
| თვითღირებულება | (42,695) | (33,562) |
| მოგების მარჟა | 23% | 20% |
| წმინდა მოგება | 4,817 | 1,502 |
| აქტივები | 16,210 | 12,787 |
| ვალდებულებები | 41,623 | 40,252 |

***<u>პროგრესის მიზეზები:</u>***

შემოსავლები - ზრდა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: მოთხოვნა გაიზარდა როგორც ნესტგამძლე ფილაზე (დასავლეთ საქართველოში), ასევე პროფილებზე. შესაბამისად. წლის განმავლობაში გაიზარდა მოთხოვნილი პროდუქციის წარმოებაც. შემოსავლების მატებას ხელი შეუწყო ახალი პროდუქტების გამოშვებამაც : მაგ. პფტ-ს სალესილე მანქანები და ამ მანქანებით სალესი საშუალებები, აქვაპანელის მასალები, ადგილობრივ წარმოებას დაემატა ახალი პროდუქტი - დასაგრუნტი საშუალებები. კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.

აქტივები - კნაუფის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის დასაკმაყოფილებლად კომპანიამ 2017 წლის ბოლოსთვის შეიძინა შესაბამისი მასალები.

## 2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით არა ცალკეულ პროდუქტებს, არამედ სისტემებს. ჩვენი მიზანია მოკლევადიან პერსპექტივაში სისტემების შემადგენელი ყოველი პროდუქტის ადგილზე, ანუ რეგიონში წარმოება ან ისეთი მომწოდებლების

მოძებნა, რომლებიც სისტემის შემადგენელ ამა თუ იმ პროდუქტს ადგილზე აწარმოებენ ჩვენი სტანდარტების შესაბამისად. ამ მიზნით წარსულში გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები, რაც გულისხმობს თაბაშირ-მუყაოს წარმოების გარდა მოთუთიებული ფოლადის პროფილების წარმოების დანერგვას, დასაგრუნტი მასალების წარმოებას, ფირმა "კაპაროლი"-ს ბაზაზე მშრალი ცემენტის ნარევების წარმოებასა და ჩვენი პარტნიორი და პრემიუმ-პარტნიორი ფირმების მიერ წარმოებული მეტალის აქსესუარების შეძენასა და გასაღებას.

მომავალში ვფიქრობთ ადგილზე ვაწარმოოთ მშრალი თაბაშიროვანი ნარევები, რაც ჩვენი სისტემების ერთ-ერთ ძირითად ნაწილია, რაც შეეხება გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმარებას, აქ კომპანიის მიზანია სამშენებლო ბაზარზე ჩვენი პორტფელის დივერსიფიკაცია. ახალი მიმართულებებისა და დარგების ათვისება და განვითარება ისე, რომ მონო სისტემებიდან მრავალფეროვანი სისტემებისა და გადაწყვეტების შეთავაზებაზე გადასვლა.

ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების საგრანტო მხარდაჭერით კომპანიამ 2017 წლის ბოლოს დაარსა სასწავლო ცენტრი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კნაუფის მასალების სწორად გამოყენებას და მშენებელ - ხელოსნების მიერ ხარისხიანი სამშენებლო სამუშაოების წარმოებას.

## 3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. პროდუქციის რეალიზაციისთვის გამოიყენება თბილისში და ბათუმში არსებული საწყობები.

## 4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2016-2017 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში *„ფინანსური მაჩვენებლები"*.

ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის წილი შეადგენს დაახლოებით 65-67%-ს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა სტაბილურად ერთნაირია 2016 და 2017 წლებში, სულ დასაქმებულია 87 საშტატო ერთეული, მათ შორის 15 ქალია.

## 5. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები

„კნაუფის" სამარკო ნიშანი ის განმასხვავებელი ნიშაა, რითაც ბრენდი ცნობილია მსოფლიო ბაზარზე. საქართველოს ბაზარზე შექმნილი ძლიერი კომპანიის სახელი კნაუფს ხარისხისა და პროფესიონალიზმის სინონიმად აქცევს.

კომპანიას 2013 წლიდან გააჩნია ლიცენზია ბუნებრივი რესურსების კვლევაზე. ლიცენზია ეხება ისეთ ბუნებრივ რესურსებს, როგორიცაა თაბაშირის ქვა და გაჯი. ბუნებრივი რესურსები მოიპოვება წყალთბილაში, ახალციხის რაიონში. ადგილობრივი ნედლეულის მოპოვებამდე კომპანია იყენებს აზერბაიჯანის ქვას, რომელიც საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტით შემოდის.

კომპანიის მმართველ გუნდს ამ ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მენეჯმენტი და 100% ით ჩართულია ყოველდღიურ ოპერაციებში, რაც საშუალებას აძლევს მათ ფეხდაფეხ მისდიონ ცვლილებს და მყისიერი ადაპტაცია მოახდინონ.

***საკრედიტო რისკი.*** საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.

პროდუქტების რეალიზაციისას ზოგიერთ კომპანიასთან მიღწეულია საბანკო გრანტიით თანამშრომლობა, სხვებთან დამოკიდებულებაში ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი.

საეჭვო ვალების და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მუშავდება და კონტროლდება გაყიდვების სამსახურის, ფინანსებისა და იურიდიული სამსახურების მეშვეობით.

***პროდუქციის რისკი.*** რისკები ხშირად დაკავშირებულია სარეალიზაციო საქონლისა და პროდუქტების ვადებთან, წარმოებული პროდუქციის მოძველება როგორც წესი არ ხდება, ვარგისიანობის ვადის გასვლის რისკები შედარებით მაღალია იმპორტირებული საქონლის შემთხვევაში.

კნაუფის შიდა დებულებებით სასტიკად აკრძალულია ასეთი პროდუქტების როგორც ქსელში მოხვედრა, ისე თანამშრომლებისთვის მიწოდება. ასეთ შემთხვევაში პროდუქცია ჩამოიწერება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და წესების დაცვით.

***სავალუტო რისკი.*** დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობა, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

***სხვა რისკები.*** არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

---

[1]*შენიშვნა*: 2017 წელს კომპანიას რაიმე სპეციალური ტიპის კვლევა-განვითარება არ ჩაუტარებია.*

26 სექტემბერი, 2018

გიორგი ჯაფარიძე
მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ლილაძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი